

# ლიტერატურული გაზეთი

## შორენა ფხაკაძე

### თხა თხაზე ნაკლები...

ჩვენ რამდენიმე თვის წინ გამოვაცხადეთ კონკურსის შესახებ. კონკურსი ტარდება შემდეგი მიმართულებით: ვინ უფრო ჯიუტია...  
იმ დღიდან დღემდე ვეჯიბრებით ერთმანეთს, ვინ უფრო დიდხანს შეინარჩუნებს დუმილს, ვინ უფრო დიდხანს იქნება გაბუტული, ვინ უფრო მეტად აარიდებს თვალს მეორეს. არა და არ იღევა საკონკურსო ვადა. უცნობია დედლაინი. ძვირფასო საზოგადოება, ასე ხდება ყოველთვის, როდესაც ერთმანეთს ხვდება ორი ჯიუტი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მე გაცილებით ჯიუტი გამოვდექი და აღმოვჩნდი.

მაგრამ...  
განა ვინმემ იცის, რად მიღირს ეს სიჩუმე? ვიგონებ საქმეებს და ამ სიჩუმეს ვავსებ საქმეებით. ასე გაცილებით იოლია. ასე გაცილებით სწრაფად გადის დრო (ტავტოლოგია მომეძალა, ღმერთმანი). უიური არ გვყავს — მხოლოდ ჩვენ ვიღებთ გადანყვებილებას შედეგის შესახებ.

მოკლედ, კონკრეტულად, გასაგებად რომ ვთქვათ: არსებობს ასეთი კონკურსი. არსებობენ ასეთი ადამიანები — ერთმანეთზე ჯიუტები და, შესაბამისად, არა ერთმანეთისთვის დაბადებულები

IV-V



## დიმიტრი ნიკლაური

### ბიტოს დაბადების დღე

1  
კაცის ღვანლს მეტწილად ანაზღაურება განსაზღვრავს, მაგრამ გასამრჯელო პრობლემებს მხოლოდ ნაწილობრივ აგვარებს, მუშაობის პროცესი კი ისე ინელებს, სიცოცხლის სიტკობებს ვეღარ შეიგრძნობს. ყველაზე კარგ დროს ავტობუსში ატარებს, როცა სამსახურიდან უკვე წამოვიდა, სახლში კი ჯერ არ მისულა. ფიქრობს, ოცნებობს, წარსულს იხსენებს. დროდადრო სარკმელში გაიხედავს, ათასი რამ რომ მოჩანს. მშენებარე კორპუსი ისე აწონილა, მის ჩრდილში მალალი ხეებიც იჩაგრება. სახურავის ზემოთ სამკუთხა კონვერტი ფარფატებს, ფრინველთა გზავნილი თბილი ქვეყნებისკენ. მოკლედ მთელი გეომეტრიაა. ბოლო გაჩერება ამ კორპუსთანაა. აქვე მიჰყუდება, თითქოს ყავარჯენს ეყრდნობაო. გვერდიდან ოჩოფხებზე შემდგარ ჩონჩხს ჰგავს. ავტობუსიდან ჩამოსული კაცი შენობას ერთხელაც ახედავს. ზემო სართულის აივანზე გაფენილი შავი პერანგი მეკობრეთა დროშის ნაფლეთივით ფრიალებს. ნაგებობა ჯერ ექსპლუატაციაში არ შესულა, ვიღაც კი უკვე შესახლებულა.

პაპანაქებაში გამვლელი ჩვეულებრივ ზანტად ირჯებიან. ზღაზვნით მოძრაობენ და სახეს წამდაუნუმ იმშრალევენ, გეგონება, ზღუქუნებენო. ახლა კი სიცივე თრგუნავთ. მტოშავი ქარი ავკაცის ჩურჩულივით ეფინება მღვრიე გარეუბანს. საყელოაჩაჩული კაცი ნაბიჯს უმატებს, სწრაფად რომ ჩაუაროს ქუჩის კუთხეში მჯდარ მათხოვარს. ამაოების გამომხატავი მზერით შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟს რომ ჰგავს. ისეთი გამხდარია, საუკეთესოდ აღკაზმული რაშიც რომ მიჰგვარო, ზედ აჩრდილივით ამხედრდება. მის განწირულ მოთქმას, გამვლელბო, ხელი გამიმართეთო, იშვიათად ვინმე თუ შეისმენს. მათ თავისი გასჭირვებით. ვინ პროდუქტებით გაძეგვილ ჩანთას ეზიდება და ეზოს მოყანყალეზულ კარს ფეხით შეაღებს. ვის საყოფაცხოვრებო ნივთები მიაქვს, კვირა დღეს კერაში სადენებს რომ უკირკიტოს, საკეტები და ზეთოს და ონკანთა დამჭერი ხრახნების ვარგისიანობა შეამონმოს. ურწმუნო ხომ მეტწილად რემონტითა დაკავებული. თუმცა მორწმუნეც არ აკლებს. ზამთარი ისე ახლოვდება, გამთენიისას სარკმლებს რომ გამოაღებენ, შესაძლოა, თოვლით გადაპენტილი ტროტუარები დახვდეთ, ჭირხლით მოვერცხლილი ბორდიურები.

VI-VII



## გიორგი არჩემაშვილი

\*\*\*

განა ოცნებებს თავს შევანყენდი იქ, სადაც მხოლოდ განედებია, მაგრამ ისეა გული ნაწყვეტი, რომ ტკივილები არ ნელდებიან

და გამოსცემენ ერთად ათას ხმას... როგორ ვუნამლო ჯვარზე გაკრულმა, თუ ღვთაებრივი სისხლის გადასხმაც ვეღარ უშველით, ვეღარ განკურნავთ...

როცა გრძედების გაქრობის გამო სული თამაშობს განედობიას, თვალებს ვთავაზობ სიზმრების სამოსს, რადგან სურვილებს არ ენდობიან

და ბოლოს ყველა ჩემში ვგროვდებით, ისევ მდუმარეს ვგეგმავთ აქციას, თუ უხმო ლოცვის, უხმო გოდების ხმამ ღმერთი ჩვენგან არ გააქცია...

VIII-IX



თქვამისთავი ლიტურჯის საეკლესიო ქვეყნის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად „გეგმის“ თეატრში პოპულარული ლიტურჯის სპექტაკლის „ხანგრძლივი ცხოვრება“ ჩვენება გამართა. საცხოვრების გამო ცოტა დაგვაგვიანდა. ცენტრალური კარი დაკეტილი დაგვხვდა. კონტროლიორმა ხელი დაგვიქნია, აქეთ წამოდითო და ჩვენც მიგვიყვით, მერე კიდევ ვილაგვამ დაგვიქნია ხელი, აქეთო და თავი თეატრის შიდა ეზოში ამოვყავით. თანამშრომლების შესასვლელი ღია იყო და იქ ათიოდე კაცს მოეყარა თავი. ვიფიქრე, ესენიც ჩვენსავით დაგვიანებულნი არიან-მეთქი, მაგრამ თურმე სულაც არა, ასე ყოფილა საჭირო. ახალგაზრდა კაცმა გვანინა, მე გამომყევითო. იმ ათ კაცთან ერთად თეატრში შევედით. მივდიოდით ოდნავ განათებული კორიდორებით, სადაც კედლების გასწვრივ გაჭიმულ თოკებზე ცუდად გარეცხილი ზუნრები და მოკლესახელოებიანი მონაცრისფრო „სეტკა-მაიკები“ ეკიდა. ერთ ზეწარს ხელიც შევაგვლე. სველი იყო. ეტყობა, გასაშრობად აქეთ გაფენილი-მეთქი, ვიფიქრე. კედლებიდან გამოშვერილი „პატრონებიდან“ დაბალი ძაბვის ნათურები ბუფეტებზედ.

— ალბათ, აქედან იწყება სპექტაკლი, — ვეუბნები თავს.  
— ჰო, ასეა, — მპასუხობს.

გავიარეთ ჩაბნელებული დერეფანი და პარტერში გავედით. სპექტაკლი ჯერ არ დაწყებულიყო. მაყურებელი ადგილებს ეძებდა. დეკორაცია იყო ძალიან მარტივი: საბჭოური პერიოდის ძველი, საღებავგადადაფხეკილი ხის დარბეზიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადი, რომელიც სცენის ორმა მუშამ ჩვენ თვალწინ სულ ფიცარ-ფიცარ დაშალა. სცენაზე დარჩა სამი კომუნალური ბინის ინტერიერი სოციალისტური ლიტვის საბჭოელი ბინადრებით.

მინახავს ასეთი ბინები. მინახავს კი არა, მიცხოვრია კიდეც. მართალია ასეთ უბადრუკ ბინაში არა, მაგრამ რაღაც მსგავსში — კი.

ერთ ბინაში, კედელზე, ერნესტ ჰემინგუეის იმ დროს ყველაზე გავრცელებული პორტრეტი იყო გაკრული — აი, ისეთი, 60-იანი წლების თითქმის ყველა ახალგაზრდას თავის კუთხეში რომ ეკიდა (დაბალი, ჭალარა წვერით და კეთილი თვალებით, ნაცრისფერ სვიტერში). ნიკელის ლოგინები, გვერდზე ტუმბო — ზედ ნამლები და კოლბები. სამზარეულო „ბრესტის“ ფირმის გაზჭურით, ალუმინის საერთო ჩაიდანანი, ინდური ჩაის რკინის კოლოფი შიგ ფოლაქებით, აბაზანაში გაბმული ოთხი თოკი და ზედ გაკიდული გამოყვითლებული ფოხანები, ნიფხები, ჰამაკები თითქმის... და პატარა ოთახი, სადაც ლოგინი მაგიდა, სავარძელი, სკამები, ტელევიზორი, რადიო, კარადა, ტორშერი, ყველაფერი ერთად იყო და ერთმანეთზე მიდგმულ-მოდგმული. ეს იყო „კომუნალკა“, ზუსტად ისეთი ბინადრებით, როგორც ეს ავეჯი.

მინდა, ზედმიწევნით აღვწერო, რაც სცენაზე ხდებდა, მაგრამ გონება გამიბრბის. ასე ნელი ვერ წარმოვიდგენდი, რომ რასაც ახლა სცენაზე ვუყურებ, ხდება ბალტიისპირეთში, რომელიც ჩვენთვის, საბჭოთა საქართველოს და არა მარტო საქართველოს, ალბათ მთელი სოციალისტური საშუალო მოსახლეობისათვის მაშინ განვითარებული ევროპის სახეს წარმოადგენდა. იქ საქონის მოგზაურობაში მხოლოდ შეძლებული ოჯახიშვილები მიემზავრებოდნენ.

მოსკოვი, ლენინგრადი, მთელი რუსეთი და დარჩენილი საბჭოთა კავშირი კი, მაგრამ ლიტვა (ასე ერქვა მაშინ ლიტურჯას)?! — ვერავინ დამაჯერებდა, არადა სპექტაკლი, თურმე, უკვე 10 წელია, სრული ანშლავებით გადის ბალტიისპირეთის თეატრებში. ვფიქრობ, ავტორებმა ეს პიესა საშინელებათა წარსულის არდასაინყვებლად შექმნეს, აი, ჭრილობაზე მარილს რომ იყრიან ხოლმე, რომ არ შეუხორცდეთ და არ დაავინყდეთ, რა შეიძლება, მოჰყვეს ურმის ერთ გადატრიალებას.

ჩემი თბილისური კომუნალური ბინა ჭაფავაძის პროსპექტის მეომრეთა ერთ-სადარბაზოისი სახლის მეორე სართულზე იყო. ეს ბინა 1937 წლამდე ბაბუაჩემს, ბაღდადის რაკომის მდივანს, აკაკი-ვლადიმერ ღუმბაძეს ეკუთვნოდა. ბაბუა 37-ში დახვრიტეს, ბებია 10 წლით ყაზახეთში გადაასახლეს და ჩვენ სამოთახიანი ბინაში კაგებეს ბულალტერი შურა ჯახაია შემოასახლეს თავისი ძმის, ბიკენტი ჯახაიას

ორშვილიანი ოჯახითურთ (შურა მამიდას თავისი ოჯახი არ ჰქონდა). ბაბუაჩემის შთამომავლებს, მამაჩემს და მამიდაჩემს სამოთახიანი ბინიდან ერთი ოთახი დაუტოვეს. სამზარეულო და აბაზანა საერთო გვექონდა.

გადასახლებიდან 10 წლის შემდეგ დაბრუნებულ ბებიჩემს ხუთი წელი თბილისში ცხოვრება ეკრძალებოდა და ამიტომ საცხოვრებლად ტყვარჩელში ექიმად განანილებულ მამიდაჩემს გაჰყვა.

მამაჩემმა ცოლი იმ „კომუნალკაში“ მოიყვანა. მე და ჩემი ძმა იქ დავიბადეთ. ადრეული ბავშვობა და დაწყებითი სკოლის პერიოდიც იქ გავატარე. ძალიან დიდი ხანი ამ სახლზე უფრო მხიარული და თბილი სადმე რამე თუ არსებობდა, არ მეგონა. ყმანვილობაში, და მერეც, სულ იქით მიმინევდა გული და დიდხანს ამ ბინის უკან დაბრუნებაზე ვოცნებობდი.

დედაჩემი ვერ იტანდა იმ სახლს. ვერ იტანდა კი არა — ეზიზღებოდა. მამაზე

ყო. მისი მფლობელი ოჯახი ტელეგადაცემების დროს (მაშინ ტელევიზია დღეში მხოლოდ რამდენიმე საათი მაუწყებლობდა) „ზალაში“ ოთხ-ხუთ რიგად სკამებს ალაგებდა და ოთახში პატარა სამეზობლო კინოთეატრს მართავდა. აბა, გაეზედა და ამ კინოთეატრის კარი რაიმე მიზეზით გამოეკეტა — ღმერთმა დაიფაროს, ისეთი საყოველთაო განკითხვისა და რისხვის საგანი გახდებოდა. სირცხვილი და თავზე ლაფის დასხმა...

და იგივე თქმის მასზეც, ვინც „კორიდორული სისტემის“ ბინადრებიდან პირველმა დაიგა ტელეფონი. იმ ტელეფონის ნომერი ყველა იყო, ახლაც ზეპირად მახსოვს. ყველა მეზობელს იმ ნომერზე ურეკავდნენ მოურიდელად, 24 საათი. აბა, ერთი გაეზედა ტელეფონის პატრონს და ვინმესთვის მაშინათვე არ დაეძახა. ამიტომ, ტელეფონის აპარატი ბინის შესასვლელში იყო ხოლმე ტუმბოზე, ან აივანზე გამომავალი ოთახის ფანჯრის რაფაზე, მე-

მანანა ღუმბაძე

სანგრძლივი ცხოვრება — „კომუნალკა“



ამას ვერ ვიტყვი, რადგან არ ვიცი, რას გრძნობდა მის მიმართ. თან ჩემი ძმის გარდაცვალების შემდეგ, როცა დედაჩემმა გამოაცხადა, რომ ამ სახლში ერთი დღეც აღარ იცხოვრებდა, მორჩილად გაჰყვა ვერაზე, დედას მშობლებთან საცხოვრებლად. ის სახლიც კომუნალური ტიპის იყო, უფრო სწორედ, ნახევრად კომუნალური — „კორიდორული სისტემით“ — ცალკე ბინა, დიდი საერთო დერეფნით. მაგრამ კოლექტიური ცხოვრებას მიჩვეული ადამიანები აქაც დღის ძირითად ნაწილს საერთო სივრცეში ატარებდნენ: თავიანთი ბინის წინ გაკიდულ თოკებზე, მეზობლების თვალის დასაბრმავებლად, განსაკუთრებული მონდომებით გამოხარულ-ლილა-გავლებულ-გახამებულ თეთრულს ჰფენდნენ, ერთმანეთის თვალწინ, უმეღვლებულ ქვაბებში ხარშავდნენ პომიდვრის საწებელს, მწვანე და წითელ ტყემალს, მურაბებს, კომპოტებს, მერე ჭორაობდნენ, ვის როგორი გამოუვიდა.

ასეთი ტიპის „კომუნალკებში“ გავიზარდე: სხვადასხვა ხასიათის, ჩამომავლობის, განათლებისა და სოციალური სტატუსის მქონე ოჯახებში. ყველას მათგანს რაღაც თავისი, დადებითი თუ უარყოფითი როლი აქვს შესრულებული ჩემს აღზრდაში და ეს იყო „ჩემი ხანგრძლივი ცხოვრება“ (ლიტურჯი პიესისა არ იყოს) კომუნაში, ზიარი ბედნიერებით, უბედურებით, სიხარულით და სევდით. ეს აუცილებელი და სავალდებულოც იყო. ვინც „ზიარების პრინციპს“ წინ აღუდგებოდა, უმაღლესად სურველი მეზობლის და უკიდურეს შემთხვევაში „მტრის“ სახელსაც მოიხვეჭდა (ეს „მტრის“ ხატი ერთხანს კიდევ ბოგინობდა კომუნალურების ცნობიერებაში).

ჩემი „კორიდორულ სისტემის“ ერთმა შედარებით შეძლებულმა ბინადარმა სამეზობლოში პირველმა შეიძინა ტელევიზორი — საუკუნის სასწაული ყუთი, რომელიც კომუნის დაუნერელი კანონით, რატომღაც, მთელი დერეფნის საკუთრება

ზობელს დღის და ღამის განმავლობაში ტელეფონით სარგებლობა რომ არ გართულებოდა.

ჩემი საერთო დერეფანი მაშინდელ ვერის ბაზარს გადაჰყურებდა და დიასახლისები სახლში ფუსფუსთან ერთად ბაზარში შემავალ-გამომავალი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი სახეების თვალთვალში ატარებდნენ დღეებს. იმ ბაზრის ცხოვრებიდან, როგორც ყველაზე დიდი „მეღია ჰოლდინგიდან“, ღრუბელივით ისრულავდნენ ყველა თეთრ, ყვითელ, შავ და „სერა-ბურა-მალინოვი“ ამბებს და ზუსტად იცოდნენ, „ვის როიალში ვისი სმიჩოკი იყო“. უტყუარი, ცხელ-ცხელი ამბები იქ იყრიდა თავს და როგორც პირველწეარო, ფაქტობრივად, იქიდან ვრცელდებოდა. დღევანდელი გადასახედიდან, უზნეობაა ეს ყველაფერი და მეტი არაფერი. მთლად თანამედროვე გადმოსახედიდან კი — ადამიანის უფლებების დარღვევა, მაგრამ მაშინ ეს იყო ჩემი „უღრუბლო ბავშვობაც“, „ნათელი მომავალიც“ და „ხანგრძლივი ცხოვრებაც“ სოც.ბანაკში.

დავებრუნდეთ ლიტურჯი პიესას. სცენაზე წარმოდგენილი სამი კომუნალური ბინიდან ერთში ცხოვრობს მოფაფაღვლებული, პარკინსონიანი მოხუცი წყვილი, მეორეში — ერთმანეთს შებერებული დედა-შვილი და მესამეში — ცოტა კრამიტდაცურებული მელომანი ძველი რადიოსიგან თავისი ხელით აწყობილი იმ თაობის მუსიკალური ცენტრით. საერთო სამზარეულოში ცოცხლად იწვება ეროპევერცხი, ირჩევა და ტაფაზე იბრანება თევზი. დარბაზში თევზის სუნი დგება. ძირმიძნარი ქვაბში იხარშება ბორში. მოხუცები მარდი თავსე ქილებით საპირფარეოში შედიან, აბაზანაში ფენენ გაუნურავ და გახუნებულ საცვლებს. პარკინსონიანი ცოლი ტაშტში განელებული წყლით თავს ბანს პარკინსონიან ქმარს და შუა დაბანის დროს ორივე აბაზანაში ვარდება. იქიდან ძლივს ამოათრევენ ერთმანეთს, მერე ფანელის

გახუნებულ ხალათებში გახვეულები ორივე თავის ოთახში მიისლასლებს.

გვერდით ოთახში შედარებით ახალგაზრდა დედა-შვილი უფრო ყოჩაღად ირჯება: დედა ცელოფანის პარკიდან აძერწებს „პოლუშუტკას“, თავზე მტვრიან ბუნების ქუდს იხურავს. მარდი თავსე ქილას თეთრ ფურცელზე დანერულ სახელსა და გვარს აწებებს, გაზეთში ახვევს და ჩანთაში იდებს. შვილი რაღაცას აჭედებს. დედა, სავარაუდოდ, პოლიკლინიკაში მიდის. შვილი კი დაჭედებულ ფიცარზე ჩამოკიდებული თეთრი საღებავიანი ქილით თაროებზე მიძვრება და ბოლო თაროდან დიდის ნვალეებით ჭერის გათოთრებას იწყებს. თაროებზე შემოწყობილი ცარიელი ქილები და ბოთლები ზანზარებენ. პოლიკლინიკიდან დაბრუნებული დედა ჭერსა და თაროს შორის გაკვებულ შვილის გათავისუფლებას კასტილით ცდილობს. გაჭირვებით ჩამოათრევის იქიდან და იმავე კასტილით საცემად დასდევს.

ამასობაში მესამე ბინაში მცხოვრები მელომანი რაღაც რადიოტალღის დაჭერას ცდილობს. ისეთი შიშინი და შხუილია, აი, „ამერიკის ხმის“ დაჭერის დროს რომ ხმას ამოზღვნი ხოლმე. მაგრამ საქმე ისაა, რომ სცენაზე ეს შიშინი არავის ანუხებს, მხოლოდ პარტერში დავყრუვდით, ვიდრე იმ ჩემი ცოდვით სავსე მელომანმა, როგორც იქნა, რაღაც ტალღას არ მიაგნო, მიკროფონი გამართა, რადიოს ლილაკები საჭირო პოზიციაზე დააყენა და პოპულარულ რეტრო სიმღერას უხმოდა და უსმენოდ არ აჰყვა. ძალიან დიდ მონდომებით და გრძნობით კი მღეროდა. ოთახში პატრონის ურწმუნად თმაგანნილი, პარკინსონიანი ბებია შემოიპარა, მიკროფონს მიუახლოვდა და მელომან მეზობელთან ერთად ასევე უსმენოდ, მაგრამ ძალიან სავარაუდოდ დაინყო სიმღერა. მერე ამ ორმა, ვითომ არაფერიო, უწყინრად ატყეს კოცნაობა. ამასობაში, პარკინსონიან ქმარს გაახსენდა, რომ ცოლი დაეკარგა, პანიკაში ჩავარდნილი მელომანის ოთახში შეიჭრა და თავისი ნაკოცნი ცოლი სახლში ნაცუხებს. ისიც ნებებრად, კოცნა-კოცნით გაჰყვა ქმარს თავის ბუდეში. მერე სამივე ბინაში ბინადრები საგარეო ტანსაცმელში ეწყობიან და პარკინსონიანების ბინაში ზემს მართავენ სანთლებიანი ტორტითა და ბოთლი ღვინით.

ლიტურჯი „კომუნალკის“ საზეიმო ნაწილი კულმინაცია აღწევს. ჩვენი გმირები თავდავიწყებით ცეკვავენ, კოცნაობენ, ბანცალებენ. მერე პარკინსონიან ქმარს თვალებს უხვევენ და დამალობანას თამაშობენ. ჩხირკვედელა შვილი დასამალად, მელომანის ოთახში, კარადაზე ძვრება და ჭერსა და კარადას შორის ეკვებება. დედა იქვე მაგიდის ქვეშ ძვრება, მელომანი სამზარეულოში გარბის, პარკინსონიანი ქალი უკან მისდევს. ყველა დამალულია. ქმარი სახვევს იხსნის და დამალულებს ძებნას იწყებს. უცებ ხვდება, რომ სულ მარტოა და ისტერიულად ცოლის სახელს გაჰკივის. ოთხზე დამდგარი ცოლი ქმართან მიფორთხდება და გულში იხუტებს. მაგიდის ქვეშ დამალულ დედას იქიდან მელომანი გამოაძვრებს. მერე ყველა ერთად კარადასა და ჭერს შორის გაკვებული „ბავშვის“ გადმობრუნებას ცდილობს. და მაინც, ამ „აფსურდოვოს“ ბოლო კეთილია: არავინ დამავეებულია, ყველა თავის ბუდეშია — მსუბუქად მთვრალი და ნეტარი. მელომანი თავის ოთახში ტელევიზორს რთავს, იქ კი სრულიად განსხვავებული, სცენაზე მიმდინარე პერიოდთან შეუთავსებელი ახალი ამბებია. „ერემია“ თუ „ვესტი“ თავისი ტრამპით, ნეთანიაჰუთი, ახლო აღმოსავლეთით და ასე შემდეგ.

მერე ყველა თავის ოთახში როგორც შეუძლია ისე იხდის „საზეიმო ტანსაცმელს“, იცვამს საღამურს, პიჟამოს, კარლისონებს და ლოგინში მიძვრება. სპექტაკლის ფინალი იგივეა, რაც მისი დასაწყისი. სამ ბინაში ისმის ადამიანების სუნთქვა, ხვრინვის ნაირსახეობა, ბოღვა, ფშვინვა... სინათლე ნელ-ნელა ქრება და ადამიანთა ფიგურებს რძისფერი ფიფინება, პროექტორის შუქზე ქანდაკებებს ჰგვანის. იცვალაფერება. ცოტაც, და მალე ყველაფერი თავიდან დაიწყება და ზუსტად ისევე დამთავრდება. ასეთია ლიტურჯი „კომუნალკის“ ბინადართა „ხანგრძლივი ცხოვრება“.

ანალიზის დაწერა მინდოდა და გადავიფიქრე. უფრო სწორედ, ვერ მოვიფიქრე, რა დამეწერა...

„ჯიჯის კვითხით ალფაიდეს, ჩემი თუ არ გვჯერათ. იმას ჩემზე უკეთ ახსოვს ყველაფერი.“ რეზო ჭიჭინაძე

— კობე, რას შვრები, ძამია? ველარ ჩაიცი?

— ახლავე, გრიშა... მოვრბივარ! ახალგაღვიძებული კოტე ზღაზღნით გამოვიდა მოზრდილი ხის სახლის აივანზე, შარვალი და ახალუხი უკვე ჩაეცვა. აივანზე დედის მიერ გამოზადებულ ალუმინის თასში ხელ-პირი სწრაფად დაიბანა და ეზომი ჩაირბინა, სადაც უფროსი ძმა ელოდებოდა. ორივე ცხენი გაეზადებინა გრიშას და მოთმინებით ელოდა თავის ძმას. დილით ადგომა ჭირის დღესავით სძულდა კოტეს.

ბიჭები დედულეთში მიდიოდნენ, რაჭის მაზრაში, ბებია-ბაბუის მოსახლულე ბლად. გრიშასთვის ეს გზა უკვე კარგა გათელილი იყო. ტანადი და ჯანიანი ყმაწვილი კაცი გახლდათ. ტყე-ტყე სიარული უყვარდა, შიგადაშიგ ბუნების ხედებით ტკბობდა. მნიშვნელოვანი რაიონის რაიონს ბუნება მართლაც თვალსაჩინო ჰქონდა. თევზაობაც კარგ გართობად მიაჩნდა. სოფელ ზოდიდან მდინარე ჯრუჭულასა და ციხისწყალს ხშირად სტუმრობდა. დედულეთში, ჯაფარიძეებში სიარულს კი მას შემდეგ მოუხშირა, რაც ერთ ქალს თვალი დაადგა. მაკრინე ონში ცხოვრობდა ბაბუას მეზობლად. ქალსაც მოესწრო გრიშასთვის თვალის შევლება და გულგრილობა არ ეტყობოდა. მათი ურთიერთობა მისალმებისა და ურთიერთმოკითხვის საზღვრებს არ გასცდენია, თუმცა პერიოდულად ორივენი ვნებას აკვებდნენ თვალებიდან.

— დროზე, კოტე, დროზე, ნუ იზღაზღნები თორე მოგდებ და მიყურე მერე...

— აა, მოვედ, — შეახტა პატარა ნაბლისფერ ცხენს კოტე და დაელოდა ძმის მითითებას.

კოტე 15 წლის თუ იქნებოდა, შესახედავდაც მეტს ვერ მისცემდა. ძმას არ უძლიანდებოდა, რადგან ძამის ნაადრევად გარდაცვალების შემდეგ უფროსი ძმა მამობის როლსაც სწევდა. თავად-აზნაურობა დიდი ხანია გადავარდნილიყო, ამიტომ ოჯახის სიძლიერეც სადაც აორთქლებულიყო. ბიჭები ეწოდნენ მინათოქმედებს და პატარა-პატარა გვეგებიც დალაგებული ჰქონდათ საკუთარ მომავალზე.

— დედი, წავიდე, აბა, ჩვენ... — მშვიდობით გატაროთ მამაზეციერმა...

სოფელ ზოდიდან რაჭისკენ მიმავალი გზა მდინარე ჯრუჭულას ხეობიდან აღიოდა. შემოდგომა იდგა და ამ გზაზე დიდი მიმოსვლა გაჩაღებულიყო. რაჭის მაზრიდან ხშირად გადმოდიოდნენ გლეხები საჩხერის ბაზარში სავაჭროდ, ცვლიდნენ საქონელს, პროდუქტს, გრძობებს, ლხინსა და ვარამს. გრიშა საჩხერის ბაზარში ერთი თვის წინაც იყო, როდესაც ცხრა გავრცელდა ილია მოკლეყო და ცხრა ცრემლით დაიტირეს რაჭველებმა და იმერლებმა საქართველოს უგვირგვინო მეფე.

კარგი დარი იდგა. შემოდგომით ჯრუჭულას ხეობა ძალიან ლამაზდებოდა. შემოდგომის გახუნებული მზის ქვეშ, როდესაც წითელი, ყვითელი და მწვანე ერთმანეთში აირევა, სიხარულთან ერთად სვედანარევე გრძობებს აგიშლის და მთავარს მიგახვედრებს — სიცოცხლის მარადისობას, პირველი ადამიანების შორეულ ძახილს რომ შერწყმია და ხეობის პრესტიჟიერულ გამოქვაბულებზე დაკარგულა.

ძმებმა პატრიცხის გორაკი გადაიარეს და მდინარეების ციხისწყალისა და ჯრუჭულას შეერთების ადგილთან ჩავიდნენ. აქ კარგი თევზი იცოდა. თხელი კამკამა წყალი ხელობის საშუალებას გაძლევდა. თვალი უყო გრიშამ კოტეს — წავითევზაოთო და ძმები ერთდროულად ჩამოხტნენ ცხენებიდან, წყალი დააღვინეს და იქვე ნაპირთან, კუნელის ხეზე მიაბეს. დაიწყეს მამაპაპისული წესით თევზაობა. გახელდნენ. და ხელაობაც გიჟური გამოვიდა. ერთი მოზრდილი ხურჯინი აავსეს ცოცხალი თევზით. დრო ისე შემოდანდა, რომ მზის კლდეებში გადამაღვაც კი გამოეპარათ. დაღლილებმა ხურჯინიდან მჭადი და ყველი ამოიღეს და გვიანი სამხარი მიერთვეს.

— მონასტერში დარჩენა მოგვინებს ჩვენ, კოტე, ძამია, შემოგვალამდა. ტყე-ღრე მარტო ხანჯლით სიარული ვერ არის კარგი საქმე.

— დავრჩეთ რა, თევზიც გაუყუთ, მაშაოს გაუხარდება.

ნაჩქარევად მოითავეს შეჭამანდი, ცხენებს მოახტნენ და გზას გაუდგნენ. ონის გზაზე ჯრუჭის მონასტერს ვერ ასცდებოდნენ და ლამეს მაინც გაათენებდნენ ადამიანურად.

დაღამებულზე მონასტერს მიადგნენ. წინამძღვარს, მამა გიორგის გაუხარდა ძმების დანახვა — მოზრდილთა — შეაგება, დაგვიანებული სტუმარიც ღვთისააო... გრიშამ მადლობა მოახსენა და ერთი ხურჯინი თევზი მისცა მამა გიორგის — ღმერთმა ხელი მოგვიმართა დღეს და ერთად

გიორგი აბდუშელიშვილი

მოვარაყებულ ნაბანი



გავსინჯოთო. მამა გიორგი საშუალო გაქანების საქმოსანი იყო, მონასტრის შესანახად სხვადასხვა გზებს რომ მიმართავდა და საეჭვო სავაჭრო ურთიერთობებსაც არ ერიდებოდა. რაც მთავარია, მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მრევლის ნაკლებობას არ უჩიოდა. ოდესღაც დიდებული ჯრუჭის მონასტერი, ოდნავ შეღავათი, ისევ ისეთი მიმზიდველი იყო, თუმცა სასულიერო პირების რაოდენობა დიდად შემცირდა. გუმბათოვანი ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე, საღამოს ბინდბუნდში წმინდა გიორგის ბარელიეფი ბრწყინავდა, რომელზეც ორი წმინდა გიორგი იყო გამოსახული, პირით ერთმანეთისაკენ. ერთ-ერთი მათგანი გველშაპს ებრძოდა, ხოლო მეორე ბიზანტიის იმპერატორ დიოკლიტიანეს.

წინამძღვრის გარდა მონასტრის ძმობაში ოთხი ბერი და ორიოდე მორჩილი ირიცხებოდა. მონასტერს პატარა მეურნეობა გაემართა მდინარის ნაპირთან. სიმინდი და ლობიო მოჰყავდათ, რამდენიმე ძროხა და ოცამდე ცხვარიც ჰყავდათ და საკუთარი თავის გატანას არ უჭირდათ. იმ საღამოს მარტო არ იყვნენ, სამი შუახნის კაცი ჰყავდათ შეფარებული, ესენიც მგზავრები არიანო — უთხრა მამა გიორგიმ. ტრაპეზე ერთად დასხდნენ, მოხარული ნეწარა, ყველი, მჭადი და ბოსტნეული გემრიელად მიირთვეს. გრიშას სტუმრები თვალში არ მოუვიდა; ჩვენც ძმები ვართო, გაეცნო რომანი ყველას სახელით გრიშას. იმ ორს ხმა არ ამოუღია მთელი საღამო, რომანი გაუთავებლად ლაპარაკობდა, ათასი მთისა და ქვეყნის ამბავს ჰყვებოდა — მოკლელი ჰქონდა მთელი საქართველო, ოსეთში ყოფილა ერთი ხანოდა, კავკასიონის ჩრდილოეთით, სახლებს ვაშენებდითო — აღნიშნა. ცხენი შეუქო გრიშას, ხომ არ ყიდიო — ჰკითხა უხალისოდ და უარის მიღებისთანავე გააგრძელა ამბების თხრობა. ერთი შეხედვით ცუდი კაცები არ ჩანდნენ, მაგრამ რომანის გაბოროტებული, ცივი თვალები მის მიმართ უნდობლობას და შიშსაც კი იწვევდა.

გათენდა მეორე დღე. მოსასვენებელი სენაკები ეზოს კუთხეში, ძროხების სადგომს იყო მიდგმული. ცხოველების და გამხმარი თივის გემრიელ სუნს ადამიანთა მოსასვენებელი სივრცეც მოეცვა. ნაცნობი სურნელით გამხნეებული გრიშა დილაუთენია წამოხტა. კოტე ძლივს გააღვიძებდა. გარეთ გამოსულგზაში მშენებლები — სტუმრები კიდევ უფრო ნაადრევად წასულიყვნენ. თავადაც სწრაფად მონესრიგდნენ, მამა გიორგის მადლობა გადაუხადეს და გზას გაუდგნენ. დაადგნენ გზას, რომელიც კიდევ კარგა ხანს მიჰყვებოდა მდინარე ჯრუჭულას ხეობას. ლამაზ ბუნებას აქა-იქ ფერდობებზე სოკოებზე ამოზრდილი ხის სახლები ადამიანების არსებობის ნიშანს აძლევდა. სოფელ უზუნთაში ადრინეს

და სოფელ შექერისკენ გადაუხვიეს, რაჭის მაზრის პირობითი საზღვარი გადალახეს. გზაზე ერთი პატარა სასაფლაო გამოჩნდა. მასზე ქვის სვეტები და ჯვრები ამოზრდილიყო, თუმცა ყურადღება ერთ-ერთ ახალმა საფლავმა მიიქცია, რომელზეც ხეში ნაკვეთი დიდი ხატისმაგვარი სურათი დაემაგრებინათ. გრიშამ ცხენი ახლოს მისნია და გაოცებისგან ყბა ჩამოუვარდა, ხეში კაცი და ძროხა გამოეკვითათ. კაცი, რომელსაც მწყემსივით ეცვა, საბელმობული ძროხის გვერდით, მოწყალე წმინდანით ბედნიერად იღიმებოდა. სასაფლაოს შემდეგ ძმებს ერთი მონაკვეთი უღ-

გიორგი აბდუშელიშვილი

მოვარაყებულ ნაბანი



რან ტყეზე უნდა გაველოთ, თუმცა დღის სინათლეზე არ უჩანდათ დიდ ამბად.

— ჰოდა, რას გეუბნები, იასონი ამბობდა ამასწინ, აქეთ ტყეებში ყარალები მომრავლდნენო, პასუხის მომკითხავი არავინ ჰყავდა და ვაჭრებს აყარალებენ ბაზრობის დღეებშიო, ჩვეულებრივ დღეებშიც გამოდიანო.

— რა მაგის პასუხია, გრიშა, და, მონასტერში ის ხალხი არ მომენონა მე, ყარალებს ჰგავდნენ...

— ხოო, შეიძლება, მაგრამ ჩვენ რა, ძამია...

მიუყვებოდნენ ბილიკს დაბურულ ტყეში და მასლაათობდნენ მთისა და ბარის ამბებზე, როდესაც რაღაც შეძახილები შემოქმედებოდა უსაშველოდ. მოძრაობა შეაჩერეს. გრიშამ ძმას ანიშნა გაჩერდით და სივრცეს მიაყურადა. ხმა აღარ ისმოდა. ნელ-ნელა მოძრაობა გააგრძელეს. ბილიკი ეხლა ფერდობზე დაეშვა და როგორც კი გაივაკეს ძმებმა — წინ მიმავალ გრიშას მოულოდნელად თვალეში გაუნათდა — თითქოს მოულოდნელად მზე ამოზრწყინდა შუაგულ ტყეში და ასევე მოულოდნელად გაშავდა ყველაფერი, გვერდით მომავალმა კოტემ თვალის შევლება ვერ მოასწრო ძმისთვის, ცხენიდან მიწაზე რომ აღმოჩნდა, პირში ჭუჭყიანი ჩვრითა და ხელბეგაკოჭილი...

გრიშამ თვალები რომ გაახილა, პირველად მის წინ მოფუსფუსე რომანი შენიშნა, გვერდით გაკოჭილი კოტე. რომანი მის ცხენს კაზმავდა და ცოტა არ იყოს გაუკვირდა, რა ესაქმება ჩემ ცხენთანო, მაგრამ ნელ-ნელა გონება გაუნათდა, მიხვდა, რა შარშიც მოყოლილიყო, ნამოდგომა უნდოდა, მაგრამ თავი უხურდა ტკივილისგან, თან აღმოაჩინა, ხელები გაკოჭილი ჰქონოდა.

— რომან, რასა შვრები, თუ იცი? რას კადრულობ?

— გრიშას სიცოცხლე, გამოიძინე? არაფერს უკადრებელს, კარგი ცხენი გყავს და დიდ გზაზე გამომადგება, — უპასუხა რომანმა და გააგრძელა ფუსფუსი.

— ვინ ხარ, კაცო, შენ, შარავზის ყარაღი ხარ?

— შარავზის ყარაღები გოვუშვი უკვე დატვირთული, ჩემო გრიშა, მე კიდევ რუსეთში ვაპირებ გადასვლას და თუ გინდა, გეტყვი, ვინცა ვარ...

— მითხარი, შენი ჩირიმე, ცხენს მართმევ და აქ მაგდებ და ბარემ ვიცოდე, ვისთან იქნება ჩემი ცხენი...

— კარგი, მამონ მომიმინე, აღსარების ჩაბარების ხასიათზე ვარ, მღვდლებს ვერ ვენდობი და შენთან მაინც დავიცლები. მამა ადრე დაეკარგე და ბავშვობა მოჯამაგირეობაში გაავატარე. როცა თოთხმეტი წლის ბიჭი ვიყავი, მივატოვე ჩემი სოფლის სახლი, დედა და ოთხი დაი და სამუშაოს საძებნელად ბათომს გავემგზავრე. რამ-

დენიმე დღის შემდეგ ნაცნობმა როტმილდის ქარხანაში ნამიყვანა სამუშაოზე მოსაწყობად. ეს იყო ჩემი პირველი დიდი მოგზაურობა და დიდი გაოცება. ხაარ ბათომს ნამყოფი?

— არა.

— ჰოდა, პირველად რომ მივედი ქარხანასთან, ჩემი პირველი დიდადი იყო შეკრებილი და მთავარ ოსტატს ელოდნენ, რომელიც მუშახელს აგროვებდა ქარხნისთვის. მალე ოსტატიც გამოჩნდა, რკინისწვეტიანი ჯოხით, და მოახლოებულიც არ იყო, აქეთ-იქით რომ გადასცხო მუშებს და მიფანტა ჯგუფები — დღეს არ გვეჭირდება არცერთი მუშაო. იმ დღიდან ვერ ვიტან ქარხნის ოსტატებს. ამის შემდეგ ხუთი თვე ველოდი, სანამ მუშაობას დავენიწყებდი. ამასობაში რევოლუციონერები გავიცანი, იდეისა და ბრძოლის ხალხი, საინტერესო ცხოვრებით რომ ცხოვრობდნენ. რამდენიმე წელი ვიმუშავე იქა, სანამ იოსებ ჯუღაშვილი ჩამოვიდოდა ბათომს, გაგონილი გექნება...

— არა, არ ვიცი...

— აჰა, 1900 თუ 1901 წელი იყო, ამხანაგი კობა ჩამოვიდა ბათომს, ორგანიზაცია უნდა შეექმნა და კარგი ვაჟკაცები მჭირდებაო. მე ყელში მქონდა ამოსული ქარხანა უკვე, თავგადასავალი მინდოდა და პირველი ვიყავი, ვინც ბათომის სოციალ-დემოკრატებში ჩაენერა, სილიბისტრო ლომჯარიაც მაშინ ჩაენერა ჩემთან ერთად და სხვა კარგი ხალხი კიდევ...

— სილიბისტრო ვინაა?


— მოკვდა საწყალი, არ გაგიგია? გასაკვირი პირდაპირ. ჰოდა, ლომჯარია სანამ ამხანაგ კობასთან ჩაენერებოდა, გადასახლებული იყო ციხეში. ეს რომ გაიგო კობამ, ჩვენთანავე ნამდვილად და ეგრევე ჩაენერა ორგანიზაციაში. მერე გაფიცვები და მიტინგები დაიწყო და პოლიციამ ხალხი დააპატიმრა. კობას დავალებით ოსეთში გადავედი, ვლადიკავკაზში და იქ ვასრულებდი ათას საქმეს, პარტიისთვის ყარაღობასაც არ ვერიდებოდი, დანარჩენი კი მოგიყვიე მონასტერში ყოფნისას, მაგრამ არ გაინტერესებს, რატომ გიყვები ამ ყველაფერს?

— მაინტერესებს, შენი ჩირიმე...

— რა ვიცი, შეიძლება მომეწონე, შეიძლება გატყუებ, შეიძლება მომავალ რევოლუციონერს ვხედავ შენში, ან უბრალოდ, რომანიც არ მქვია, რას გეიგებ... შენთან არაფერი მაქვს გასაყოფი, კარგი ცხენი გყავს, რომელიც მე უფრო მჭირდება, ეს არის და ეს, თანაც გულუბრყვილო კაცი ჩანხარ და შენ პოლიციასთან საერთო არა გექნება რა, ვინ იცის? ალბათ პირველად და უკანასკნელად ვხვდებით...

აგრძელდება რომანი საუბარს და ცხენზე აღჭურვილობის მორგებას, ამასობაში კი გრიშას შარვის შიგნით ჩაქერებული უბიდან პატარა დანის ამოღება მოეხერხებინა და ხელზე თოკის თხსნას ცდილობდა. ნელ-ნელა ჭრიდა თოკს, საუბარსა და საქმეში გართულ რომანს რომ არ შეეჩინა, ამასობაში ხელებიც დაისისხლიანა, მაგრამ ყურადღებას აღარ აქცევდა არაფერს, გონება მხოლოდ გათავისუფლებისკენ ჰქონდა მიმართული. რომანი თითქმის მორჩენილი იყო ცხენის გამზადებას, როდესაც მოულოდნელად წამომხტარმა გრიშამ რიყის ქვა ჩასცხო თავში და გაუვალ ტყეში მოულოდნელად ამოზრწყინებული მზე ისევ გაანათა... ამჯერად რომანისთვის...

მოგვიანებით ადგილობრივები იხსენებდნენ საღამოს ონში ორ ცხენსანს, რომელთაგან ერთი ბავშვს ჰგავდაო თურმე, ერთი ცხენზე გადაკიდებული ცნობილი რევოლუციონერი ჩამოუყვანიათო. რაჭის მაზრის პოლიციის უფროსი დიდად გაუხარებია ამ ამბავს. მიმწუხრს ჯაფარიძეებში ასულა, რათა საჩუქარი მიეძღვნა სახელოვანი რევოლუციონერის დამტუსალებლისთვის. ოჯახის უფროსი თავიდან არ გაბედნიერებულა დიდად. არეულ დროში ასეთი ამბავი საშიში იყო, შურისძიების შეშინებია, მაგრამ საჩუქარს ალუფრთოვანებია და სიამაყით აღვსილი გარდაცვალებამდე იხსენებდა ხოლმე შვილიშვილის ისტორიას. საჩუქარი კი 1904 წლის ვერცხლით მოვარაყებული ნაგანი იყო წარწერით — „გრიშა ა-ს“. ამ ამბავმა ბოლომდე გახსნა მაკრინეს გულ-მკერდი გრიშასთვის, რაც მალევე ახალი ოჯახის შექმნის მიზეზი გახდა. ცხოვრება გრძელდებოდა...



შორენა ფხაკაძე

\*\*\*  
 მე არ შეგახსენებ თავს,  
 არავითარ შემთხვევაში!  
 და შენც დაივიწყებ ყველა გზას,  
 რომელიც ჩემსკენ მოდის.  
 მე აღარ მოვალ შენს სახლში,  
 აღარასოდეს დავაკაკუნებ შენს კარზე და  
 აღარც შენ ჩამისაფრდები კარის უკან,  
 ბავშვივით, შესაშინებლად.  
 შესაბამისად, აღარც მე შემემინდება  
 და იქნებ  
 ამოვწურო კიდეც  
 შენეული შეშინებები.  
 მე აღარ გავახშიანებ ჩვენს საერთო გეგმებს,  
 ისინი ხომ აღარ იარსებებენ  
 და ასე  
 ბევრად იოლი იქნება ცხოვრება.  
 ყველა ფინჯანი ყავა, რომელსაც  
 ამიერიდან დავლევ,  
 სხვის მიერ იქნება მომზადებული  
 და აღარ მკითხავენ  
 ჩვენი საერთო ახლობლები,  
 რამდენ კოვზ შაქარს ვყრი ყავაში.  
 თუმცა ისინიც აღარ იქნებიან ახლობლები  
 და მით უმეტეს,  
 საერთოები.  
 ვივლი ასე, ჩემთვის, წყნარად  
 და მეცოდინება, რომ აღარაფერი დარჩა საერთო.  
 მოგონებები? კარგი რა!  
 მათაც მალე დაეფინებათ  
 მტვრის ფარდა.

და რაც მთავარია:  
 მე არ შეგახსენებ თავს.

\*\*\*  
 ბავშვების ჟრიალური ავსებს ოთახებს.  
 თითქოს ყველაფერი რიგზეა.  
 და მაინც, გამოერევა მიძიმე და საშინელი:  
 — მას, მე ახალ წელს სასაფლაოზე ვხვდები  
 მეოთხე წელია,

ჩემი ძმის საფლავზე...  
 ამის მოსმენის შემდეგ კი  
 მზად ხარ,  
 აპატიო ყველაფერი —  
 შეუსრულებელი დავალება,  
 დაუსწავლელი გაკვეთილი,  
 დაგვიანება,  
 გაცდენა...  
 როგორი ტკივილის ატანა უხდება  
 და თან როგორ ასაკში...  
 ჩვენ კი, უფროსებს,  
 ჩვენი სტანდარტები გვაქვს დანესებული მათთვის  
 და ამ სტანდარტების მიხედვით ვითხოვთ.  
 მგონი, დროა, შევეშვათ სტანდარტსა და ჩარჩოს.  
 ის მხოლოდ ბავშვია,  
 ბავშვი, რომელმაც ძმა დაკარგა  
 და რომელიც  
 ახალ წელს,  
 თქვენ წარმოიდგინეთ  
 და როგორი წარმოსადგენია —  
 სასაფლაოზე ხვდება.

\*\*\*  
 კიდე კარგი, რომ არ შეგიყვარე.  
 კიდე კარგი,  
 სიზმრებად რომ არ გადამექცი.  
 კარგია, რომ არ დავგეგმე  
 შენთან ერთად გასატარებელი დღეები,  
 საღამოები,  
 წუთები,  
 წამები...  
 კიდე კარგი, რომ  
 ფიქრი დროულად შევაჩერე,  
 ოცნებაზე ხომ ზედმეტია საუბარი.  
 კარგია, რომ არაფერს ველი,  
 გადავრჩი, მგონი.

თორნიკას

— სად არის თორნიკე?  
 — თბილისშია, სანადიროდ —  
 გვესმოდა კითხვის პასუხად და  
 ველოდით შენს დაბრუნებას.  
 ერთხელაც აღარ დაბრუნდი, თურმე...  
 სახლში მოსულმა ბაბუაჩემმა  
 თვალი ვერ გამისწორა, ისე მითხრა:  
 — ვერ მოგიტანე კარგი ამბავი —  
 და შენი დალუპვის შესახებ მამცნო.  
 მე ვერ ვიტყვი ისე,

როგორც მეტირებოდა,  
 რადგან საერთო ბინის თხელი კედლები  
 ვერ შეაკავებდნენ იმ მოთქმას,  
 რომელიც გულში ტრიალებდა და  
 არ მინდოდა,

ზედმეტად შემენუხებინა ვინმე  
 ჩემი გლოვით.  
 ჰოდა, გამწარებულმა,  
 ტუჩები დავიკბინე და თანაც ისე, რომ  
 მთელი მომდევნო კვირა  
 საკვების მისაღებად პირის გაღება  
 ნამება იყო ჩემთვის.

მეორე დღეს ლექციებზე არ წავსულვარ.  
 ვინეტი და ისევ ჩუმად ვგლოვობდი,  
 ისევე ვიკებენდი ტუჩებს.  
 მესამე დღეს მოვედი.  
 ღმერთო, სად მოვედი? ვის პანაშვიდზე?  
 ვის დასტირიან?

მაგრამ მთავარი წინ მელოდა —  
 შენი დაკრძალვის დღე.  
 მე ვნახე ყინულზე დარტყმისაგან დამსკდარი  
 შენი ხელები და  
 ნეტა არ მენახა.  
 მე ვნახე კუბოში მწოლი  
 19 წლის ბიჭი.  
 თითქმის ჩემი ტოლი.  
 მხიარული.  
 ხუმარა.  
 თბილი.  
 და ახლა ისე გაცივებული, რომ  
 დედის ცრემლიც კი ვერ ალღობდა ამ სიცივეს.

დეკემბრის ბოლო დღეები შენია, მთელი ეს წლები.

ერთხელაც, ახალ ნაოპერაციევს და ნანარკოზალს,  
 აღარ გამახსენდა, რომ  
 შენი გარდაცვალების დღე მოდიოდა.  
 არ მაპატიე და არასოდეს რომ არ მომხდარა,  
 მაშინ დამესიზმრე.

არდავიწყების მინდვრებია შენი სამოსახლო.

\*\*\*  
 აცივდა... თითქოს არაფერი, მაგრამ  
 ადრეც ღამდება შედარებით.  
 სიყვითლე მომრავლდა ირგვლივ და  
 მწვანე ადგილს უთმობს ნარინჯისფერს.  
 გატკბა საღამოს ჭიქა ცხელი ჩაი,  
 ჩაივით ჩამტკბარი წიგნი მუხლებზე და  
 ალბათ მალე პლედიც დაემატება ამ ანსამბლს.  
 არავის ჰკითხა, არავისთან შეთანხმა,  
 მარტივად, მოვიდა და დაბინავდა  
 შემოდგომა.  
 და, რაც მთავარია, მისთვის ჩვეული  
 განწყობა მოიყოლა.

\*\*\*  
 რაც არ უნდა დაიმალო,  
 როგორც არ უნდა ცდილობდე, აერიდო,  
 ბედისწერა მაინც გიპოვის...  
 ჩაგველებს თავის საცეცებს და  
 მშვიდად, ისე, როგორც ჭადრაკის ფიგურას,  
 ადგილს შეგიცვლის.  
 არ გაჭრის თხოვნა,  
 მუდარა,  
 ვედრება...  
 აზრი არ აქვს სიტყვების შერჩევას.  
 დგება ხოლმე დრო, როდესაც ცხოვრება  
 მიგიმწყვდევს და მორჩა,  
 ნაბიჯს ვერ გადადგამ  
 საპირისპირო მიმართულებით.  
 სხვა რა დაგრჩენია —  
 თავი უნდა დახარო  
 და მიიღო ის, რაც  
 ცხოვრებამ მოგიმზადა.

\*\*\*  
 სისულელეა, განამდეს სიზმრების  
 იმ დროს, როდესაც ზუსტად იცი,  
 შენი ფიქრების ანარეკლია მხოლოდ.  
 თუ მოახერხებ, სწორედ  
 ეს ფიქრები უნდა ჩამოიშორო  
 და მერე სიზმრებიც აღარ იქნებიან  
 „ავის მაუნყებელი“.  
 ჩამოიშორებ, აბა რა:  
 რამდენი ფილმია სანახავი,  
 რამდენი წიგნი წასაკითხი,  
 რამდენი სპექტაკლის ბილეთია შესაძენი...  
 მოკლედ, ის, რასაც თავის დროზე  
 „კათარსისი“ უწოდებს,  
 შენ თვითონ უნდა მოუწყო საკუთარ თავს  
 და, რა თქმა უნდა,  
 ხელოვნება დაგეხმარება,  
 ზუსტად ისე, როგორც  
 წინათ დაგხმარებია.

\*\*\*  
 რა კარგია, რომ შემიძლია,  
 გესაუბრო ყველაფერზე,  
 მოგიყვე ყველაფერი:  
 რისი მეშინია,  
 რა მახარებს,  
 რა მეცოტავება  
 და რა მებევრება  
 ჩემს ცხოვრებაში.  
 შენ მისმენ.  
 მისმენ ყურადღებით და მერე  
 ერთი ხელის მოსმით  
 სულ სხვაგვარად დამანახებ ყველაფერს.  
 მოვდივარ შენთან, როგორც აღსარებაზე,  
 მზად ვარ, ჩაგახედო  
 ჩემი სულის ყველაზე  
 ბნელ კუნჭულში.  
 შენ არ უფროსი ამას და მეც  
 ვსარგებლობ ამით.  
 რა კარგია, რომ გადავიკვეთეთ.  
 შენ რომ არა, ვინ დამამშვიდებდა იმ დღეებში,  
 როდესაც ძალიან გამიჭირდა  
 სიმშვიდის პოვნა...

შენ რომ არა, ვინ მეტყოდა, რომ  
 ყველაფერი ჯერ კიდევ  
 წინ არის და მე, უბრალოდ,  
 ცოტა უფრო მეტად უნდა ვინამო  
 საკუთარი თავის და ძალების...  
 მოვდივარ... და კიდევ ბევრჯერ მოვალ, ვიცი.  
 შენგან ყოველთვის მიმყვება სიმშვიდე  
 და განწყობა, რომელიც  
 მხოლოდ შენ მოგაქვს.

\*\*\*

ვინ იცის, ფსიქიკის რომელ კუნჭულში  
ვერ ეგუები მომხდარს და როდესაც  
ვინმე მოდის,  
ისევე გგონია,  
რომ მამა შემოაღებს კარს...

ვინ იცის, იქნებ ამიტომ არის,  
რომ თითქმის ყოველ ღამით  
სიზმარში მასთან ერთად ხარ.  
არა, განსაკუთრებული კი არაფერი ხდება  
ამ სიზმრებში:  
უბრალოდ, სახლში ხარ ყოველდღიური  
საქმით დაკავებული  
და ისიც აქ არის,  
შენს გვერდით...  
იქნებ ეს ის არის,  
რასაც ყველაზე მეტად ისურვებდა  
გულიც და გონებაც?

**ჩემი ადრესატი**

ჩემი ადრესატი  
არ კითხულობს ლექსებს.  
მას არ აინტერესებს პოეზია.  
მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია  
ცხოვრების მატერიალური ასპექტები  
(სხვადასხვა ბანაკიდან ვართ,  
მე — პლატონის,  
ის — არისტოტელესი).  
მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია  
დღევანდელი დღე,  
ნამი, რომელიც ახლა დგას,  
ხოლო მე, როგორც მთელი ჩემი ცხოვრება,  
ვიხედები წინ,  
მომავალში  
და იქნებ ეს შეცდომაა, რავი...  
ჩემი ადრესატი  
ბევრად მაღალია ჩემზე და  
იქნებ ზემოდან უკეთ ჩანს ყველაფერი...  
ჩემი ადრესატი განსხვავდება ჩემგან, რადგან  
ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის  
სიტყვების მნიშვნელობა.

**ჩხარი**

გაიყიდა სახლი და  
იქ აღარ მიმესვლება.  
ახალმა მფლობელმა დაანგრია:  
ოთახები, სადაც მეძინა,  
ოთახები, სადაც ვმზარეულობდი,  
ოთახები, რომელთაც ვალაგებდი  
და აივანი, რომელთანაც  
ჩემი ბავშვობის ყველაზე  
ფაქიზი მოგონებები მაკავშირებს.

მომენატრება:  
კიბე, რომელიც ბევრჯერ,  
ჯერ კიდევ ბავშვს,  
არაერთხელ გადამიხვეტავს;  
აივანი, რომელიც უკვე ვახსენე;  
გზა სახლიდან წყარომდე;  
გზა წყაროდან სახლამდე;  
მეზობლების ზემოიშორული ინტონაციები  
მომენატრება.

დამრჩა რამდენიმე ფოტო  
და მოგონებების მთელი წყება.  
საბედნიეროდ, დამრჩნენ ადამიანები,  
რომლებთანაც  
ის სახლი, ის ჭიშკარი, ის წყარო და ის ქუჩა  
მაკავშირებდა და მაკავშირებს.  
მაგრამ მაინც:  
ველარასოდეს დავჯდები  
იმ სახლის აივანზე  
და ველარ გავხედავ ქუჩას, საიდანაც  
ჩემი ბავშვობის ხმები ისმის.

\*\*\*

...რადგან სიყვარული, უპირველესად,  
ფიქრია, ამიტომაც  
მე აღარ უნდა ვიფიქრო იმაზე,  
რომ  
ჩვენი შუქნიშანი  
აღარ არის ჩვენი  
და ჩვენს საყვარელ ქალაქშიც  
აღბათ  
სხვა წყვილი სეირნობს.  
ჩვენს საყვარელ ყავას აღბათ  
სხვასთან ერთად სვამ ახლა...  
...რადგან სიყვარული ფიქრია,  
სწორედ ეს ფიქრი უნდა მოვიცილო,  
და მხოლოდ მაშინ შევძლებ,  
ის სიზმრებიც ჩამოვიშორო,  
შენზე რომ მიყვებიან...



ნინო კაკაჩია

**სოფელი**

მაგონდება სოფელი,  
ძველ ჭიშკართან თელა  
და ქვითკირის სახლი  
მამაჩემის ხელა.  
მაგონდება სოფელი,  
დედა — მარტოხელა...  
სიყვარულის მთოველი  
უნაპირო მზერა.  
ერთი ციდა სოფელი,  
მარგალიტის უბე...  
გარგარების გორები,  
კამეჩების გუბე.  
გრძელი გვიმრის შარები,  
იქვე ისლის შუკები...  
უხვი ნიაღვრებით  
გრილი გაზაფხულები.  
ტიტლიკანა ბაღლები,  
ეზოს კეკლუცუნები...  
ცაზე ღრუბლის ღარები  
ვეებერთელა ცურებით.  
მინურებში ძაფები,  
ნორჩი აბლაბუდების...  
მონადირე ძაღლები,  
სტვენა საღამურებით...  
ოჩოპინტრეს კვალდაკვალ  
შემოვლილი ტყეები...  
ამ ჭალების გადაღმა  
ისევე ორლობები.  
აივნებზე სარეცხი  
გაფენილი მწკრივად...  
შორი ჭვავის ყანები...  
იქვე ყოვლადნმიდა.  
ქვა-ქვა ლოქოს დასდევდა  
ბიჭი ოინბაზი...  
ცას ლარივით გასდევდა  
თვითმფრინავის ხაზი.  
ხევხუვებში წვეზოდა  
შემოდგომის ნისლი...  
იფრქვეოდა სურნელი  
კუნელის და ფიჭვის.  
ზაფხულობით მდინარე  
ხამანკებით... მარჩხით...  
და რაც გინდა, ინატრე,  
და რაც გინდა, ჩათქვი.  
ერთი ციდა სოფელი,  
სიყვარულის კერა.  
ორჩხომელის ქიმებზე  
კირჩხიბების ცვენა.  
ჭრიჭინების ჭრიჭინი...  
ჩერო ფენა-ფენა...  
მზეზე ნოლა გულაღმა,  
ჭილყვავების ცქერა.  
კარგი იყო სოფელი,  
ყველაფერი ერთად...  
ისევე ჩემი სახლი —  
მამაჩემის ხელა.

**ალეგანდა**

ზღვა თბილია,  
ინურება აგვისტო,  
ისევე ჩვენ და  
ისევე ალემანდა.  
სანაპირო თოლიებით  
გაივსო.

ზღვა ჩვენია,  
ჩემო ალექსანდრა!!!  
ეს კისერი,  
ეს გაშლილი მკლავები...  
სველი თმები,  
ქარიშხალს რომ მოგავს;  
მგზნებარეა,  
როგორც ამ ზღვის პორტალი  
და ვიცი, რომ  
უსათუოდ მოგვეკლავს...

ზღვა თბილია...  
ინურება აგვისტო.  
ალექსანდრა,  
ჩემო ალექსანდრა...  
ყველაფერი  
რა ლამაზად დაინყო —  
მე და...  
შენ და...  
ზღვა და...  
ალემანდა...

**აკაციები**

ციდან ციციქნა  
ცილის ციდა,  
ცივი აკაციები...  
ვიცი, ისევე შენთან მინდა  
შენთან დანამდვილებით...  
ახლოვდება დაისი და  
შარაც გაირინდება.  
შარშანდელი მაისივით  
წელსაც შენთან მინდება.  
ყველაფერი ამაოა,  
არ ვიცი რა იქნება...  
ცივი აკაციები და  
უმონყალოდ ბინდება.

**თუშათი**

პირიქითა ალაზანს  
ჯანღი გადაეფარა,  
სადაცაა ინვიმებს,  
გადანდება ბორბალოს.  
ოი, დედა სამშობლოვ,  
მთის კიდიდან კიდემდე,  
რა კარგია თუშეთი!  
რა კარგია ომალო!  
გვიან შემოდგომამდე  
აქ დავრჩები მგონია.  
ახლო არის ზამთარი,  
დღემ საგრძნობლად იკლო...  
ოი, დედა სამშობლოვ,  
არ ვართ შენთან მართალი!  
რა კარგია თუშეთი!  
რა კარგია დიკლო!  
მეცხვარებს თეოზე  
აუშვიათ ძაღლები,  
მინდა, ერთხელ გიმღერო,  
ჩემებურად შეგაქო.  
როცა შენით ვივსები  
ურვეულად ვმალდები...  
რა კარგი ხარ, თუშეთო!  
რა კარგი ხარ, შენაქო!  
აქ ღმერთების სახლია,  
აქ ღმერთების ბუდეა...  
შენი ცეცხლი მინთია,  
ვლაპლაპებ და ვინვი!  
თურმე შენით დაინყო,  
ხელთუქმნელო ბუნებავ,  
ამ სამყაროს შექმნაზე  
ღმერთმა დიდი ფიქრი...

**ფუზა ზამთარს**

თვალუნვდენელი დღეების იქით  
ჩასაფრებული ინვა ზამთარი  
და ამოყინულ ვერცხლის ხახაში  
პირწავარდნილი ყვავები ეჯდა.  
სევდაც მქონდა და სინდისის ქენჯნაც,  
სევდამ თოვლივით მოიცვა ქუჩა,  
ვლელავდი, ვწუხდი და ჩემთან ერთად  
გულამოსკენილი ზამთარიც წუხდა.  
ახლოვდებოდა ღამე პირუტყვი  
და ღამე თოვლიც უსიტყვო იყო...  
ჩვენ იმ ღამიდან ერთმანეთს ვუფრთხით...  
ამავდროულად ერთმანეთს ვითხოვთ...  
თოვლის ხომალდით გაივსო ზეცა.  
თოვდა, ზამთარი დროს არ კარგავდა...  
მეც თოვლის უცხო სამოსი მეცვა  
თოვლის სიზმრების დასახატავად.  
თვალუნვდენელი დღეების მიღმა  
ზამთარს უჩინო ნისლი ეკავა.  
ყვავები ეჯდა ვერცხლის ხახაში,  
ჩვენი ცხედრების წასალეკავად.

დასაწყისი პირველ გვერდზე

რახან უბანი ქალაქგარეთ მდებარეობს, ინფრასტრუქტურისთვისაც იაფფასიან მასალას იყენებენ. დაფხავებული ბინები მიჯრით ჩანსოვლია, გარდამგარდმო, ბანების შთაბეჭდილებას რომ ტოვებს, გეგონება, ხალხიც წყალნაღებელი ცხოვრობსო. ვინრო დასახლება გორაკზე შეფენილა, ზედ გადასავარდნზე, ვისთვის უბრალო ბორცვს რომ წარმოადგენს, სამანქანო გზის გასწვრივ აღმართულს, ვისთვის კი საშიშად დამრეც ფერდობს, უშნოდ ახორხლილი ფარდალალა ქობნახები, რომელთაგან ერთ-ერთში ეს კაცი ცხოვრობს და მტანჯველი სიზმრებით იზაფრება, როგორ დაგორდა იქიდან და როგორ აღმოჩნდა მანქანის ბორბლებში. გვარიანადაც ფეთდება, მაგრამ გარეთ გამოსვლისას მღელვარებას არ იმჩნევს, ვითუ, მასხრად ამიგდონო. კაცის მიმართ ხომ იმგვარი დამოკიდებულება უყალიბდება, როგორ წარმოდგენასაც თვითონ შეუქმნის.

ბაზარიც იქვეა, სადაც ყოველდღე მსგავსი სცენები მეორდება. მტვირთავთა ურიკებს ჭრიალი გააქვთ. ვაჭრები დახლებს დასტრიალებენ. თავმლიან ბებრუხანას ხახვი, კარტოფილი და ცოტაოდენი მწვანელი შეუქმნია, თუნგივით დიდრონ ქვაბში წვნიანი რომ მოხარშოს. დიდხანს უნდა ეყოს, მორიგ პენსიამდე. სუნელების სურნელით გაჯერებულ შაერში დაჭაობებული გუბე სიმყრალეს ფენს, გეგონება, მთელი დასახლება სიძულვილს მოუცავსო. მისი ამოშრობა პასუხისმგებელ პირებს აზრადაც არ მოსდით. მხოლოდ შენიშვნად შეაქვთ გრაფაში — გამოსასწორებელი პუნქტები. ლუდსახარშთან არსებული სახაშის გასწვრივ გრძელ დახლზე საქონლის ხორცს ჰყიდებიან. მომჭირნე მომხმარებელი გულისხმეთქებით ითვლის ხურდებს, ყასაბს ფული ხომ არ გადავაცოლო. შინ მისვლისას კი ტახტზე მისვენებული ეძლევა მჭმუნვარებას მტკივანი სახსრებით.

კაცი ჩიხისკენ გადაუხვევს, სადაც მათხოვრის ხმა მიწყდება და უცებ ფერხით ბრჭყვიალა მონეტას პოულობს. ჯერ აქეთიქით მიმოიხედავს, სულ სამი მოსახლე რომ ცხოვრობს. გზის მარცხნივ მდგარი სახლი ფაშფაშა ქვრივს ეკუთვნის, ერთადერთ ვაჟს გულითადად რომ ზრდის, მამით ობლობა რომ არ აგრძნობინოს. უბანში შარანი ევას ეძახიან, სანათესაოში ფხუკიან ევას, სამსახურში კი კაპრიზნ ევად მოიხსენიებენ. იგი საბავშვო ბაღის მწირ სასადილოში მუშაობს მომმარაგებლად, სადაც საკვების დანაკლისი თუ აღმოაჩნდათ, ეჭვი მასზე მიაქვთ. ფიტულის აღნაგობიან მზარეულზე არც კი იფიქრებენ, ნამდვილი მიზეზი ვინცაა, რადგან იმდენად გამხდარია, ფაქტზეც რომ ნაასწრონ, შეგარგოსო, ეტყვიან. ევას დიეტას კი ერთი ბენო ფუნთუშაც ჰყოფენ, მწყობრიდან გამოსული სასწორზე რომ შედგეს საგოდებლად. მოთქმით დასტირის თავის სიმსუქნეს, გარდაცვლილ მეუღლეს, მომდევნებულ ნათესავებს და უიღბლო ცხოვრებას, წარსულში დაშვებულმა შეცდომამ რომ განუსაზღვრა. თან ციფერბლატზე გამოსახულ სამ ციფრს სასტიკ მზერას არ აშორებს.

მარჯვნივ მდებარე ეზო-კარი, რომლის ფართობი ორივეს ტერიტორიას აღემატება ერთად აღებულს, ბერეკე დედაკაცს ეკუთვნის, აბეზარ გოჭთა პატრონს, მუდმივად ჭყვიტინის თანმდევი ხმებით გარემოცულს. მოუსვენარ სახეზე ფარული ტანჯვა მუქ ლაქებად აღებჭდება, რაც მის თვალში მოახლოებულ ალმასარულს მოასწავებს. თუმცა მაინც დაუზარლად შრომობს, თითქოს იმქვეყნად რამეს ნაიღებდეს. ძილშიც მშფოთავს და ისეთი ხვრინვა სჩვევია, ფანჯრის მინები საწყალობლად ზრიალებენ. შავგვერდმან ქალს რატომღაც ლუბას ეძახიან. ეზოს სიღრმეში გამართული საღორე, საქონლის ევება ფაშვივით გამოშვილი, ნუმპეს და ტალახს ქმნის, რაც ღორებისთვის მისწრებაა.

ლუბა ფულის შოვნაზე მეტად სახელის შენარჩუნებაზე ზრუნავს. დამის სამ საათზეც რომ მიაკითხონ საუკეთესო ნეკნებისთვის და მაცივარში არ ჰქონდეს მარაგად, ღორს მათ თვალწინ დაკლავს ჭრახის შუქზე. აბა, კლიენტს ხელცარიელს როგორ გაუშვებს. ხომ გაუტყდა ცნობილი ვაჭრის სახელი.

მესამე ნაკვეთი, შუაში ჩამდგარი ქობით, ევას კარ-მიდამოს გასწვრივ მდებარე, სწორედ ამ კაცს ეკუთვნის, ახლა შინ რომ

ბრუნდება და ცნობისმოყვარედ დაჰყურებს მონეტას.

— ვისას იღებ? განა შენია? — გაჰკენწლავს ამ ამბავს შესწრებული ფაშფაშა ევა, სინამდვილეში იმაზე გულდაწყვეტილი, თვითონ რომ ვერ მოასწროს ალები.

— რაც არავის არ ეკუთვნის, ჩემია! — დაბეჯითებით ამბობს კაცი.

— შენი ვითომ რატომ არის, გიტო?! — ასე ამ კაცს ჰქვია.

— იმიტომ, რომ მე არარა ვარ! — უღიმის გიტო და ნაპოვნ ფულს ხელში აჩქრებს, მაინც იქით მიდისარ, ჩამოსახვევითან მათხოვარი ჩიხს და უწყალობს.

— ფული, რომელიც ჩხრიალებს, ღარიბებს ეკუთვნის! — აღნიშნავს შთამბეჭდავად.

არადა, გიტო სულაც არ არის არარა. პირიქით, ყველას ეხმარება. ამას წინათ შეშის დაპობას სწორედ ეს მკაცრი ქალბატონი ეაჯვებოდა, საჭიროებისას მყისვე რომ დატკბებოდა ხოლმე:



დიმიტრი ნიკლაური  
გიტოს დაბადების დღე

— მიყვარს შენი დამოკიდებულება საქმისადმი, ხალისიანი ხელოსანი ხარ! — თავლავს, აქეზებს, გიტო კი ცნობისმოყვარედ აწყვეტინებს, შენ შეილს რატომ არ დააპობინებო.

— ობოლია, ოფლიანდება, ცივდება და ტემპერატურა ოცდაჩვიდმეტ გრადუსამდე უწევს! — ამომწურავად და სხაპასხუპით პასუხობს ქალბატონი, ნუთუ ამდენს შენ თვითონ ვერ უნდა ხვდებოდეო. კაცს მოყვანილი არგუმენტი ქედს ადრეკინებს და ნაჯახის მოსატანად მიდის, დიდხანს რომ ასულდგმულოს მიყრუებული მიდამო მონოტონური დარტყმებით.

— რა ხმებია? — იკითხავს უბნის ცნობილი უსაქმური, ჩოფურას რომ ეძახიან. ასეთები, თითო-ოროლანი, ყოველ უბანში არიან, წყვილ-წყვილად დაიარებიან და ფილოსოფიურად მსჯელობენ. უსაქმურები უწოდებდა აზრებს ისე თანმიმდევრულად გამოთქვამენ, ამქვეყნად ჭკუის საკითხავად გაჩენილანო.

— შემას აპობენ! — მრავალმნიშვნელოვნად უხსნის ნითური თანამგზავრი, ჭორფლიანი სახე რომ აქვს ვარსკვლავთცვენაში მოყოლილივით და რახან ურთულეს საკითხს ნათელი მოჰგინა, ჩოფურას მონყალე ღიმილიც დაიმსახურა. მათ ერთხელ დაახლოებაც სცადეს გიტოსთან.

— კალამს იმიტომ არ ვკიდებ ხელს, ცხოვრება ტანჯვის აღწერად რომ არ მექცეს! — დინჯად მიმართა ჩოფურამ, — შენი გადასაწყვეტია, საზოგადოების რომელ ფენას მიაკუთვნებ თავს. მგლებს თუ აირჩევ, აკერ ვართ, ხოლო ტურა მაინც ტურაა, თუნდაც აფთარს მიჰპაძის!

— ნამდვილი ვაშაყველი ბრძანდები! — მადლიერება გამოხატა გიტომ, მაგრამ მათგან თავი შორს დაიჭრა.

— მასხრად მიგდებ? — იუკადრისა ჩოფურამ დაცინვა.

— მტყუან-მართლის ძიებას მაშინ შეწყვეტ, როცა მიხვდები, რომ ამ ქვეყნად თითოეული ჩვენგანი მტყუანია. ნამდვილს ყველამ ვულაბატეთ, ნულიდან რომ დაგვენ-

ყო და თანაბრობა შემდგარიყო. აქ დაბადებით შავ დღეში ჩავცივდი, მაგრამ განა ავიხსნენს რამე? — ვრცლად უპასუხა გიტომ.

— როგორ არ ავიხსნენს! — შეენინა-აღმდეგა ჩოფურა, მისი ნათქვამი აზროვნების სხვა კატეგორიად რომ მიიჩნია, — მასხოვს, პატარაობაში ბაბუაწვერებს ფეხით რომ ვთელავდი, ბაბუაჩემი საქციელს მინონებდა, ასე დამტვერვას უწყობო ხელს.

მაგრამ ჩოფურას თავის ირგვლივ ისეთი შევრილები აღმართა, ვერაფრით მიუდგებოდი. ჰოდა, გიტომაც ზურგი აქცია. იმ დღეს კი, შეშის დაპობას რომ მორჩა, ევამ ღვინით უმასპინძლა. შენდობის თქვეს, ცოცხლები ახსენეს და როცა სალაპარაკო აღარაფერი დარჩათ, გიტო შინისკენ გაეშურა.

2

ლამპიონის ბოძზე მიყრდნობილი გიტო შორიდან აკვირდებოდა, სადგურზე

ლა იყვირებდა, მართალიც ის იქნებოდა. ძირითადი პერსონალი მარტივი სქემებითაც იოლას გადიოდა. ნიაღვრების გარეშეც მშვენივრად გრძნობდნენ თავს და ცხოვრების სიღრმეებში წვდომა არაფერში სჭირდებოდათ. გიტო რეჟიმს ადვილად შეეგუა. დროს დიდ მნიშვნელობას არც ანიჭებდა. მისთვის ყოველდღე სხვათა გამოჩენის ჯერი დგებოდა, რომელთაც თავისზე უპირატესად მიიჩნევდა. მათ უილაჯო ლასლასაც კი მეფურ ნაბიჯებად აღიქვამდა და დიდებულ შთაგონებას მოეცვა, მაგრამ რახან ზოგადად ფიქრები არ ჩანს, ისე საწყალობლად გადმოხედავდნენ ხოლმე, გეგონება, ჯამბაზი დაენახათ.

გიტო ადრევე ჩასწვდა მეფური უბრალოების საიდუმლოს, ნამდვილი სინანული არავის დასანახად დაღვრილი ცრემლები რომ იყო. ღირსეულ სიცოცხლეს თუ ვერ მოახერხებდა, იქნებ სიკვდილი მაინც შესძლებოდა. ამიტომაც ცხოვრება წვრილმან სიკეთეთა ჩადენას მიუძღვნა. ოდესმე ხომ

მისი ჩრდილიც გაქრებოდა, სიცოცხლეში ერთგული მსახურივით რომ დაჰყვებოდა მზიან შარავზებსა თუ ლამპიონების ფერხითით. მღერე ტბორი, სადაც პერიოდულად სათევზაოდ დადიოდა ხოლმე განტვირთვის მიზნით, მის გარეშეც მშვენივრად ილიკოვებდა. ეს ადგილი ერთმა ძველმა მეთევზემ ანახა, ნაპირზე ცეცხლს რომ აჩალებდა, მებაღურები ირგვლივ რომ შემოსხდომოდნენ და ფილოსოფიის კათედრის ღვანლმოსილი წვერებით ემსჯელებათ. მათ მოსმენას არაფერი სჯობდა. გიტო ცდილობდა, ერთი სიტყვაც არ გამოჩინებოდა. თან ხელში ანკესი ეჭირა და თევზის მოლოდინში საკუთარ ანარეკლს დაჰყურებდა. ჭავლების ლიცლიცი საღებავების შერევას ჰგავდა, წყლის ზედაპირზე გამოსახულების აღებჭდვას, არასდროს რომ არ ემგვანებოდა ნამდვილს. განა რეალობა გაქარწყლებოდა წარმოსახვის გასამარჯვებლად? ისედაც, როცა მარტო რჩებოდა, პირქუშად წარმოადგენდა ხოლმე თავის ალსასრულს, როგორ მოიყრდა თავს მის პანაშვილებზე ორად გაყოფილი საზოგადოება. ერთი მოვალე იქნებოდნენ, შესაძლოა ოდესმე ამ ტბორში რომ დაეხრჩოთ პროცენტების დაფარვით გაბეზრებული თავი. მეორენი კი მევახშენი, ბჭობას მიცემულნი, დანაკარგს ძუნწად რომ დაითვლიდნენ, რადგან ზემდინენით ეცოდინებოდათ, საზოგადოება ერთხელ მიღებულ წესს რომ არ დაარღვევდა. არ ანაზღაურებდა იმას, რაც არ დაზღვეულა. თუმცა საქმიანად კი ილაპარაკებდნენ, გეგონება, ზესივრცულ კანონზომიერებათა დეტალებს აზუსტებენო, ქარის ხმაური, მიღმიერი მხარის შემადგენელ ნაწილად აღქმულნი, მათ თანმიმდევრულ ბუტბუტს მისამღერით რომ შერეულდა.

გიტოს მართალია მარადიულობის შეგრძნება არ ტოვებდა, მაგრამ სიხარულის აღქმა დაჰკარგოდა. ყოველი დღე დღესასწაულია, ჩემი გული კი ვერ ზეიმობსო, გაივლება გულში. სინამდვილის აღნუსხვას იმიტომაც ეშურებოდა, ტყუილებში გახვე-

ვა რომ არ სურდა, რადგან მერე თავის გასამართლებლად სიტყვებში ქექვა მოუწევდა და ვაჭრობაში გამოჯეკილი მეძველმანე-სავით, საქონელს კაპიკებში რომ იძენს და მამასისხლად ჰყიდის. ისინი აიძულებდნენ, ფიცით დაემტკიცებინა, რა თქვა და რა არ უთქვამს. გამოცდილების მოხვეჭას, რამაც აქამდე მოიყვანა, დიდი დრო ნაელო. ასაკი მაშინ იგრძნო, ბიჭოს ნაცვლად კაცოთი რომ მიმართეს პირველად. არადა თავს ისევ ახალგაზრდად თვლიდა. ძველებურად მოსწონდა ჟღერი ფერებით გაჭედილ შემოგარენში ხეშეში ხეების ცქერა და ღრინანტელს განრიდებული მიდაბო, სადაც დიდხანს შეეძლო თავჩალუნულს ეარა. ხმაური დღესასწაულზეც ეყოფოდა, წელიწადში ერთხელ რომ იმართებოდა და ქალაქის მთავარ მოედანს საახალწლო ნაძვის ხით რთავდნენ. ისიც ცნობისმოყვარედ აცეცებდა თვალებს. ცერემონიალებს შეურჩევ-ელ მზერას ხომ ადვილად გააკვირვებ.

რაც დავინწყებას მისცემოდა, კანონ-ზომიერიც იყო. რაც არა, უნდა ხსოვებო-და. სიცოცხლის საუკეთესო პერიოდს ჩავ-ვლო და წარსული გაცარიელებულ კარი-ერს დამსგავსებოდა, რომლის წიაღიდანაც სახადო სულ მოთლად გაეზიდათ და კუბ-ტი მინურის მეტი არაფერი დარჩენილა. ძველ ამბებს ტკბილად იგონებდა. მიყვებ-სივრცეს, ნაცნობი ბგერებით აღსავსეს, აბსტრაქტულ სცენად წარმოიდგენდა, თი-თქოს მისთვის ძვირფასი ადამიანები ისევ იქ ყოფილიყვნენ და ძველებურად ემხ-იარებოდა. მაგრამ ილუზია უბადრუკი ნის-ლივით იფანტებოდა, რადგანაც დროს, მძ-ლავრ გენერატორთა და ურიცხვ ნისქვილ-თა მფლობელს, მკაცრი ბრძანება გაეცა, აქაურობა მიეტოვებინათ. თანაც იმდენად დიდი ხნის წინ, ვინც რამე დააშავა, ზღო-კიდეც. აწი კი ყოველ ჯერზე მომჩივანს ფუ-ჭი დავა ღრძობდ და უდიდესად წარმოაჩენ-და. პირქუში დრო ამავე დროს ღრუბლის ფართლესილით მოვაჭრე მექარავენს აგონ-ებდა, ურიცხვ ფარდათა კუმჭ დამტარებ-ელს, წარსულის ყოველი დღე გაუმჭვირი ქსოვილით რომ გაემიჯნა. შარშანდელს ძალუმ ამორებდა შარშანდელს და მას ველარ გაეხსენებინა, რომელი ამბავი უწინ მოხდა, რომელი გვიან. სცენა იგივე ხარა-ჩოებით მოერთოთ, როგორც ადრე, გე-გონება, ხელი არაფრისთვის უხლიათო. უხეში ბლახი როზგის ქვეშ გაზრდილივ-ით დაგრეხილიყო, რომლის თავზე ჯერ კიდევ იდგა კირით შეფეთილი, ნესტგამ-ჯდარი კედელი, ხანდაზმულობას რომ დაეზ-ნიქა, შხაპუნა წვიმა კი დარდს მატებდა, თითქოს მხურვალედ ეტროს. არც გაუქ-მებული თონე დაენგრიათ, სადაც იხილა რიგი დგობოდა, პურს სანამ შეიძენდნენ, გაცეცხვას ასწავლებდა. მაგრამ ყველაზე შთა-მბეჭდავად მაინც სარფიანი სარდაფი გამ-ოიყურებოდა, რკინის გისოსებით რომ და-ეგმანათ და ბოქლომის გასაღებიც შორს მოესროლა, გადასაკარგავში. აქ ერთ დროს, მწვანე საფარით შემკულ მაგიდა-სთან, ნახევრად ძვირფას ქვეშ მკიდდნენ, უმეტესად სადაფს, თან იმდენად მისაღებ ფასად, სადაო არაფერი რჩებოდა. მო-ვაჭრეებს დახლში თავბრუდამხვევი სილ-ამაზის ქალი ჩაეყენებინათ, რომლის დან-ახვას არაფერი სჯობდა. ტილოს სიფრი-ფანა კაბა მის მკერდსა და მოქალს სხეულს ძალუმად წარმოაჩენდა, ყველა გამჭოლი მზერა რომ მიეტაცა. ხოლო გიტო თავს ვერაფრით მოინონებდა. სხვისი ნაქონი ტანსაცმელი უხეშად ედგა. საზეიმო პიჯა-კიც სკივრში ხანგრძლივი დებისაგან მძაფ-რი სურნელით გაჟღერებოდა, როგორც ქვევრი დაატყობს ხოლმე დიდი ხნის ღვი-ნოს თიხის გემოს. იმ პერიოდში სასმელ-საც იმ მიზეზით ეძლეებოდა, ვნება რომ დაეხმო. ზოგი ღვინო ისეთ ბოთლში ჩამო-ესხათ, გახსნა ენანებოდა, მაგრამ რახან ღვინო იყო, არაყს არც კი შეადრიდა. მის გამო თუ მტევნებს ჭყლეტდნენ, არაყს ცეცხლისგან წურავდნენ წვეთ-წვეთ. კორ-პის საცობით დამკანულ ჭურჭელში მათ-რობელა სითხე წყალივით ლივილივებდა და ერთი შეხედვით ლიმონათი გეგონებოდა. ლოთები, ხელი რომ უკანკალებდათ, ამ-რეზით უმზერდნენ შემზარავ ბოთლს, გე-გონება, გემბანზე დეგორავსო ღელვამი. მომცრო ჭიქებში ჩამოსხმისას, დაღვრილ წვეთებს, ფუჭად აორთქლებულს, იმეღ-ატრეუბით დაჰყურებდნენ, თითქოს იმდენ-ად მალეუბი ყოფილიყვნენ, მოპაქერეს თვალბეში ჩახედვის ნაცვლად ჯიქურ და-სჩერებინაო. ისინი გიტოს მაგალითად ვერ

ივარგებდნენ, მაგრამ ფრიადოსნებისგა-ნაც თავს შორს იჭერდა. დაზუსტულ ტე-ქსტს ბორძიკით ჰყვებოდა, ხელს ჩაიქნე-და და მერხზე უნებართვოდ ჯდებოდა. მშობლიური ენის მასწავლებელს მის ნორ-მალურობაში ეჭვი ეპარებოდა. უფრო იმას მიიჩნევდა მიზანშეწონილად, გიტოს შემ-ლილის ზოლიანი სამოსი რომ სცემოდა. ამ-იტომაც თავს ხელმოცარულეში რაცხავ-და და წინაპართა ყაიდაზე განაგრძობდა ცხოვრებას. ხეტიალს გულს აყოლებდა. ქუჩებში უმიზნოდ დაძროდა და მხოლოდ მელოდიებით გარემოცულ სახლთან ჩერ-დებოდა დიდხანს. რახან მაგნიტოფონი ჰქონდათ, შეძლებულებიც იქნებოდნენ. ერთხანს წარმატებული ცხოვრების წარ-მოდგენას ცდილობდა, მაგრამ ყალითი გა-ბეზრებული შვების ხეივანს ვერსად აგნებ-და. ამ ცნებაში ყვაილებით მოჩითულ ბა-ღრას გულისხმობდა. მუსაიფით გართული წყვილები პავილიონში სეირნობდნენ. მერ-ხების გასწვრივ მრემ ბინდებუნდში ქვის ქან-დაკებებს მამხალები ეყრათ და ჩიტების ჟიჟივით ბუნდოვნად ჟღერდა ექოთა მი-ღმა. ფერადი ნათურებით გაბრდღვიალ-ებულ რესტორნიდან აჩრდილთა გამომხ-მობი მსხვერვა გაისმოდა. თუმცა იმდენ ფულს ახდევინებდნენ, ზარალში არ რჩე-ბოდნენ. ყოველდღე დიდებულ წვეულებ-ებს მართავდნენ და ჭურჭელი არაფრად უღირდათ. გაბრუნებული სტუმრები ნაირ-ნაირ კერძებს იქამდე აგემოვნებდნენ, თე-ფებს ფსკერი რომ გამოსჩენოდა და ჯადოს-ნური ფერებით დამტკბარიყვნენ. ყოველ მათგანზე ბუნების განუმეორებელი ნიმუში იყო აღბეჭდილი.

გიტო შინ რკინიგ ზის რელსებით ბრუნ-დებოდა ხოლმე. დეპოს მთელ ტერიტორი-აზე ჯაჭვივით გადაბმულ ვაგონებს მალა-ლი ლამპიონები და ჯუჯა ჩირაღდენები და-ნათობდა და გიტოს ისეთი მზერა უხდებო-და, გეგონება, ციციანთელების სამშობლო-ს გადასწყდომიაო. შადრევნების დარი წვიმები ამ ვრცელ რელიეფს ზღვის ფსკერს ამსგავსებდა, თითქოს ამ წყლებში ჩაძირ-ულიყო მეკობრეთა ძირიალ ნომადლი, ვე-შაპის ქონილი გაქმეობი კასრებითა და გა-ნძეულით პირთამდე სავსე სკივრით, გემ-ბანზე რომ იდო და ზედ ბრეზენტი გადაე-ფარებინათ. ციალი კი მაინც გაჰქონდა და შემოგარენს ციდან მომწყდარი ვარსკვლ-ავებიც ნკარუნით აცვიოდნენ.

3

გიტოს დედამისის მონაყოლი ახსენდ-ებოდა, შენ რომ გაჩნდი, იმ ზამთარს ყვე-ლაზე ცივი დღე იყო. დილით ყინვას ელ-ოდა, მაგრამ სულაც არ ციოდა. უფრო მე-ტიც, თბილად კიდევ. მიზეზი არც კი შე-ოროთქლიდა. გასქურაზე ცეცხლგამძლე ნივთიერებით მოჭიქული ტაფა ბზინავდა. მთელი ცხოვრება ამ შუშებიან განჯინას ხედავდა ვერცხლისფერი საშაქრითა და გამჭვირვალე სამარილით. მომცრო ქილ-ებში კი საწვებო ნივთები იყვნენ. ფანჯრიდან ისეთი ოღონო-ჩოღონოები ჩანდა, ხალხს რომ არ ეცხოვრა, საფლავებს გათხრიდ-ენ. რუხ კარიბჭეს, უგემოვნოდ გალაქულს, სიო აჭრიალებდა. მაღალი მესრის მიღმა ქარხნის ნაგებობა აღმართულიყო აწი უკ-ვე გაუქმებული საამქროებით. აგურის კო-მპი, შორს გამხმობი საყვირით, ოდესღაც დღეში ორჯერ რომ ტეხდა განგაშს, სამუ-შაოს დაწყების წინ და დამთავრების შემ-დეგ, ახლა უფუნქციოდ დარჩენილიყო. თუმცა გიტოს საზეიმო განწყობას არსე-ბული სილატაკე ვერაფერს აკლებდა. მან კომოდის უჯრა გამოაღო და ფული გადა-თვალა. იმაზე მეტიც აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა. გარდერობიდან საზეიმო პიჯაკი გადმოიღო, სარკის წინ გაიჯგიმა და კაე-ლერივით გამოწყობილი გავიდა გარეთ. იქ კი დონჯემორტყემული ლუბა დახვდა საბერტყი ჯოხით ხელში, გაცივებული თვა-ლებით რომ შესჩერებოდა. გიტო ისე არ გამოიყურებოდა, როგორსაც ელოდა, თუ-მცა სათქმელი მაინც ჯიქურ მიახალა, შენ-თან აუცილებელი საქმე მაქვსო. როგორმე გოჭი დამატკინე, ამ დილით კლიენტმა შემიკეთა, დაკლული უნდა დავახვედ-როო.

— დრო ცოტადა მრჩება, ძალა კი აღარ შემწევს, ძველებურად რომ მივიხელთო. სულ გაცულუტდნენ ეს ოხრები, მაგრამ შენც ისე გამოპრანჭულხარ, ჩემთვის ალ-ბათ ვერც კი მოიცლი! — ამოიხრა მან. გიტომ პიჯაკი ღობეზე გადაფინა. ლუ-ბამ საბერტყი ჯოხი გაუნოდა, მაგრამ არ

გამოურთმევია. ვრცელი ეზო გოჭის სანყა-ლობელმა ჭყვიტიწმა მოიკცა, რაც გულს უკლავდა, თუმცა მეზობლის მომდურებას მოერიდა და საბძელთან მიიმწყვდია. მერე პატრონს მიჰგვარა და თვითონ ონკანთან გადაინაცვლა. სველი ხელები დაძინილ პირსახოცზე შეიმშრალა, გარეთ გამოსუ-ლს კი ახლა ევა გადაელობა თავისი ზორ-ბა და ფაშფაშა ტანიო.

— რა საზეიმოდ გამოწყობილხარ! — იმ ტონით მიმართა, გეგონება, მორიგ ოინ-ბაზობაში გამოჭერილს ამხელსო, — ლუმ-ლისთვის შეშის ამოზიდვა უნდა მეთხოვა! — ბევრია? — უხალისოდ გაეპასუხა გიტო.

— არა მგონია, გაგიჭირდეს! ეგ არის, ჩემი ბიჭი საქმეზეა გასული. მარტოს მოგი-წევს ჭაპანწყვეტა! — მხნედ წარმოთქვა ევამ, გულის სიღრმეში გიტოს შეკითხვა თანხმობად რომ მიიჩნია.

— სამაგვიროდ არც გაოფლიანდებ! — თქვა გიტომ და ლურსმანზე, ბანრის ნარჩენი რომ კონიალობდა, საჩვენებელი თითით მიანიშნა, პიჯაკს აქ ჩამოვიკიდებო.

— რა თქმა უნდა, ჩამოჰკიდე! ყველას კი არ ჩამოვაკიდებინებდი, მაგრამ შენ ჩვე-ნი ხარ, შინაური! — გაამხნევა ევამ.

გიტო შეშის ამოზიდვას კარგა ხანს მო-უნდა და როცა მოითავა, ეზოდან ქოშინ-ით გავიდა. მთავარი ქუჩა ხმაურს მოეცვა. ახალაშენებულ კორპუსთან შუახნის კაცი მოუსვენრად ცმუკავდა. შავი პერანგი მგ-ლოვიარედ წარმოაჩენდა. ეტყობა, მართ-ლაც ჭირისუფალი იყო, რადგან ორი სკამი გამოეტანა გარეთ. წერილი კაშენე ყელზე გორგალივით შემოეხვია და უთავბოლო წრილით გამოხატავდა მომხდარს. მან წინ ჩავლილი გიტო მოინებით შეაჩერა.

— მე ანდრო მქვია! — აუნყა მწუხარედ.

— რა გაგჭირვებიათ? — ჰკითხა გიტომ.

— ისე ჩავცივებო, თქმას ვერ გიბედა-ვო!

— ჩაცმას რა მნიშვნელობა აქვს. პიჯა-კში კი არ დავიბადე. მითხარით, რა გნებ-ავთ?

— ადრეც დამინახიხარო! ერთი და იე-ივე ავტობუსს მოჰყვებო ხოლმე!

— არ მეცნობოთ! — სახეში ჩააშტერდა გიტო.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა. კატა-ფალკას ველოდები, ნესით მალე უნდა გა-მომჩნდეს! — თქვა ანდრომ და ხელი გაურ-კვეველი მიმართულებით გაიშვირა, — მი-ცვალეზულს ვკრძალავ სამარხებში!

— სად?

— ასე ჩვენი სოფლის სასაფლაოს ვეძა-ხით! — დაამშვიდა ანდრომ, — იქ ნაპოვნი აბჯარ-ბეგთარი სამხარეო მუზეუმშია ექ-სპონატად განთავსებული. იქნებ გსმენიათ კიდევ ამის შესახებ!

გიტომ უარის ნიშნად თავი გადაიქნია, მაგრამ ანდრო უნდობლად განწყო, როგ-ორ თუ არ გსმენიაო. თუმცა ხელი ჩაიქნია და განაგრძო:

— ხევიშ მდებარე ვრცელი სოფელია, კირქვის საბადოზე. ჰაერი კარიერის მტე-რითაა გაჯერებული. იქაური ბავშვები ფე-რმკრთალნი გამოიყურებიან და ხველებ-ხველებით იზრდებიან! — აღმოთქვა წუ-ხილით.

— ამეებს რატომ მიყვებით? — დაეჭე-და გიტო, ნაკვეთის მოყიდვას ხომ არ აპ-ირებო.

— ეჰ! მიცვალეზული რომ გცოდნო-დათ, აღარ მკითხავდით! — ამოიხენემა ანდრომ, — იცით, როგორი ადამიანი იყო, წერილობისაგან დიდ მნიშვნელობას ანი-ჭებდა. ხშირად ამბის გასაგებად მაგზავნი-და ხოლმე სხვადასხვა მისამართზე. გამი-გე, ხომ არ მომკვდარანო. ისინი ცოცხლე-ბი მხედებოდნენ და ვერაფრით ვუხსნიდი, რისთვის მივაკითხე. შინ რომ ვბრუნდებო-დი, დაწვრილებით მაყოლებდა. ერთზე იტ-ყოდა, ჩვენი ბულალტერი იყოო, მეორეს ადმინისტრატორად მოიხსენებდა. მერე ჩათვლემდა და თვალებს რომ ახელდა, ხე-ლახლა გამოიკითხავდა. ხომ უკვე გაამბე მეთქი, ვეუბნებოდი, მაგრამ, არაფერიც არ გაამბიაო, დაიჩემებდა. ავინყდებოდა სან-ყალს. ნეტავ იმდენჯერ მომიყოლა, რამ-დენჯერაც უნდოდა. შუქი რომ შემოგვიყ-ვანეს, საღამოობით ტელევიზორს მივუ-სხდებოდი ხოლმე. ფილმით ინტერესდე-ბოდა, მაგრამ ათ-თხუთმეტ წუთზე მეტხ-ანს ვერ ქაჩავდა. დილით მომიყვებო, დამი-ბარებდა და დასაძინებლად წვებოდა. მე-ორე დღეს ის ფილმი აღარც ახსოვდა. რე-ალურ ამბებს უფრო განიცდიდა. სიცოცხ-ლე სრულდებოდა და გამოგონილი ამბე-ისთვის სადაღა ეცალა! — თვალები აუცრე-მლდა ჭირისუფალს.

— რამე აწუხებდა? — თანაუგრძნო გი-ტომ.

— თრომბისკენ იყო მიდრეკილი. პენ-სიამდე დარჩენილ დღეებს კარდომაგნი-ლის გულის ფორმის ტაბლეტების რაოდე-ნობით ითვლიდა, ექიმის დანიშნულებით რომ სვამდა უზომოზე ცალობით. ფულის აღების დრო რომ მოაწვედა, ერთი თვისას მაყიდვინებდა ხოლმე. უკანასკნელ ფლა-კონში ოცი ტაბლეტი მაინც დარჩა. გულ-სისხლძარღვთა სისტემა თუ განუხებო, სი-ამოვნებით მოგანდით! — სახე გაეხადრა ანდროს.

— ნუ უხდებით, არ არის საჭირო! — ხელები გაასავსავა გიტომ.

— რას ბრძანებთ, რა შეწუხება! — და-იყინა ანდრომ.

— სისხლძარღვები წესრიგში უნდა მქ-ონდეს! — უარის მიზეზი დაბეჯითებით განმარტა გიტომ.

— ო, მასე ნუ იტყვით, მასე ნუ იტყვით! — ორჯერ გაიმეორა ანდრომ, — მიც-ვალეზულსაც ასე ეგონა, მაგრამ შედეგად რა მივიღეთ?!

— გისამძიმრებთ! — უხერხულად წარ-მოთქვა გიტომ, რადგან ჩათვალა, რომ მთ-ელი ამ ხანმოკლე ურთიერთობის განმავ-ლობაში როგორღაც ეს სიტყვა მომნიფდა. — კორპუსში ლიფტის კაბინა დაგვიმო-ნტაჟეს, თუმცა ჯერ არ ჩაურთავთ! — გა-ნაგრძო ანდრომ, — ამწეკრანის ოპერატო-რის მოველაპარაკე ჩამოსვენების თაობა-ზე. უარი განმიცხადა, სამსახურს დავეკარ-გავო. თურმე ინსტრუქციის მიხედვით მხ-ოლოდ უსულო საგნების გადაზიდვის უფ-ლებას აძლევენ. უკვე მესამე დღეა ეს რე-ალობა გვიდგას მეთქი, ამოად ვუმტკიცებ-დი. ქვა ააგლო და თავი შეუშვირა.

დასასრული მე-10 გვერდზე





გიორგი არჩემაშვილი

და სადაც ფეხის გასადგმელად შექმნილ ნიადაგს კვალიც არ შერჩა სიხარულით გადამკვეთელთა...

ის გაანამა დრო მაცდურმა, ყალბმა, მეძაგმა, რადგან მეტი ცის მოლოდინიც ჩაკლეს თვალებმა — დიაგნოზის თმათა ლივლივს ვერ შეეზავა, ისე აკრთობდა ელვარება და ბრწყინვალეობა...

სასომიხილი მხოლოდ ჩემგან ითხოვდა შველას, არადა, მწველი ცეცხლი იყო, ახლა წყალია, მავედრებელს ჰგავს, ვისაც სურს რომ შეეშვას ყველა და ვერ ვეღვი — ჯერ ხომ სუნთქავს და ცოცხალია...

\*\*\*

ვარსკვლავები არ მიგულისხმია... მუდამ მშვიდობის ვიყავ მოსურნე და ბედისა და იღბლის სისხლიან გზებზე ვითვლიდი ახალმოსულებს.

დრო შეცდა, მას არ უნდა ედავა, სად დაგზარჯავდით ნაჩუქარ წუთებს, რადგან ყველაფრის მიუხედავად, ვიცით ვინ გვსურს და ვინ უნდა გვძულდეს.

ჩვენ მხოლოდ ისეთ თვალებში შევალთ, რომელთა ხმებიც აღწევს ჩვენამდე, რომ სიყვარული, ვით მავნე ჩვევა, სულს შემორჩეთ მავნე ჩვევადვე

და რომ მოვასწროთ სივრცის განვრცობა, ვიდრე ხილვებმა მზერა არიეს, ვიდრე სიკვდილის ზარი დაცოფავს სავსე გულს თუ გულს ცარიელს,

რადგან შეცვლილი სამყაროს ხედი ნიშნია, რომ დავრჩით მარტონი — თანგაყოლილი ნატვრების ხვედრიც მწარეა, როგორც ხვედრი პატრონის...

\*\*\*

სარკე ქმნის სივრცეებს სასარკეთა და ფიქრი, რომელიც ცასა ჰკვეთავს,

არყოფნის საზღვრების მზერავია — ლანდს ეძებს ლანდებში მზენამიანს

და პირველ ბგერებით ნასაზრდოებ ცხრათაგან უხილველს ცას არ ტოვებს,

მაგრამ ის ლანდია, არც ცაშია, მუდმივად პროფილთა გაცვლაშია

და ვისაც ნამდვილი ანწყო გვინდა გვაშინებს მომავლის განწყობითა,

რომ ქვიშის მტვერით ნაგვხვეტავენ სარკეთა სიღრმეში ჩამხედავებს,

ან ბლაგვი დანებით გადაგვსერენ სარკიდან სარკეში გადამსვლელებს,

რომ ყველას ამოდ უმღვრევი — ლანდის წრეც ლანდივით ურღვევია...

\*\*\*

რადგან სამყარო არც იწყება და არც მთავრდება, ისე გათენდი, არ ნაგვილონ მიწის დარღებმა,

თორემ შიშებმა აიყვანეს ზღვები მძევლებად და ასეთ წნეხში ზეცაც ყალბად თუ იტრემლება...

გათენდი!.. ვიდრე უმოწყალოდ მოკლეს ნულემა სივრცე და ვიდრე სხვა ციფრებიც გვესულდგმულება...

გათენდი!.. ვისაც უხილავი გზებით უვლია, მისთვის სიცოცხლეც და სიკვდილიც აკრძალულია...

ჩემი სული

და ეცინება როცა მე ვმოძღვრავ, სულს ეშმაკივით ღმერთზე შემომწყარალს, რადგან ცეცხლივით სიზმარწასაკიდს, თვით სამყაროს და ღმერთის ასაკის მქონეს დრო როგორ მოეჭარბება ჩემი უმწეო გვამის მარბევარს? ვიდრე ბოლო წვეთ სისხლს არ შეასმევს,

\*\*\*

ყველა მოგზაურს, სივრცის გადალმელს, ვინც ვერ დალაღეს სულის ფრენებმა, თავის ბავშვობას ვინც ხელს გადახვევს მოგონებების მოსაფერებლად,

ვისთვის სამყარო პარადიზმა და მის წიაღში ხილვებს ავანებს, ალბათ უფეთქავს გული იმგვარად, როგორც ცეცხლისკენ გამფრენ ფარვანებს...

\*\*\*

თითქოს ანკარა წყარო შეესვათ, ისე ეამათ სულის შრეებსაც

მზე და სინათლის უხმოდ შემოსვლა, სხივებს ატანდნენ თითქოს გემოსაც,

თითქოს შეავსეს, თითქოს დალიეს — ივსებდა სული შრეებს ცარიელს

და არ უკრთოდა ქარის მობერვას, რადგან იცოდა სულის მფლობელმა —

ქარის წისქვილებს ქართა დრო ბადებს წარსულის ანწყოდ გადადნობამდე

და თუ სხივებიც ადამდებიან, სინათლე სიტბოს გადამდებია...

\*\*\*

მაცდურ ედემად თუ აქციეს ტბები გედებმა, თვალი იოლად დასჯერდება მიწის გარეკანს და ზეცაც ტბაში მხოლოდ მაშინ ჩაიხედება, როცა ორივე მშვიდია და შეძლებს არეკვლას...

\*\*\*

მზის სხივებს, ასე ალერსიანებს, თუ გამოსტაცებ მსუბუქ სიალეს, ფოთლების ბედს არ გაიზიარებ.

ნატვრები ფიქრთა ნამცეცებია — ინატრე ყველა, რაც ედემია და სიხარულით აცრემლდებიან,

რადგან სიცოცხლის დროის მგეზავებს აღარც მეორედ, აღარც მესამედ დედამინაზე არ დაგვთესავენ...

\*\*\*

ვირთხების მოდგმას გული არ იღებს, მათ გამო ზეცა გაუდიდრდა და მეზრალეობა ლანდი სანიღბე, სახეს რომ ნატვრობს საურთიერთოდ...

მკვდარ რეალობას ისე ვერ ვიტან, ამოებებს ვწირავ მეობას

და ჰგავს ოცნებაც ბრძოლის ველიდან ძალით გაყვანილ, დაჭრილ მეომარს...

\*\*\*

მაინც რატომ ვენდე ყვითელფოთლიანებს, ანდა, დედამინას წრეზე მოტრიალეს?

რადგან ნაშიერი ვიყავ თებერვლისა, ათას დარდისა თუ საფიქრებელისა

უხმოდ გადამტანი, უხმოდ დამტევი და თანამოზიარე სევდით დამტვერილთა,

სულსაც მოვაშორე ფრთები საარწივე და ზღვა სინანული წლებად დავანვიმე,

თანაც ბედისწერა ერთხელ დავძრახე და ბედმაც მიმიმწყვდია ტანჯვის საწინააღმდეგ,

თითქოს დამემუქრა, ისე გამოგლევეო, ველარ მოიძიო გზები სამოკლეო...

ანდა, როდის იყო ბედის უფსკრულებთან პოეტს ბედისწერა სურვილს უსრულებდა?..

\*\*\*

გიშუშებ, როგორც ოცნებას მტკივანს — ჩვენი ქრილობა ხომ უარსოა?.. და ყველგან, სადაც შენს წყაროს მივალ, მახსოვხარ... იცი, როგორ მახსოვხარ?..

როგორც ოცნებით ყველგან გამქცევარს, ცასაც რომ არ აქვს ზღუდე მიმლევი, რომ ავიტანო თვალში ჩაქცევა შენი უზადო სრულყოფილების...

\*\*\*

და ვებრალეობით რადგან სარკესაც სულის საგვემად, გულის საკვენესად,

სხივშემოსილებს მზისკენ მიმავალთ ქკნობის ხმებს სარკის მიღმა გვიმალავს

და არასოდეს არ ახმოვანებს, რომ არ შევიგრძნოთ რა ახლო არი

ბოლო მზერის და სუნთქვის გამტარი უკანასკნელი ჩვენი ზამთარი...

\*\*\*

დასაბრუნებლად გულდაწყვეტილ სურვილსაც ვუხმე, ამოვარდნისას რომ ჰბაძავდა ქვიშის ქარიშხალს, რომელმაც სისხლში გამონრთობილ გზასა და მუხლებს ხსოვნის მანძილის გავლა ერთად უანგარიშა,

თან მოსაყოლი ამბებებით რომ გახმიანდა იქ, სადაც მზერა თავს იკლავდა დარდის კედელთან



ჩემი სიკვდილის  
ნაზი მევალს,  
საკუთარ ჩრდილებს,  
ვერ დაოკდება  
და თუ მოკვდება,  
ჩემთვის მოკვდება...

\*\*\*  
თქვენ ვერ აიძულებთ, დარდით ნალენებო,  
ფიქრებო, გულებს, რომ გულები არ ეძებონ...

\*\*\*  
როდესაც პოეტები  
სიზმრებს ვეფარებით,  
კატები ლომდებიან  
ძალისებრ მყეფარებით...

როდესაც სიზმრებში  
ბოლომდე ვინთქმებით,  
ყეფენ აქლემებიც,  
ზებრებიც, ვირთხებიც...

და როცა ვიღვიძებთ,  
მაშინაც აქ არიან...  
ცხადიც და სიზმარიც —  
ორივე მაგარია...

\*\*\*  
ისე არ უნდა შევიშალოთ, ჩვენმა ფიქრმა რომ  
მოჩვენებები მოგვივლინოს ერთგულ მრჩეველებად —  
იქნებ ბალახის სიმალლე და სითბო ვიკმაროთ  
ადამიანურ დაცემათა შესაჩერებლად.

თუ მგრძობიარე მზერა განსჯის ყველა საქციელს,  
ცხადი გახდება, რატომ მოვვლეთ დარდის კიდენი  
ჩვენ — ერთმანეთის ცხოვრებაში ვინც შევალნიეთ,  
ვინც ერთმანეთის სამყაროში დავემკვიდრენით.

\*\*\*  
მოგონებების, ტკივილების გასაყურებლად,  
თუ მიმიზიდეს ემოციით სავსე ქუჩებმა,

გავყვები ყველა მოლანდებს, რაც მინახია,  
გავყვები ქუჩებს წარსულიდან ბავშვურსახიანთ,

რომელთა გამო თვალებს დღესაც ფერი ეცვლებათ  
და შეჭხარაინ გაურკვეველ ამ უმეცრებს —

მხოლოდ ჟინით და სიყვარულით ისე გადავლილთ,  
მშიერ ხორცისთვის რომ მოჰქონდათ სულის ნადავლი

და უიმედო იმედებით სავსე დამთმენელთ,  
ვისაც მომავლის სიხარულებს გზები გვართმევდნენ,

აი, იობის მოთმინებაც რომ მიგვიქარავს,  
ჩვენ ისინი ვართ... ისევ აქ ვართ... ისევ იქა ვართ...

\*\*\*  
ზღვა უზღვავია, მზეს სურს დადნობა —  
თუ მოგვიყოლეს ამ ბადებმა,  
ველარ მოვასწრებთ ერთი მადლობა  
გადავუხადოთ დამბადებელსაც.

სამყარო ღმერთის დანატვიფრია...  
ვინ შესთხოვს, რომ არ ჩამოშალოს ცა?  
დედამინასთან ერთად მიფრინავს  
კაცობრიობა მზის მოსალოცად...

\*\*\*  
ზამთრის ხელებო, ზამთრის ხელებო,  
რად კლავთ სიცოცხლეს ყელმოღერებულს?..

როცა დრო ნავა, როცა დრო ნავა,  
ვერავინ შეძლოს სულის მონამვლა,

მანამ ნავიდეს, მანამ ნავიდეს,  
დაემხოზოდეს მინას ცა ვიდრე...

გარიყულები, გარიყულები,  
ზეცისკენ მაინც არ ვიყურებით...

\*\*\*  
მადლობა, ეშმაკის ფეხებით დაგრეხილო,  
უარსო ილბალო, მკვდარს ჰგავხარ ასაკოვანს  
და რადგან ოთხთავან არცერთს სურს გაგვემხილოს,  
ქვებს ვუსმენ ღმერთების დუმისის გასაგონად...

\*\*\*  
თუ სისხლის ფერი გაზაფხულებს ვერ შეეხამა,  
მაშინ სიკვდილი უსათუოდ მომცემს შეღავათს,

რადგან იმ სულთა უღალატო ვარ მოკავშირე,  
სიკვდილზე მეტად  
სიცოცხლე რომ უფრო აშინებთ...

\*\*\*  
ველარ განკურნავს თეთრი ფანტელი  
ჩვენს სულებს მუდამ მრავალგარსოვანს,  
საბედისწერო ტყვიით დატენილ  
ველარც იარაღს მოვთხოვთ გასროლას.

გიგ ზავნი ბგერებს გულის სახმობელს  
და გულს, რომელიც მხოლოდ შენია  
და შენით ვიპყრობ ისეთ მალლობებს,  
მათი სიმალლის მეც მეშინია...

ოლონდ ნუ ვიტყვი, იყოს, რაც არი,  
არ ვგავდეთ სანთლებს დარდით დაღვენთილთ...  
თუ ყველა მსურველს გამოასწარი,  
თვალეების მიღმაც რად არ გახვედი?

\*\*\*  
სივრცეში გაშლილი ფერებად, გამებად,  
სული თუ სხეულს არ შეესაბამება,

ითხოვე დრო მოგცენ თებერვლის დიღებმა,  
რომ შეძლო წარსულში გადაადგილება

და გამოტოვებულ დღეთა ჩასანიშნად  
ლანდივით დაესწრო მწუხრსა და გარიჟრაჟს,

თუმცაღა ყოველი მომდევნო მესაე  
მცდელობაც სინანულს ახლიდან შეავსებს,

მაგრამ ღირს ბგერების სიღრმემდე ჩახვიდე,  
თვალეებში ჩახედო სულების გამყიდველს

და უთხრა, რომ იცი, ვერაფერს შეცვლიდა  
ათასი ლოცვით თუ ათასი მერცხლითა...

სინათლეს შენ რომ არ დაებრმავებინე,  
ვერასდროს დაძლევი წყვიდადის ჯებირებს...

\*\*\*  
უშინაარსო ამბავით მრუმე და მოკლე  
დღე არ დაუშვებს ჩემმა სულმა შეჭკრას კამარა —  
ის არ ვარ,  
ვინც ხვალ უღამაზეს ყვავილებს მოკრეფს  
და ალტაცების ოკეანეს გულში დამალავს...

მეც გაყინული ხეებით ტყვე ვარ ამ ზამთრის,  
ხვედრს ვიზიარებ უმზობით დასჯილ პატიმრის...  
ჩვენ, ვინც ზამთარი უარყვავით,  
თოვლთან დავზავდით,  
მის სითეთრეს და სისპეტაკეს ვეცით პატივი...

\*\*\*  
ჩემი ილბალი მუდამ წყალში დგას,  
ისველებს ფესვებს, უკრავს პაგანინს  
და ჩემს ცხოვრებას, ასე არმემდგარს,  
ატყუებს — ღმერთი სადღაც აქ არის...

ბოლო ხავსივით თანგადასაყოლ  
სივრცეს ილბალი იმდენ ასად ჭრის,  
სულს ბორკილები თუნდაც აპყარონ,  
ვერსად მივაგნებ ღმერთს ხელჩასაჭიდს...

ანდა როდემდე უნდა ვუსანგრო  
მეორედ მოსვლას, ან რა მოსვლაა,  
თუ მეც უსაკნო, ღმერთიც უსაკნო,  
ველარ მოვიწვევთ ერთგულ მოსავალს?

\*\*\*  
როდესაც სივრცე ხდება საგნადი  
და შენში აღწევს მრავალი „იქნებ“,  
თან შენი წილი მზეც არ დაგნათის,  
გზისკენ გახედვის სურვილიც იკლებს...

და ვინც უსხლტება ანგელოზს ფუძის,  
მოჰგავს ბოლოჯერ იმ გზის გამომვლელს,  
რომელსაც მკვლელის ნაბიჯი უმძიმს  
და ოხრავს, ვიდრე ის მას გამოლევს...

მაგრამ ინახავს არყოფნის ამბორს  
და მზედაშრეტილთ ერთად იმდურებს,  
რადგან გზაა და... არაფერს ამბობს,  
დუმს, როგორც უტყვი მესაიდუმლე...

\*\*\*  
შენი აისი რადგან მოკლეა,  
უფრცესი იყოს სადაისონი,  
მაშინ პეპლის ფრთის ერთი მოქნევაც  
მარადისობას გადაიწონის.



თვითირონია

წუთისოფელო, გამოგიჩნდა სულზე წყლულები,  
მეტასტაზებიც გაგიმრავლდა და გჭამს სიმსივნე,  
წუთო, წამი ხარ, ალბათ მალე აღესრულები,  
რამეთუ „სიტყვა“ ვერ იცანი, არ შეისმინე...

\*\*\*  
ეს ირონია ნამდვილია, ვფილოსოფოსობ,  
ჭეშმარიტება ახლა არის, როგორც სასმისი,  
განაჩენია: „სიბრძნე მივცეთ პანა სოფოსო,  
გულწრფელობისთვის დავსაჯოთო, ერთი მაგისი“...

\*\*\*  
აი, ხაფანგი, მტერი ისე შემომესია,  
როგორც ეგვიპტის ფარაონებს მწერი, კალია,  
მინა ხომ შენი გასამარგლი, გასამკალია?..  
ზღვა გამიხსენი, გამატარე მასში, მესიაგ...

ჩამოუკაკლა წკაპა-წკუპით წვიმამ ჭორები  
სარკმელს, რომელიც ნათითურებს ითვლის მინაზე,  
ო, ღმერთო ჩემო, რახანია „ფერმა ღორების“,  
ღრუტუნის ნაცვლად, ფერს იცვლის და  
ხმის ტემბრს ინაზებს...

\*\*\*  
ვალბე კარადას, გაცრეცილი მიცქერს პერანგი,  
აბლაბუდების სამოსშია ძველი კარადა,  
ჰეი, ცხოვრება, წუთუ შენ ხარ ასე ვერაგი?  
წუთუ? არადა...

\*\*\*  
ეი, ძმობილო, დაეხსენი ფიქრებს, სუიციდს,  
ვხედავ ლაბირინთს, საიდანაც არ გსურს გაგნება,  
ეგ შავი ცხენი ხომ ისედაც დგას და სულ გიცდის,  
ადექ, იცხოვრე, ნუ დაასწრებ წერას განგებას...

\*\*\*  
ნადი, გოგონავ, დაიძინე, უკვე გვიანია,  
ყველა იარას დაგიაშებს შენი ქმარ-შვილი,  
ვედრდობ, სამყარო ბოროტებით დანაგვიანდა  
ფიქრს ნავუღივარ, ვზივარ ასე ნერვებაშლილი...  
ნადი, გოგონავ, დაიძინე, ნადი, მენდე და  
ღმერთს შეატოვე, დაასრულოს შენი ვენდეტა...

მეზობარს

ჩვენ, საცალფეხო ბილიკებით გადავიარეთ  
ხიდი, რომელიც ბენვისაა, ბნელი, სარისკო,  
შენ, ტყუპისცალი, ისე მიჩნე სულის იარებს,  
მე ხომ ობოლი ვიქნებოდი, შენ რომ არ იყო...  
ზოგჯერ სამოთხე განვიცადეთ, ვნახეთ გენაც,  
ვით ანგელოზი ჩამომყევი დახსნად დიღეგში,  
სადაც ვყოფილვარ, ჩემთან მოსვლა მუდამ გენება,  
ყველა შიშს სძლიე, ჰო, ჩემს გამო სინამდვილეში.  
ახლაც ჩემთან ხარ, ცრურწმენებიც ერთად დავძლიეთ,  
გაცვამტვერეთ უცხო კერპთა ძველი დიღება,  
კვლავ ვიგერიებთ შემოსეულ მწერებს, კალიებს,  
იმ მტრებს, რომლებიც უმიზეზოდ აგვიხიბდნენ და  
მონმენდილ ცაზე ცისარტყელის ფერებს გავყურებთ,  
ნანვიმარ მინის ოხმივართ ზეცა ივსება,  
ჩვენი სულები, ერთმანეთზე, როგორც საყურე,  
მოსჩანს ვითარცა ბედისწერა თუ ღმერთის ნება...  
ჩვენ საცალფეხო ბილიკები გადავიარეთ...

\*\*\*  
სული, სხეული, სამშვინველი მოუცავს ქაოსს,  
ვერდატეული ჯოჯოხეთით და ვერც სამოთხით,  
თავგზას რომ მირევ, თან რომ მდევნი, აშარო ქარო,  
და მემუქრები ნანამები სულის ამოხდით,  
მოდო, ბოლომდე დამასრულე, შთამფლე წყვიდადში,  
რადგან არ ძალმიძს ქარიშხლების ჩემში დატევა,  
ჰო, ვეხუმრები ბედისწერას, ღმერთო დიადო,  
ნუ გავინყდება, „ღვთაებრივი“ მე ხომ დანტე ვარ?

დასასრული

— მამ დაძვინჯე არავინ გყავთ? — შენუხდა გიტო.

— იმდენ ვინმეზე იყო გადაყოლილი! — ხელი ჩაიქინა ანდრომ, — მხოლოდ ორნი მომადგენენ, ჩემი გარე ბიძაშვილის შვილები. ისე ღონე კი ერთი. ზემოთ იცდინან, დამატებითი ძალების მოლოდინში!

— კარგი, ნავიდეო! — არა! — ხელები ალაპყრო ანდრომ, თითქოს კორპუსში ჯერ არ შესახლებულ ხალხს მიმართავსო, — მე ვერ ამოვალ!

— ოფლიანდებით? — უარის მიზეზს ვერ მიხვდა გიტო, ანდრო კი კითხვის მიზეზს ვერ ჩანდა. ამიტომაც ზედმინევი მოჰყვა ახსნა-განმარტებას:

— ჩემთვის იმდენად ახლობელი იყო, ხელს ვერ მოვკიდებ. ნეტავ გენახა, როგორ უხაროდა, ეს ბინა რომ მივიღეთ. იქ ასეულს ნახევარი დღე მაინც მოვანდომეთ რუდუნებით და სვენებ-სვენებით. არ მინდა, რომ ვნახო, როგორ ტოვებს იქაურობას. ვერ გადავიტან. ისედაც გულს მიკუმშავს ის შეგრძობა, რომ ვეღარასდროს ვიხილავ, მე ხომ მისი ერთადერთი ჭეშმარიტი ჭირისუფალი ვარ!

— მესმის! — თანაუგრძნო გიტომ. — იქნებ მარტო ახვიდე? — გამოცოცხლდა ანდრო, — ისინი იქ დაგხვდებიან, ჩემი გარე ბიძაშვილის ჯან-ლონიანი შვილები. ეტყვი, რომ მე ამოგაგ ზაგენეთ და სახმარებლად. თუ არ დაგიჯერებენ, გადმოახვეთ და ხელს დაგიქვეით. სამნი როგორც მოაბამთ თავს...

— ვითომ რატომ არ დამიჯერებენ! — მკვახედ შეაწყვეტინა გიტომ, — მამ რისთვის უნდა ავსულიყავი?!

— პიჯაკი აქ დატოვეთ. კუბოს ზიდვაში ხელი რომ არ შევიშალოთ! — თემა გადაუტანა ჭირისუფალმა, — ზამთრის კვალობაზე დღეს საგრძობლად თბილა!

— ჰო! — შუბლიდან ოფლი მოინმინდა გიტომ. — ავტობუსის გაჩერებაზე საინფორმაციო ციფრულბლათი თვრამეტ გრადუსს უჩვენებს! — ნათელი ღიმილით დააზუსტა ანდრომ.

— კარგი, დავტოვებ! — შეთავაზება ჭკუაში დაუჯდა გიტოს. ფული მაინც შარვლის უკანა ჯიბეში ედო. გახამებულ საყელოზე, მჭიდროდ რომ შეეკრა, ზედა ღილები შეისხნა და რატომღაც საყვედურით ჩაიბუტბუტა, ეს რა დღეზე გავჩენილვარო.

— როცა ახვალთ, კუბოს მაშინვე ნუ ეტაკებით. ცოტა ხანს შეისვენეთ. მაინც მეთვრამეტე სართულია, როგორც ტემპერატურა! — მზრუნველად გაუღიმა ჭირისუფალმა.

— ანუ ბოლო სართული! — თქვა გიტომ.

— ბოლო რატომ?! — იწყინა ჭირისუფალმა, — სხვენში ამავალი კიბეა კიდევ!

გიტო გამოემშვიდობა და საფეხურებიანი აღმართს შემართებით შეუდგა, თითქოს მწვერვალს უნდა დაეპყრო. პირველი ცხრა სართული შეუსვენებელი იყარა, მერე კი ყოველი სამი სართულის შემდეგ ჩერდებოდა. ბათქაშის ნარჩენები ბევრგან ეყარა და ფეხსაცმლის ძირები ცარცისფერად დაეთხუპნა. რომელიღაც სართულზე დიდხანს ქოშინებდა, რადგან მზერა ხედის გრანდიოზულობამ მოსტაცა. აქედან მთელი დასახლება ჩანდა — დეპოს ვაგონები და ადმინისტრაციის შენობა, მოასფალტებული ტრასა და პრანჭია შუქნიშანი, სარკის ნინ მდგარი ქალივით ნაირნაირი შეფერილობის კაბებს რომ იცვლის. ჭეჭყიანი რეზერვუარი და აგარაკოვით კურობა სახლები, ერთი ბენო შიდა ეზოებით, ტანმორჩილ ხეთა უბადრუკი ტოტები ბადესავით რომ გადაჰვენოდა. იქაურობა ქალაქდღეზე ნაჯღანს ჰგავდა. მხოლოდ ცენტრი ივარგებდა მართლწერის ნიმუშად, სადაც თუნუქის სახურავებს კრიალს გაჰქონდა, თითქოს ზედ თოვლი ეს-ესაა დადნაო. ჰოი, რა მალაზე იმყოფებოდა. მის ზემოთ მხოლოდ ჩიტები დანავარდობდნენ, ისიც ზოგიერთი სახეობის. ამ შენობაში გაცილებით მეტი ხალხი მოიყრიდა თავს, ვიდრე მთელ უბანში ცხოვრობდა. მრავალსართულიანი კორპუსები ბევრგან იგებოდა, შორს ყალყზე შემდგარი ცხენებით რომ შემართულიყვნენ და მინებზე არეკლილი სხივები ფაფარივით უბზინავდათ. ზოგან მთელ რემას მოეყარა თავი.

ამ სამყაროში მარტომარტონი ვართ! — მგზნებარე ალტყინებით დაედგინათ სა-

კუთარი სიბრიყვით აღფრთოვანებულ მშენებლებს და ცათამბჯენთა წამოჭიმვას შესდგომოდნენ.

როცა გიტო ბოლო სართულს მიადგა, კარი შეღებული დახვდა, თუმცა მექანიკურად მაინც დააკაკუნა. ოთახში შესვლისას მიცვალებულს დახვდა. ის ქვეყანა სახლიდან გასვლას ჰგავდა შებინდებულზე, ვარსკვლავები ზედიზედ რომ ქრებოდა, თითქოს ნათურებს თიშავენო ჩამრთველიდან. მერე იმ ორს მიესალმა. მათ დედ-მამიშ-



ღიმიტრი ნიკლაური

გიტოს დაბადების დღე

ვილობას ლაჟღავნა ლოყებიც ადასტურებდა და პაროლივით ჩასჩურჩულა:

— ანდრომ ამომგზავნა! — მარტო მოხვედი? — ხმამალა იწყინეს ძმებმა.

— ჰო! — იმართლა თავი. — სამნი როგორ მოვერევი? — მე ფერხითი დაედგები, თქვენ კი თავით!

— თავი უფრო ძიძეა, როგორც წესი! — ნიშნისმოგებით გააჟღერეს საყვედურის კილო.

— სამაგიეროდ ორნი ხართ! — შეუტია გიტომ, ეს რა დღეში ხართ, მაღლობა თქვით, რომ გვხმარებთო.

— ეგეც მართალია! — ხმა ჩაიკმინდეს უმალ.

შეთანხმების ბოლო ნაწილიც რომ აღესრულებინათ, აივნის მოაჯირს დაეყრდნენ და ანდროს ხელი დაუქნიეს, თითქოს ხანგრძლივ გამგზავრებამდე ტამბურიდან ბაქანზე დარჩენილ ნათესავს ემშვიდობებინათ. თუმცა მას ეს არ დაუნახავს. ერთსკამზე ფეხები შემოეწყო, მეორეზე კი თავითონ დასკუპებულიყო არხეინად და ვეება კორპუსის წინაშე ისე გამოიყურებოდა, როგორც გოლიათის ფერხითი გამოტყუილი ქონებინათ, თუ დაევიდნებოდა კიდევ თვედმა ხომ ამქვეყნად სახანგეროდ ყოფნის საუკეთესო გამოვლინებაა.

შემდგომ პროცესია ზედმეტი სიფრთხილის გამოხატვა იყავანთ დაიძრა ქვემოთ. თითქმის ყოველ სართულზე ჩერდებოდნენ, ერთმანეთი ხმადანსა რომ გაემხნევენებინათ, თუ დაევიდნებოდა, შევისვენოთო. სადაც მერვე-მეშვიდე სართულზე დიდხანს იყურებოდა, სანამ ძალებს აღიდგენდნენ. კიდევ ხუთი სართული რომ ჩაიარეს, ქანცვანყვეტილებს ხმა ჩაუნყვდათ. მხოლოდ რიტმული ქოშინით შესჩერებოდნენ ერთმანეთს უმადურობის აღმნიშვნელი მზერით, მრავალსართულიანი კორპუსის კიბეზე რომ გასჩენოდათ ცხოვრების მიმართ. მერე, როგორც იქნა, ძირს ჩამოაღნიეს და ჭირისუფლისკენ გაემართნენ, ხოლო რახან ხელები დაკავებული ჰქონდათ, ნეტარ სიზმრებში დანთქმული ანდრო ფეხით შენაჯღრიეს, მკაცრი რეალობისთვის თვალი ჯიქურ რომ გაესწორებინა. იგი ხილვების ბურანიდან ზანტად და მთქნარებით გამოერეკა.

— უკვე დაბრუნდით! — მზრუნველი შინაურულობით შესხახა, თითქოს რაიონიდან ჩამოსულ სტუმრებს ეგებებოდა და ზღაპრით ნამომდგარმა სკამებზე მიუთითა, კუბო აქ დადგითო.

— აბა, მამილო, გამოემშვიდობე უბანს! — თქვა პათეტიკურად, რის შემდეგაც ძმებს მიუბრუნდა, კარი ხომ გამოკეტეთო. მათ ეს მომენტი არ ახსოვდათ, მაგრამ თავის

ენის ქნევას დაბეჯითებით მოჰყვნენ, ჭირისუფლისთვის დამატებითი სადარდებელი რომ არ გაეჩინათ. აბა, იქ ვინ ავიდოდა გასაქურდად, მითუმეტეს რომ არც არაფერი გააჩნდა თვალმისაცემი. ამ დროს ანდროს ადამიანთა ჯგუფი მიუახლოვდა და მან სასწრაფოდ მოიცვა გიტოს კუთვნილი პიჯაკი, სამიძირის სიტყვებისთვის ელევანტურად რომ მიეგდო ყური. ორიოდ კაცს ქუდი მოეშვიპა და თავჩაქინდრულნი დაჰყურებდნენ სადარბაზოდან გამოძვალ

სანინალმდეგოდ მოქმედებს, ხოლო ფრაგმენტები, ნამდვილი რომ გვგონია, ერთ დიდ სიყალბედ აღიქმება. მაგრამ იმ დღეს გიტოს გულუხეობა ენადა. ჩიხს რომ მიუახლოვდა, მესრის გასწვრივ შედგა. ხის ძელსკამი ნელში გადატეხილს ჰგავდა. ზედ დასკუპებული ლუბა და ევა გზას გაჰყურებდნენ, გეგონება, ვინმე შინაურს ელიანო. ეს სკამი გიტოს ბეხრეკ ცხენს აგონებდა, მხედრის ზიდვა რომ აღარ ძალუძდა. ლაგამს ჩალასავით ლეჭავდა უგე-

ცარცის ნაკვალევს, გეგონება, აცაბაცად დადებინო ქაოსში გარკვევას ცდილობენო, კუბოს დადებისას რომ დამჩნეოდა ასფალტს. ქალბატონებს ყვევლების გვირგვინი ეპყრათ და ვერ მიმხვდარიყვნენ, სად მოეთავსებინათ. ანდრომ დრო იხელთა, გიტოს ხელკავი გაუყარა და ყურში ჩასჩურჩულა, ნაჯაკს ახლა ნუ მომთხოვ, უხერხულია, ნავლენ და დაგიბრუნებო. თუმცა ისინი ნასვლას არ ჩქარობდნენ. ხელს გიტოსაც ართმევდნენ, სახეში თანაგრძობით შესცივინებდნენ და საიდუმლოდ უმხელდნენ, მიცვალებულს ყველაზე მეტად შენ უყვარდიო. გიტოს ცრემლის ნასახიც არ ჰქონდა თვალებში, უტიფრად და ორჭოფულად იდგა და დაბადების დღის მილოცვის ნაცვლად მგზნებარე სამიძირებს იღებდა. როცა კუბო კატაფალკაზე შემოდგეს, ანდრომ სკამები ფეხის კვრით ააყირავა, თითქოს ჯავრი მათზე იყარაო. მერე კი გიტოს მიუბრუნდა:

— შენ ნამოგვევები?

— სად უნდა ნამოგვევები?! — მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად აღმოფოთდა უკიდურესად თავშეკავებული გიტო. მისი მდგომარეობა რომ გაიზარა, ანდრო აღარ ჩასცივებია. მხოლოდ ამ სიტყვებით დაამშვიდა, პიჯაკზე მერე მომაკითხე, ხომ უკვე იცო, სადაც ცხოვრობო. თუმცა ნასვლამდე ერთხელაც მიუბრუნდა:

— იქნებ ცოტაოდენი ფული დამიმატო! მრცხვენია, ასე სანიშნოდ გამოწყობილს, ჯიბეში კაპიკიც არ მიჭყაოდეს!

გიტომ ფული კი მისცა, მაგრამ იმდენად ბრიყვი არ იყო, თავისთვისაც არ დაეტოვებინა. სამიძირის ხალხი მანქანისკენ ნაჩაქჩქადა და როგორც კი თვალს მიეფარნენ, მან მარკეტისკენ გასწავა. ასფალტზე დატოვებული თეთრი ნაკვალევი თანდათან ფერმკრთალდებოდა. დალლილობის თავისი ექნა, თუმცა წინ მიმდგომ მოხუც ცოლ-ქმარს ადვილად გადაასწრო. ისინი მინას დაჰყურებდნენ, თითქოს ნაბიჯებს ითვლიანო. სადღა იყო ახალგაზრდობა, ერთმანეთს თვალს რომ არ ამორებდნენ და სევდას მხიარულება სჭარბობდა. ოდესღაც ახლო რომ ეჩვენებოდათ, ახლა ძლივს აღწევდნენ. სიბერე ხომ იქაა, სადაც ყველაფერი შორსაა და სიცოცხლის დღეები გადამგრენ ფრინველებს ემსგავსება.

გიტომ მარკეტში ორი ბოთლი ლუდი, ბლომად ფუნტუშები, ცოტაოდენი ძეხვი, მლოგვი და ტკბილეულობა შეიძინა. ღვი-ნი სახლშიც ეგულეობდა, კარტოფილსაც უცებ შენვავდა ტაფაზე. ის ორი ბოთლი ლუდი ბირჟაზე მდგარ ჩოფურას და ნითურს გადასცა. თუმცა იცოდა, რახან ეს ერთხელ გააკეთა, ხელგაშლილობას მრავალჯერ მოსთხოვდნენ. რეალობა, რომელსაც ჩვენ ვესწავით, ხშირად ჩვენზე თავის

მურად და ფრუტუნით იხვენებოდა, უნაგირი მაინც მომხსენითო. ესენი კი, ზედ ჩამომსხდარიყვნენ და გიტოსაც ეპატიებოდნენ, ცოტას ჩავიჩოჩებოდა და როგორმე შენც დაგტევოთ. ამიტომაც ამჯობინა ვარჯის ქვეშ დგომა. შორიასლო გამოჩენილ ახალგაზრდებს ქალბატონებმა ამრეზით გახედეს, თითქოს იმ მიზნით მოწინააღმდეგეულიყვნენ, მათთვის სახლები რომ წაერთმიათ. სტუდენტები ყოფილან, ქირით ოთახს რომ დაექდებდნენ, მაგრამ უარით გაისტუმრეს. გულცივი დახვედრით აღშფოთებულმა ყვავებმაც არ დააყოვნეს და გრძელ სკამზე მოკალათებულ საზოგადოებას უშვერი ყრანტალით დასჩხავლეს. «ყავო! შენი თავი მინამჭამა!» — ნეყელის სიტყვები ლოცვასავით რამდენჯერმე გაიმეორა ლუბამ. ყოველთვის ასე სჩვეოდა მათი დანახვისას, თუმცა შემზარავი ტექსტის მიუხედავად, ისინიც ყოველთვის მშვიდად განაგრძობდნენ ფრენას.

— გეპატივებით, გოგოებო, ჩემი დაბადების დღე აღვნიშნოთ! — შესძახა უცებ გიტომ.

— კარგი კაცი რომ ხარ, ბედიც იმიტომ გწყალობს! — კეკლუცად შიფერეს მიმართვა «გაგობმა», — გუშინ ფული იპოვე, დღეს კი დაბადების დღე გაქვს. დილითვე რომ გაგემხილა, მუშაობას არც გაკადრებდი!

მერე შინისკენ წაფრატუნდნენ, სახე ფერ-უმარილით რომ გაეთხუპნათ. საზეიმოდ გამოეწყვნენ და გამოპრანჭულები მიბრუნდნენ უკან. შემწვარი კარტოფილის საამო სურნელი ზღურბლზე ეცათ. გიტოს ლარიბული სუფრა გაენყო, რასაც ლუბამ შემწვარი გოჭის ნაჭრები შემატა. ევამ მძაფრი არომატის ოდევკოლონი ამოაძვინა ჯიბიდან და გიტოს დიდსულოვნად უსახსოვრა. თან თავი იმართლა, მარტო იმიტომ მოვედი, ჩემ ბიჭს ჩასძინებიაო. მე გვიანობამდე ვერ ვიძინებ, მხოლოდ ჩავთველემ ხოლმეო, აღნიშნა ლუბამ. გიტოსთვის ასაკი არც უკითხავთ, ამ ამბავს ჯავჯლანი რომ არ მოჰყოლოდა, რაღას უცდი, დაოჯახდით. მსგავსი შეგონებით ისედაც გაბეზრებული იქნებოდა. არ ღირდა კლიაოზნიკობა, რადგან გადწყვიტეს, გვიანობამდე ემხიარულათ. ისეთი განწყობა ჰქონდათ, სიფხიზლის საზღვრებსაც დაარღვევდნენ და დიეტასაც. ლუბას გოჭები არ ადარდებდა, გეჯაში ბლომად სალაფავი დაფუტოვო. ევას შევსლაც დილაამდე ეძინებოდა, რადგანაც ეს ერთადერთი საქმიანობა იყო, რაც არ აოფლიანებდა და დედამისს შეეძლო, მშვიდად ყოფილიყო. გიტოს წინაშე თავს ორივენი ვალდებულად გრძობდნენ და როცა ჩიქები მოწინებით ალაპყრეს სადღეგრძელოს წარმოსათქმელად, აბსოლუტურად გულწრფელები იყვნენ...

პოეტი

გიორგი ლობჯანიძე

სულ ახალგაზრდა შეეჩვიდა უზარმაზარ საქმეს, არაბული და სპარსული მწერლობის თარგმნას ქართულად და, მგონი, თვითონაც ვერ მიხვდა, იმხელა ამაგი დასდო მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. მთარგმნელიაო, ასე მოკლედ და მარტივად ვერ იტყვი გიორგი ლობჯანიძეზე, რადგან მისი ეს საქმე, მთარგმნელობითი შემოქმედება, აშკარად უფრო მეტია, ვიდრე სამსახური, გამოცდილება, მონოღობა, ყოველდღიურობა. იმ ტყავებზეა გახვეული, ნიაღშია ჩასული, სახედ, მოამბედ ქცეული და ამიტველებული.

პოეტი რომ არ იყო, ასე ვერ თარგმნიდა, ვერ გაგვაგონებდა მუსიკას. პოეტია მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ლექსებს წერს, სულ რომ არაფერი დაენერა, მაინც პოეტი იქნებოდა ხედვით, სიტყვით, ხმით. ეს ხმა მშვენიერია, რადგან გულიდან, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გადაკვეთის ადგილიდან მოისმის. მგონი, თავიც მოვაბეზრე აღმოსავლეთ-დასავლეთზე შეკითხვებით, მაგრამ როგორც კულტურულმა ადამიანმა ყველა კითხვას მოთმინებით უპასუხა.

— მოდი, თარგმანით დავიწყოთ. ახლებზე მოგვიყვით — ტექსტებსა და მათ ავტორებზე, მუშაობის პროცესზე.

— ამჯერად ორი ძირითადი სამუშაო მაქვს და ორივე მართლაც წლების თარგმანია. უბრალოდ, ახლა საბოლოოდ ვანერგებ და ვამზადებ გამოსაცემად. ერთი, რასაც ამ დღეებში დავასრულებ და გადავცემ გამოცემლობას, ისლამისა და, განსაკუთრებით შიიტური ისლამის, ერთ-ერთი მთავარი წიგნი „ნაჰჯ ალ-ბალადა“, სათაური ვთარგმნე, როგორც „ნესისრულქმნილი მჭევრმეტყველებისა“. ეს არის ისლამის გარეგანი წიგნი, მეშვიდე-მერვე საუკუნეებში შექმნილი თხზულება, ეგრეთ წოდებული ოთხი მართლმორწმუნე ხალიფადან ერთ-ერთისა და შიიზმის პირველი იმამის, ალი იბნ აბი ტალიბის, ქადაგებების, სხვადასხვა პოლიტიკური თუ რელიგიური პირისადმი გაგზავნილი ეპისტოლეებისა და ბრძოლი გამოწვევების კრებული, რომელიც მოგვიანებით შეკრიბა მისმა ერთ-ერთმა მიმდევარმა, ას-საიდ არ-რიდამ, ხოლო ლიტერატურულად და სტილისტურად შუა საუკუნეების არაბული მწერლობის ერთმა გენიალურმა ავტორმა, ალ-ჯაჰიზმა გადაამუშავა. „ნაჰჯ ალ-ბალადას“ მნიშვნელობა შიიტურ ისლამში დიდად არ ჩამოუვარდება ყურანის მნიშვნელობას და თუ გვინდა სახალიფოში მიმდინარე ისტორიული, პოლიტიკური, რელიგიური და ინტელექტუალური პროცესები კარგად გავიაზროთ, აუცილებლად უნდა ვიცნობდეთ ამ წიგნს, რაც აქ ნახსენებ პროცესებზეც და ისლამის დღევანდელ მდგომარეობაზეც სულ სხვაგვარი, სიღრმისეული თვალთვლება შეგვახდებოდა. „ნაჰჯ ალ-ბალადას“, როგორც წყაროს მნიშვნელობის გარდა, დიდი მხატვრული და ლიტერატურული ძალისხილება აქვს და სამართლიანად ითვლება ადრეული არაბული ლიტერატურის ჭეშმარიტ შედევრად. მაგრამ ყურანისაგან განსხვავებით, რომლის ნაკითხვაც მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე შესაძლებელია, „ნაჰჯ ალ-ბალადა“ თუნდაც ევროპულ ენებზე ნაკლებადაა თარგმნილი და ეს გარემოება მისი სხვა ენაზე გადატანის ობიექტურ სირთულეებს უკავშირდება. თხზულების ერთი რომელიმე მონაკვეთის ადგილობრივად გასაგებად, მისი უჩვეულო ლექსიკისა და, რაც მთავარია, ურთულესი სინტაქსის გასაზრებლად, იყო შემთხვევები, რომ წლების განმავლობაში ვიმუშავე და ახლა, როცა საბოლოო რედაქციისათვის მივუბრუნდი, მე თვითონ მაოცების ზოგი მიგნება, რაც ამ თარგმანში 18 წლის განმავლობაში დამიხვევებია.

ბოლო ხანს თარგმანის ზოგი მონაკვეთი „ფეისბუქზე“ დავდე ისე, რომ მე თვითონ არანაირი პოლიტიკური ქვეტექსტი არ მქონია. უბრალოდ, მუშაობისას, ტექსტის რაღაც ნაწილი ისე მომეჩვენებოდა,



რომ ჩემი ალტაცების მეგობრებისათვის გასაზიარებლად, ვიღებდი ამ ნაწილს და ჩემს „ფეისბუქს“ გვერდზე გადავქონდა. რამდენჯერმე ამ სრულიად უწყინარმა საცქიელმა გარკვეული, პოლიტიკურად ამა თუ იმ კუთხით ანგაფიქრებული პირების უჩვეულო რეაქცია გამოიწვია, რადგან ვილატებმა ჩათვალეს, რომ ეს იყო ჩემი რეაქცია საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ პერიპეტებზე და ჩვენი მუდამ პოლარიზებული საზოგადოების ორივე ნაწილი დაუნდობლად მომვარდა. მათმა რეაქციამ ჯერ ძალიან გამაკვირვა, მერე მიხვდი, რომ ყველაფერი „ნაჰჯ ალ-ბალადას“ „ბრალი“ იყო: მერვე საუკუნეში, სულ სხვა ისტორიულად გეოგრაფიულ გარემოში შექმნილი ტექსტი დღემდე ისეთი თანამედროვეა, რომ მასში დღესაც კი ყველა ადამიანი რაღაც სათავისოს ან თავის საწინააღმდეგოს ხედავს და ისე განიცდის, როგორც დღევანდელი ამბების შეფასებას. თორემ ამ ფრაზების კონტექსტს, მის რეალურ ყოფით ბიძგებსა თუ მოტივებს რაც შეეხება, ძირითადად, ამის გარკვევას შევალე ამ ტექსტზე მუშაობის მრავალი წლის თითქმის ნახევარი. მაგალითისათვის ერთი ნიმუშის მოხმობაც იკმარება. ერთთან იმამი ალი თავის მომხრეებს მიმართავს და ეუბნება:

„მაგრამ, ღმერთმანი, თქვენზე გაბატონდება ერთი საკიფელი მონა, — ყავარზე კუდგადებული, თავისნათქვამა, — შეჭამს თქვენს მონაგარს და თქვენს ქონს ჩამოაღნობს“.

და ამას მოსდევს უცნაური ფრაზა, რომელიც არაბულიდან სხვადასხვაგვარად შეიძლება ითარგმნოს:

„და მიდი, მიდი, აბუ ვაზაჰა, ბოლომდე მიანექი!“.

ტექსტის მკითხველისა და, პირველ რიგში, მთარგმნელის წინაშე რამდენიმე შეკითხვა ჩნდება, რომელსაც პასუხი თუ არ გავცა და მერე შესაბამისად არ განიმარტა, სრულიად გაუგებარი იქნება ის, რასაც იმამი ალი წინასწარმეტყველებს. საკიფი დასახლება საუდის არაბეთში, ტაიფის რეგიონში, მექიდან დაახლოებით 145 კილომეტრში.

მაგრამ ვინ იგულისხმება „ერთ საკიფელ მონაში“?

ბევრი კომენტარის, ისტორიული წყაროს ნაკითხვისა და შეჯერების შემდგომ გავარკვიე, რომ აქ იგულისხმება აბუ მუჰამად ალ-ჰაჯჯაჰ იბნ იუსუფ ას-საკაფი (661-714) — არაბი მხედართმთავარი, ომაიანთა გამგებელი ჰიჯაზსა (692-694) და ერაყში (694-714). იმამ ალისა და ისლამური ერთობის დაუძინებელი მტერი და მონინალმდგე.

კეთილი, მაგრამ ამ ყველაფრის გამოკვევის შემდეგ რჩება ქადაგების ბოლო

აკორდი, დასკვნითი ფრაზა, რომელიც არაბულად ასეა: „იჰინ, აბა ვაზაჰა!“ — „მიანექი, აბუ ვაზაჰა!“, „ბოლომდე, ბოლომდე, აბუ ვაზაჰა!“, „შეჰყავ, შეჰყავ, აბუ ვაზაჰა!“. და რომლის ზუსტად თარგმანსაც ქართული ტექსტისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, საერთოდ ქადაგების მთელი ემოციური სიღრმის გასაგებად.

ვაზაჰა არაბულად ნიშნავს: „ცურცულს“ ან „კურკულს“ და ამ შემთხვევაში თარგმანი იქნებოდა: „მამავ კურკლისა!“, ნაჰჯ ალ-ბალადას შემდგენელის, ას-საიდ რიდას თანდართული კომენტარის მიხედვით ვიგებთ, რომ ვაზაჰას ასევე ეძახდნენ „ხუნფუსას“ ანუ „ნეფის ხოჭოს“. ის იქვე დასძენს:

„ მიზანმიმართულად ბავიარა “

„ამით (მართლმორწმუნეთა მბრძანებელი) ნართაულად მიანიშნებს ალ-ჰაჯჯაჰზე, რომელსაც „ვაზაჰასთან“ (ნეფის ხოჭოსთან) რაღაც ისეთი ამბავი გადახდა, რისი ხსენების ადგილიც აქ არ არის“.

გავიგეთ, რომ აქ უმკაცრეს სარკაზმთან გვაქვს საქმე, თანაც ეს ისეთ დელიკატურ ამბავს უკავშირდება, რომ კომენტატორი ამის ახსნას საგანგებოდ გაურბის, მაგრამ მთარგმნელისათვის, რომელმაც ზუსტად უნდა თარგმნოს მთლიანი ფრაზა, უმნიშვნელოვანესია ამ დეტალების ცოდნა. ბოლოს და ბოლოს, როგორ თარგმნოს ფრაზა: „მიდი, მიდი აბუ ვაზაჰა ბოლომდე შეყავი!“ თუ „ბოლომდე მიანექი!“ ამიტომაც დავინჯე ძებნა და საბოლოოდ, მრავალი კომენტარისა და გადმოცემის შეჯერების შემდეგ თვითონ თარგმანის კომენტარში მიღებული შედეგი ასე ჩამოყალიბდა: მიზეზი კი, რის გამოც ალი იბნ აბუ ტალიბი ალ-ჰაჯჯაჰს — სიტყვასიტყვით: „ძღულების მღენაჟი“ — დაცინვით „აბუ ვაზაჰად“ იხსენიებს, ერთი განმარტების მიხედვით ისაა, რომ ერთხელაც ალ-ჰაჯჯაჰი ლოცვად იდგა, როდესაც ხალიჩიდან ნეფის ხოჭო შეახტა. გაცეცხლებულ ჰაჯჯაჰს უყვირია: „მომაცილეთ ეს უწმინდური! იგი ცურცულია შაიტანისა!“ მეორე ვერსიის მიხედვით, რაც მომდევნო ფრაზის — „ბოლომდე მიანექი!“ — ირონიიდან გამომდინარე უფრო სარწმუნო ჩანს, ალ-ჰაჯჯაჰი უკანალის ქველით იტანჯებოდა, როგორც იბნ აბი ალ-ჰადიდი ამბობს, დაავადებით, რომელიც მოციქულისა და მისი საგვარეულოს მტრებსა და ურჩებს ემართებოდა. ამ სწულელების დასაბუთებად კი ჩვეულებრივ იმ ხერხს მიმართავდა, რაც მისთვის თავის დროზე აბუ ჯაჰლს ესწავლებინა. უკანალის ხერხში ხოჭოს შეისვამდა და მისი მოძრაობა ქავილს უამებდა.

ეს ერთი მაგალითი, რომელიც აქ არსებითად ახალგაზრდობის მოვიყვანე, მგონი, კარგად გვიჩვენებს იმ რეალურ ამოცანებს, რისმა გადამწყვეტამაც შეიძლება მთარგმნელს ტექსტზე მუშაობისას მოუწიოს. თანაც ყველა პრობლემა არც ასეთი სახალისოა. უიშვიათესი, უმდიდრესი ლექსიკა და უდახვეწილესი სინტაქსი, რაც ამ არაბული ენის საოცრებას გვთავაზობს, მთარგმნელისათვის აჩენს ერთგვარი პასუხისმგებლობისა თუ „გაჯიბების“ განცდასაც, სიზუსტესთან ერთად თავის ენაზე ოდნავ მაინც ასახოს მაღალმხატვრულობის ის ხარისხი, რაც ორიგინალის დიდი ღირსებაა. ყალბი თავმდაბლობის გარეშე და ძალიან საქმიანად შემოიძლია ვთქვა, რომ ნაჰჯ ალ-ბალადაში ეს დიდი თანაზიარობა ნამდვილად მომიხერხდა. თარგმანისათვის წინასიტყვაობა ჩვენმა შესანიშნავმა ისლამმცოდნემ, მუსლიმური კულტურის ნამდვილად დიდმა მკვლევარმა ქალ-

ბატონმა ნანი გელოვანმა დაწერა, ტექსტის რედაქტორობა კი ითავა ასევე ბრწყინვალე არაბისტმა, არაბული ლიტერატურის უბადლო ექსპერტმა ქალბატონმა დარეჯან გარდავაძემ.



მეორე დიდი საქმე, რომელსაც ახლა ვაგრძელებ, გენიალური სპარსელი პოეტის ჯალალ ედ-დინ რუმის „არსთა მესნევის“ ქართული თარგმანის მოწესრიგებაა. მკითხველმა იცის, რომ ამ ექვსწანილიანი შედევრის პირველი-სამი წიგნი უკვე გამოსცა „სულაკაურის გამომცემლობამ“. ამჯერად გამოსაცემად ვამზადებ მეოთხე წიგნს, რომელიც წლის ბოლომდე უნდა გამოიცეს.

— რამდენად აგრძელებს ირანული და არაბული თანამედროვე მწერლობა კლასიკური ლიტერატურის ტრადიციას, რამდენად ღირსეული მემკვიდრეა?

— ამ შეკითხვაზე ძალიან მოკლე და ერთმნიშვნელოვანი პასუხი მაქვს: თანამედროვე არაბული და სპარსული ლიტერატურა თავ-თავის დიდი ტრადიციების უღირსეულესი და უდანაკარგო მემკვიდრეები არიან. და ვინც ამ აზრს არ ეთანხმება, უბრალოდ, არ იცის ის ღრმა შემოქმედებითი პროცესები, რასაც დღეს ორივე ამ ხალხის ლიტერატურაში ვხედავთ.

— თქვენ გითარგმნიათ არაბული და სპარსული მწერლობის შედევრები, აღმოსავლური სამყაროს საუკეთესო ლიტერატურა, თითქოს რაღაც უნდა გაგაკვიროვოთ? მაგრამ მაინც არის ალბათ ტექსტები, ახლახან რომ წაიკითხეთ და გააკოცათ.

— ის, რაც ლიტერატურაში — სულერთია ძველსა თუ ახალში — მაოცებს და აღმიტაცებს, სიტყვაში ღვთაებრივი ენერჯის კონდენსაცია და მისი ხარისხია. ის, თუ რამდენად ახლებურად, თანამედროვედ შეუძლია მწერალს ჩემამდე მოიტანოს დასაბამისწამინდელი პრობლემები, განცდები თუ შთაბეჭდილებანი. არაბული ლიტერატურადან ჩემი წლების ყველაზე მძაფრი და დიდი შთაბეჭდილება, დიდი მწერლის აღმოჩენის სიხარული იბრაჰიმ ალქუნის უკავშირდება, რომლის რამდენიმე რომანი ქართულად უკვე გვაქვს და შესანიშნავად თარგმნა დარეჯან გარდავაძემ. სპარსულ ლიტერატურაში ასეთივე დიდი, ოღონდ აბსოლუტურად სხვა ყაიდის მწერალია ირაჯ ფეხმეჰიანი, მისი რომანი „ბიძაჩემი ნაბოლონი“ სულ ახლახან — ვფიქრობ რომ სანიმუშოდ, მართლა თარგმანის მასტერკლასის დონეზე — თარგმნა თეა შურლიამ და გამოსცა გამომცემლობა „დიოგენე“. ორიგინალში ნაკითხული წიგნებიდან, რომლებიც ჯერ ქართულად არ თარგმნილა, ირანული მწერლისა და სუფიზმის მკვლევრის სხეივ იაჰია იასრების ბიოგრაფიულ რომანს „ყოლაზი და ციხე-სიმაგრე“ გამოვარჩევდი, რომელიც დიდი სუფი ავტორის, სოჰრევარდიეს სუფისტური ტარიკათის დამაარსებელ შოჰაბ ედ-დინ სოჰრევარდის ცხოვრებას ეძღვნება. ასევე ჩემზე ძალიან იმოქმედა შოკე საუკუნის გამოჩენილი ირანელი პოეტის ქალის, ფორუყ ფაროხზადის შესახებ შექმნილმა ბიოგრაფიულ რომანმა „დატყვევებული ჩიტის სიმღერა“, რომელიც ინგლისურად დაუწერია ირანული წარმოშობის მწერალმა, მე კი ეს წიგნი სპარსულ თარგმანში ნაკითხვით. ალტაცებული დავრჩი თანამედროვე ფრანგი მწერლის პასკალ კინიარის ერთი წლის წინათ გამოცემული ბოლო რომანით „იდუმალი სოლიდარულობა“ (არ ვიცი, ზუსტად როგორ ვთარგმნო ფრანგული სათაური).



დასასრული

— რთული წელი გქონდათ, გიორგი. როგორ ახერხებთ მუშაობას?



— იმდენად რთულ წელიწადი იყო, რომ, საერთოდ, არა თუ მუშაობა, არსებობაც კი ძნელად შევიძელი. ღვთის ყველაზე დიდი წყალობა ადამიანისათვის მისი და მისი უახლოესი ადამიანების ჯანმრთელობა ყოფილა. სხვა ყველა პრობლემას მოვევლება, ყველაფერი გადაილახება. ჩემი მეუღლის მიმე ავადმყოფობამ და ოჯახის განსაცდელმა საერთოდ ამომავდო კალაპოტი დან. იყო წუთები, როცა ყველაფერი, რაც ცხოვრებაში მიკეთებია, ერთ დიდ სისულელედ მეჩვენებოდა, რადგან უსაყვარლესი ადამიანი ხელში მაკვებოდა და მე ვერაფერს ვშველოდი. მადლობა ღმერთს, რომელმაც, ხალხის დიდი დახმარებით, ფიზიკურად ხომ გადაგვარჩინა, მაგრამ ამ უჩვეულო თანადგომამ იმაშიც დამარწმუნა, რომ საქმე, რასაც მთელი ცხოვრებაა პრაქტიკულად სილატაკეში ვაკეთებ, ჩემი დროისათვის მაინც რალაცით მნიშვნელოვანია.

— აღმოსავლეთი, მუსლიმური სამყარო და მისი არამუსლიმი მთარგმნელები — რა ურთიერთობაა ეს?

— რთული და წინააღმდეგობრივი, როგორც ყველა სიღრმისეული ურთიერთობა ამქვეყნად — თავისი ეჭვებითა და ნდობით, თავისი შეკითხვებითა და ამ შეკითხვებზე გაცემული გულწრფელი პასუხებით, უცხოოდ ყოფნიდან მინაურად, თავისიანად მიღებამდე. ჩემთვის ეს, არსებითად, ჩემი მხრიდან ერთი ნახვით შეყვარების გზაა, რომელიც მიზნამდე რთულად გავიარე, სანამ ამ სიყვარულის ადეკვატურ პასუხს მივიღებდი.

— საინტერესო თემაა — თანამედროვე აღმოსავლური ლიტერატურა, როგორც მსოფლიო მწერლობის ნაწილი, მსოფლიო მწერლობის პროცესებში მისი ჩართულობა.

— თანამედროვე აღმოსავლური ლიტერატურა ისეთივე ვრცელი და მრავალფეროვანი მოვლენაა, როგორც თანამედროვე დასავლური მწერლობა. საერთოდ, საზოგადოებრივი პროცესის ან იმავე მწერლობის დაყოფა დასავლურად თუ აღმოსავლურად დიდ უაზრობად მეჩვენება. ლიტერატურა ერთიანია და ისეთივე თვითმყოფადი, როგორც ადამიანი, იმის მიუხედავად, რა დროსა და სივრცეში ცხოვრობს ან ტანზე როგორი სამოსი აცვია. სწორედ ამ სამოსის შეიძლება შევადაროთ სტილისტიკა და მისი განსხვავებანი, რაც ამა თუ იმ ერსა და გეოგრაფიულ სივრცეში შექმნილ ლიტერატურულ ნიმუშებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, თორემ ისე, რა მნიშვნელობა აქვს, სიმართლე სად ითქმება, ჭეშმარიტება სად აღინიშნება, ადამიანს სატიკივარს რომელ ენაზე ნათქვამი დაუამებს. აღმოსავლური რომ ვამბობთ, მე, მაგალითად, შემძილია, სპარსულ ანდა არაბული ლიტერატურაზე გელაპარაკოთ, მუსლიმურ აღმოსავლეთსაც კი — დავუშვათ, თურქულ ლიტერატურასაც — არ ვიცნობ მთლიანად და საფუძვლიანად, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩინურ ან იაპონურ ლიტერატურაზე. სპარსულ და არაბულ ენებზე შექმნილ თანამედროვე მწერლობაზე კი შემძილია გითხრათ შემდეგი: ამ ერების ლიტერატურასაც დაახლოებით იგივე პრ-




ობლემე აქვს, რაც ქართულ ლიტერატურას — მსოფლიო საზოგადოებრივ პროცესთან მონაცემებთან თანამედროვეობასთან ჩამორჩენა კი არა, ლიტერატურის კომერციალიზაცია. რეალურად ჩვენ არ ვიცით, როგორ შევფუთოთ ჩვენი საუკეთესო ნიმუშები ისე, რომ მსოფლიოს დღევანდელი შესაფერისი რაკურსით წარმოვუდგეთ. ამ „არცოდნას“ ბევრი მიზეზი განაპირობებს და ერთ-ერთი ძირითადი ქართული ენის, ისევე, როგორც არაბული და სპარსული ენების, სირთულე და სპეციფიკურობაა. ქართულად, არაბულად ან სპარსულად დაწერილ ინგლისურად დაწერილთან შედარებით წარმოუდგენლად მცირე აუდიტორია კითხულობს და ამ მცირეთაგანაც ნამდვილისა და ყალბის, ღირებულისა და ნაკლებღირებულის გადარჩევა კიდევ უფრო ცოტას შეუძლია. სულ ელემენტარული რომ ავიღოთ, ევროპელის ყურისათვის ქართველ მწერალთა გვარების დამახსოვრებაც კი ისეთივე ძნელია, როგორც ჩვენთვის — არაბული, სპარსული ან ჩინურ-იაპონური გვარ-სახელები. ან წესიდან გარემოებათა გამო ვილაცა ამოვარდება. ვთქვათ, 1988 წელს პირველმა და ერთადერთმა არაბმა მწერალმა ნაჯიბ ნამფუზმა მიიღო ნობელის პრემია და ახლა ნაჯიბ ანდა ნაჯიბ მაჰფუზი დასავლეთში შედარებით „გაშიანურებული“ სახელია. მისი ნიგნები ამის გამო იყიდება და კომერციულად მომგებიანია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში მხოლოდ ეს ერთადერთი, თავისთავად დიდი, მწერალი ჰყავდეთ. მაგალითად, ნობელის მიღების დროს არაბულ სამყაროში და მაჰფუზის მშობლიურ ეგიპტშიც კი ცხარედ კამათობდნენ იმაზე, ვის უფრო ეკუთვნოდა ეს პრემია: იმას, ვინც პრინციპში დამსახურებულად მიიღო თუ იმას, ვისაც ეგიპტელები უფრო ღირსეულად და დიდ მწერლად მიიჩნევდნენ, ანუ ტაჰაჰა ჰუსეინს?

რომ აღარაფერი ვთქვათ, თაუფიკ ალ-ჰაქიმზე, რომელიც ჩემი აზრით, საერთოდ, უკონკურენტოა!

მაგრამ ახლა თქვენც დაფიქრდით: თუკი ნაჯიბ მაჰფუზი ქართველმა მკითხველმა ასე თუ ისე იცის, მისი არაერთი რომანი თარგმნა მაია ანდრონიკაშვილმა, ბოლო ქართული გამოცემა კი, გონა კუჭუხიძის მიერ თარგმნილი რომანი „გზა“, „სულაკაურის გამოცემლობამ“ რომ დასტამბა, მკითხველების დიდმა ნაწილმა განსაკუთრებულ მოვლენად შეაფასა, ტაჰაჰა ჰუსეინისა და თაუფიკ ალ-ჰაქიმის სახელები ალბათ, ამ ინტერვიუს მკითხველების უმრავლესობას პირველად ესმის და საკარაუდოდ, როგორც კი ნაწერს თვალს მოსწვევტს, ეს სახელებიც იქვე დაავიწყდება. არადა, ისევე მაგალითისათვის რომ გითხრათ და არა იმისთვის, რომ ან ნაწყენი ვარ ან მეორე მხრის მოტივაცია არ მესმის, გამომცემლობას „გზასთან“ ერთად შევთავაზებ გონა კუჭუხიძის მიერვე თარგმნილი თაუ-

# გიორგი ლობჯანიძე: „მიზნამდე რთულად გავიარე“



ფიკ ალ-ჰაქიმის მართლა ეპოქალური რომანი „სულის დაბრუნება“ — შვიდასგვერდიანი საგა — რომელიც წინა საუკუნის ეგვიპტის სრულ და არაჩვეულებრივად ცოცხალ პანოს გვიხატავს, პროფესიულად, როგორც რომანი, ამ ჟანრის ნამდვილი შედეგია, მაგრამ იმ უჭკვიანესმა ადამიანმა, ვინც გამოცემლობაში ლიტერატურულ პოლიტიკას განსაზღვრავს, ამ შედეგის გამოცემაზე ორი მიზეზით თქვა უარი: ვრცელი ტექსტია და ავტორი პრაქტიკულად უცნობია!

სამწუხაროდ, ამ ბედს იზიარებს არაბი და სპარსელი თანამედროვე ავტორების ძირითადი ნაწილი.

— დიდი ხანი არ არის, რაც დაბრუნებით თეირანიდან, სადაც ირანის კულტურის ცენტრის თხოვნითა და ფინანსური მხარდაჭერით თეირანის ოცდამეათმეტე საერთაშორისო წიგნის გამოვენახე იმყოფებით. რა ხდებოდა იქ?

— იქ წელსაც ის ხდებოდა, რაც უკვე 35 წელიწადია, ყოველ წელს მაისის თვის დასაწყისში ხდება: ენცობა თეირანის წიგნების დიდი გამოვენა, რომელიც თითქმის მთელი მუსლიმური აღმოსავლეთისა და ნაწილობრივ სხვა ქვეყნების ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებაა. თეირანის წიგნის ბაზრობა ერთი კვირის განმავლობაში თავს უყრის ყველა მნიშვნელოვან ავტორსა თუ გამოცემლობას თითქმის მთელი აღმოსავლეთიდან, ხდება აზრებისა და იდეების ინტენსიური ურთიერთგაცვლა, ახალი ავტორებისა და წიგნების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობა. გამოვენა თეირანის მთავარი სამლოცველოს, მუსალას, ტერიტორიაზე გამართული, 630 ათას კვადრატულ მეტრზე. მუსალა აღმოსავლური, მუსლიმური, ქალაქის რელიგიური, საზოგადოებრივი და კულტურული გულია, სადაც ქვეყნის მთავარი ღონისძიებები იმართება და მათ შორის წიგნის საერთაშორისო გამოვენა, რომელიც ირანის ხელისუფლების ყოველმხრივი ზრუნვისა და ყურადღების საგანია. მაგალითად, წლებიდან წლებამდე გამოვენაზე, ირანის ისლამური რესპუბლიკის სასულიერო მეთაური, აიათოლა ალი ხამენეი, რომელიც უკვე სოლიდურ ასაკშია, ჩვეულებებისამებრ, საგანგებოდ მოზარდნი და სამი საათი პავილიონების შემოვლას, ავტორებთან და გამომცემლობას საუბარს, ლიტერატურაზე მსჯელობას დაუთმო.

ჩემი თეირანული სტუდენტობის სამი წლის განმავლობაში არცერთ წელიწადს არ ყოფილა ისე, რომ თეირანის საერთაშორისო წიგნის გამოვენაზე ყოველდღიურად, დილიდან დაღამებამდე არ ყყოფილიყავი. მეუე რამდენჯერმე მომინია ჩასვლამ ხან ქართველ მეგობრებთან და კოლეგებთან ერთად, ხანაც მარტო. ამიტომ შემძილია დინამიკაში დავაკვირდე ამ უმნიშვნელოვანესი კულტურული ღონისძიების განვითარებას, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო წარმომადგენლობითი და მრავალფეროვანი ხდება. ეს დი-

ნამიკა გვიჩვენებს, როგორი დიდი წარმატებით ვითარდება ირანში საგამომცემლო საქმე. წიგნის გამოცემა, როგორც არაერთი სხვა რამ, სპარსელებს ნამდვილი ხელოვნების დონეზე ჰყავთ აყვანილი. ერთადერთი, რაც ამ წლების განმავლობაში უცვლელი დარჩა, არის წიგნისა და წიგნიერების დიდი სიყვარული ირანელებში. გამოვენის მართლა უზარმაზარი ტერიტორია ხალხით არის გადაჭედილი და თითოეულ პავილიონთან უზარმაზარი რიგის გავლა გინევს, სანამ სასურველ გამოცემებამდე მიღწევ. თანაც წიგნი და წიგნიერებაა მის ყველაწარსული გამოცემებისა და გამოცემლობების წელს თეირანის წიგნის ბაზრობის დაახლოებით იმხელა ტერიტორია ჰქონდა დათმობილი, რამხელაც თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალს მთლიანად ეთმობა ხოლმე ჩვენს მეთერთმეტე პავილიონში.

თეირანის წიგნის გამოვენაზე უამრავი შიდაღონისძიება იმართება, რომლებიც თითქმის უწყვეტად, პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემა ქვეყნის რამდენიმე სატელევიზიო არხზე, მაგალითად, წელს თავისი სტუდია გამოვენაზევე ჰქონდა ირანის ტელევიზიის საერთაშორისო და ძალიან პოპულარული არხს „ჯამ-ე ჯამ“, რომლის კორესპონდენტიც ჩემი იქ ჩასვლის პირველივე დღესვე მოვიდა და საღამოს ათწუთიან ჩართვაზე შემითანხმდა. რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. მეორე დილას იქ აკრედიტებული „ჯამ-ე ჯამის“ რეჟისორი, მთავარი რედაქტორი, ნამყვანი და ოპერატორი მოვიდნენ და მითხრეს, თქვენმა გამოსვლამ ისეთი ფურორი მოახდინა, მთელი ეს ხანი მაყურებლის ზარი არ შეწყვეტილა, ითხოვენ, აი, ასეთი ხალხი გვაჩვენეთ ცოტა დიდი ხნის განმავლობაში, არაჩვეულებრივ სპარსულსაც მოვისმენთ და ჭკვიანურ აზრებსაც გავიგონებთო, ამიტომ, ძალიან გთხოვთ, უარი არ გვითხრათ და დღეს კიდევ ერთი ჩართვა გავაკეთოთ, ცოტა დიდი ხნით. სტუდიაში თითქმის ორმოცი წუთი ვიჯექი და ქართული ლიტერატურის, თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ ვლაპარაკობდი. შეიძლება ამ გამოსვლის დამსახურება იყო, რომ ჩემთან შეხვედრაზე, რომელიც იმავე საღამოს, თეირანის წიგნის ბაზრობის მთავარ დარბაზში გამიმართა, უამრავი ხალხი მოვიდა. რაც მთავარია, თეირანის წიგნის ბაზრობის ორგანიზატორებს მანამდე ეზრუნათ, მოეძებნათ ჩემი ძალიან დიდი ხნის მეგობარი, ირანელი დიპლომატი და თავდაც არაჩვეულებრივი პოეტი ჰოსეინ თაბათაბაი და მისთვის ეთხოვათ, ჩემთან შეხვედრისათვის მოდერაცია გაენა. შეხვედრის სამუშაო საათური იყო: „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობები: ისტორიისა და თანამედროვეობის გადაკვეთაზე“.

ეს მთავარი შეხვედრები მაქსიმუმ ერთ საათს გრძელდება ხოლმე, მაგრამ მოხსენების შემდეგ იმდენი შეკითხვა დამისვს და დარბაზიდან, რომ ჩვენი საუბარი დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. ინტერესი ძალიან დიდი იყო. ირანელი გამოცემლები ფაქტობრივად იქვე მაკეთებინებდნენ თანამედროვე ქართული მწერლობის მთავარი რომანების სინოფსისებს, მეუე კი მოდიოდნენ და დაწვრილებით მეკითხებოდნენ ქართველი მწერლებისა და გამომცემლების საკონტაქტო ინფორმაციასა თუ მათთან მუშაობის თავისებურებებს. მხოლოდ ამ კონტაქტებს რომ გავყვეთ და სერიოზულად ვიმუშაოთ, უახლესი ქართულ-ირანული ლიტერატურული ურთ-





იერთობები ამ ნიადაგზე შეიძლება ბრწყინვალედ აიგოს.

აქვე ბარემ ვისარგებლებ შემთხვევით და მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოში ირანის კულტურის ცენტრს, რომელმაც ამ დაუფინანსარი მოგზაურობის შესაძლებლობა მაჩუქა.

**— პოეზია — თქვენი ნავსაყუდელი, მკავშირეები სამყაროსთან, თქვენი ფუფუნება, თქვენი განმარტობა და გახსნილობა ერთდროულად. ვერა?**

— ნამდვილად ასეა. ადამიანი საერთოდ თავის შიგნით უამრავ არსებას აერთიანებს. ზოგი ამას ნიღბებადაც კი აღიქვამს და ამბობს, რომ კაცი სხვადასხვაგვარ სიტუაციაში იძულებულია სხვადასხვანაირი ნიღბი მოიხატოს. მე ამ საკითხს უფრო განსხვავებულად ვუყურებ და ვფიქრობ, რომ ეს ნიღბები კი არა, ჩვენი სხვადასხვა სახეა, რომელსაც სხვადასხვაგვარ გარემოში ვამუშავებთ და ეს სულაც არ არის თამაში — ყველგან ნამდვილად ის ვართ, რაც ვართ, ანდა რაც ვითარების შესაბამისად უნდა ვიყოთ.

მაგრამ ნებისმიერი ადამიანისათვის მთელ ამ თავის შინაგან არსებებში, მაინც არის ერთი ცენტრალური ფიგურა, მთავარი გმირი, რომელიც ყველა მისი არსების საფუძველსა და თუ ვნებობს ხერხემალს წარმოადგენს. ჩემთვის ასეთი ცენტრალური არსება, როგორც პავლე მოციქული უწოდებს, „შინაგანი ადამიანი“, პოეტია, რომელიც, თუნდაც არ ჩანდეს, მაინც ყველა იმ სახეს განსაზღვრავს, რასაც ამა თუ იმ სიტუაციაში სხვებს ვუჩვენებ.

ადრე ამ შინაგანი ადამიანის გამო მრცხვენოდა ხოლმე. ლექსებსაც კი ვმალავდი და ძნელად ვაჩენდი. ახლა თვითონ მისი, ამ ადამიანისა მრცხვენია, რადგან მივხვდი, რომ ყველაზე ემოციურად სწორედ ის რეაგირებს ჩემი თუ ჩემი გარემომყოფების ნებისმიერ უსამართლობასა და უღმერთობაზე.

და ეგებ, ადამიანის სინდისიც სწორედ ესაა.

**— ბოლო კრებულთ და ვინაობა — „აქილევსის გულით“. ამ კრებულთან დაკავშირებით გოჩა კუჭუხიძის საოცარი წერილი გამომეცხვინა „ლიტერატურულ გაზეთში“, გულისხმიერი ლექსები სჭარბობს ამ კრებულში, ავტორი წერდა. „კითხულობ და ხედავ, სათუთი რომ არის პოეტის გული, მაინც აქილევსის ქუსლთან აკავშირებ ასოციაციით ლექსისა და მთელი კრებულის სათაურს და მთელი სიღრმით აცნობიერებ, როგორი სიფრთხილით, როგორი სიყვარულით უნდა მოექცე პოეტისა და, ზოგადად, ადამიანის გულს, ნუთისფლური გრძნობებით ატანილი ტკივილი რომ არ უნდა მიაყენო მას, თუკი ადამიანი გქვია“. რას იტყვი?**

— კრებულზე ლაპარაკს სწორედ გოჩა კუჭუხიძის ამ არაჩვეულებრივი წერილით და ვინაობა. გოჩა ჩემი დიდი ხნის მეგობარია, მაგრამ მანამდე ჩვენ გვაკავშირებდა კიდევ უფრო დიდი რამ ამ ცხოვრებაში. ორივენი ქალბატონი თინა მარგველაშვილის გამორჩეული მოწაფეები ვიყავით. გოჩა ჩემზე ცოტათი უფროსია, მე რომ ალმოსავლეთში ცოდნის ფაკულტეტზე ჩავირიცხე, მას სემიოლოგიის განყოფილება უკვე დამთავრებული ჰქონდა, მაგრამ ქალბატონი თინასგან მისი სახელი და გვარი ჩემი სტუდენტობის პირველივე დღეებიდანვე გავიგონე და მერეც სულ მესმოდა, რა ნიჭიერი და, რაც მთავარია, როგორი წესიერი ადამიანია გოჩა კუჭუხიძე. ეს თინა მარგველაშვილის შეფასებაა და იგი სიტყვებს ჰპერზე არ ისროდა! და რა ბედნიერებაა, რომ ცხოვრებამ რამდენჯერმე ექოსავით გამამეორებინა ჩემი დიდებული მასწავლებლის ეს სიტყვები არაბული ლიტერატურის არაჩვეულებრივ მთარგმნელ და ლიტერატურის მართლა სიღრმისეულ მკვლევარ გოჩა კუჭუხიძესთან დაკავშირებით.

ჩემი ბოლო ორი კრებული ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ეგიდით გამოვიდა გამომცემლობა „ჩვენს მწერლობაში“. წინა კრებულს „სიზმრის ნანგრევებში“ წინა ვახანიას წინათქმა უძლოდა და სწორედ წინა წერილებზე ვთქვი ის, რასაც ახლა გოჩა კუჭუხიძის ამ რეცენზიაზეც სიამოვნებით გავიმეორებდი: ამ კრებულის გამომცემმა მხოლოდ იმისთვისაც ეგირებოდა, რომ ასეთი წერილი დაწერილიყო! საერთოდ კი, ეს ბოლო ორი კრებული ამ სახით ვერაფრით ვერ გამოიცემოდა, რომ არა მათი და მთლიანად ჩემი ლექსების მგონი უკვე შეუცვლელი რედაქტორი როსტომი ჩხეიძე. როსტომი ჩხეიძის მნიშვნელობაზე ქართული ლიტერატურისათვის, მის დიდ შემოქმედებაზე ისეთი რა უნდა ვთქვა, რომ ზუსტად შევფასო მისი ღვაწლი. აქ უბრალოდ იმას მოგიყვებით, რაც მე მხოლოდ როსტომთან შემიძლოა გავამყდებო. ამ კრებულიც ვამოცილებ რამდენიმე თვის წინათ ვიყავით შეთანხმებული. მერე ჩემთან ისეთი ქარიშხალი დატრიალდა, რომ კრებულისთვის კი არა, არაფრისთვის აღარ მეცალა და აღარაფერი მახსოვდა ჩემი მეუღლის გარდა. შარშანდელი დეკემბრის შუა რიცხვებში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვაფარებო. ვხედავდი, რომ ირინე თანდათან მეცლებოდა ხელიდან, მაგრამ მაინც ვერ ვუშვებდი, ვერ ვეგუბოდი, არ მჯეროდა, რომ ყველაფერი ფატალურად შეიძლება დასრულებულიყო, მანამ, სანამ აგრესიულად გულწრფელმა მისმა აქაურმა მკურნალმა ექიმმა საავადმყოფოს დერეფანში არ მიყვირა: „ღმერთმა ხომ იცის, რომ მე ყველაფერს ვაკეთებ, მაგრამ ეს გოგო კვდება! ნაიყვანე! თუ ოდნავი საშუალება მაინც გაქვთ, გადაიყვანე თურქეთში! არა! სასწაულებს იქაც ვერ ახდენენ, მაგრამ ეგებ რამე უშველოს!“

წამოვედი იმ ღამეს სახლში, მეორე დღით თურქეთში სრულიად გაურკვეველ ვითარებაში გასამგზავრებულად ვემზადებოდი და უცებ შუალამისას ბოლო კრებულისათვის თავმოყრილი, ფაქტობრივად გადაუკეთებელი და კრებულისათვის სრულიად დაუზღავებელი ეს ლექსები გამახსენდა. მივწერე როსტომს: „გოგზავნი ამ ლექსებს! ეგებ მოაწესრიგო. მენანება ამათი ასე დატოვება. მგონი, ეს ჩემი ბოლო პოეტური კრებული იქნება!“

დღით თურქეთში გავემგზავრეთ და მერე თითქმის ოთხი თვე ფაქტობრივად სრულ იზოლაციაში, მეუღლის გვერდით, სიკვდილთან ბრძოლაში გავატარე. კრებულის ამბავი თითქმის დამავინწყდა, როცა თებერვლის ბოლოს როსტომის შეტყობინება მომივიდა, რომ წიგნი უკვე მზად იყო დასაბეჭდად. ამ კრებულს თვითონ როსტომი ჩხეიძის მოკლე, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი წინათქმა და ნანა კუციას ვრცელი ბოლოთქმა ერთვის. გოჩა კუჭუხიძის ის რეცენზია, რაც „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა, კრებულის გამოსვლის შემდეგ დაწერილი გამომხატებია. ნანა კუციას წერილი კი არის ვრცელი გამოკვლევა, რომლითაც ისეთი აღფრთოვანებული ვარ, რომ მისი ავტორის მიმართ ჩემს მადლიერებას ვერანაირი სიტყვით ვერ გამოვხატავ. ნანა კუციას ეს გამოკვლევა, არამხოლოდ ჩემი პოეზიის შესანიშნავი გაზიარებაა, არამედ, ჩემი თვის, იმეორე, როგორ უნდა ინერგებოდე კრიტიკული წერილი დღეს რომელიმე ავტორის შესახებ. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი კართული ლიტერატურული კრიტიკისაგან განვხიზვეული ვარ. თითქმის ჩემს ყველა კრებულზე არაერთი გამოხატულება დაწერილა და, ფაქტობრივად, ქართული ლიტერატურის მცოდნეობა ფხვნილობა მიმავალი იმის შეხვედრასა და ათვისებას, რასაც ცხოვრების განმავლობაში ვწერდი. ამ ფონზე სასაცილოდ და ბოროტად მეჩვენება მავნე გავრცელებული აზრი, რასაც არაერთხელ წავეყვედროდი: „ლიტერატურული ლიტერატურული კრიტიკა არ არსებობდა“. ყველაფერს რომ თავი დაანებო, როცა როსტომ ჩხეიძე გყავს, როგორ შეიძლება პირიდან ასეთი მკრეხელობის ამოშვება?!

„აქილევსის გული“ პირველი ეგზეგეზიკალიზმი კი თურქეთში მივიღე. ჯერ თვითონ გადავიკითხე ჩუმი და მერე ჩემს დას, ირმას, ვაჩუქე. პირველი შემთხვევა იყო, როცა პირველი ცალი მეუღლის, ირინესათვის არ მიჩვენებია. არადა, თითქმის ყველა ლექსი მას ეძღვნება ან მის სიყვარულს დასტრიალებს.

**— თქვენი ბიოგრაფია სასევა ალმოსავლეთით, თქვენი ცხოვრება გადაჯაჭვულია არაბულ თუ სპარსულ კულტურასთან, როგორ ფიქრობთ, ან როგორ ხედავთ, თქვენს ორიგინალურ შემოქმედებაზე, თქვენს ლექსებზე, რა გავლენა იქონია ამაზე?**

— მგონი, ჩემს შემთხვევაში, უბრალოდ გავლენაზე ლაპარაკი არასერიოზულია, რადგან მე თავს არაბული და სპარსული კულტურების ისეთივე ბუნებრივი ნაწილად აღვიქვამ, როგორი ბუნებრივი ნაყოფიც ვარ ჩემი მშობლიური ქართული კულტურისა.

დღეს უკვე გულწრფელად მიჭირს იმისი განსაზღვრა, ვინ უფრო დიდი პოეტია ჩემთვის შოთა რუსთაველი, ჯალალ ედ-დინ რუმი თუ აბუ-ალ-აღ-მარინი? ან კალანდაქი, სიმინ ბექბაშანი თუ ლადა ას-სამინი?

ამასაც რიტორიკულად თუ ვიკითხავ, თორემ კარგად ვიცი, ლიტერატურა ერთიანი დიდი სივრცეა სამოთხისავით, სადაც არა არის რჩევა არც მამაკაცისა და არც დედაკაცისა, სადაც ერთად ტრავმაზე დედანი და მამანი, სადაც არც ეროვნებას, არც რელიგიას, არც სექსუალურ თუ სხვა რამეს სახის მიკუთვნებულობას არავითარი არსებითი მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ასე, რომ ალმოსავლეთიცა და დასავლეთიც ჩემთვის უკვე დაძლიებული ამქვეყნიური პირობითობაა, ხორციელი, ნივთიერი ნიშნები, რომლებიც აზრს კარგავენ იქ, დიდ, სულის დიდებულ მიწაზე.

სხვათა შორის, ჩემი ლექსების წიგნების თარგმანები დღეს დასავლეთში, ევროპაში უფრო იბეჭდება, ვიდრე ალმოსავლეთში. ბოლო ხანს ზედინედ გამოვიდა ჩემი წიგნების ლიტერატურული, იტალიური, ფრანგული, შვედური თარგმანები.

თურქეთში ყოფნისას დამიკავშირდა ჩემი დიდი ხნის მეგობარი, ჩემი პოეტი და მთარგმნელი იარომირ ტიპოტი, რომლის ლექსებიც თავის დროზე ქართულად ვთარგმნი, აინტერესებდა, მისივე საქართველოში ვიქნებოდი თუ არა. მითხრა, მისი თვეში „მწერალთა სახლის“ სარეზიდენციო პროგრამით საქართველოში ჩამოვდივარ და მინდოდა, მენახე, თან საღამოც მიწინა, გავმართო. მაშინ, ზუსტად ისიც კი არ ვიცოდი, ამ დროს სამშობლოში დაბრუნებას მოვახერხებდი თუ არა. საბედნიეროდ, აქ აღმოვჩნდი და მხოლოდ მწერალთა სახლში იარომირთან შეხვედრისას მისულმა გავიგე, რომ თურმე სარეზიდენციო პროგრამის მიზანი ჩემი ლექსების ჩეხურად თარგმნა და გამოცემა იყო. ასე, რომ მალე ძალიან კარგი ჩეხური კრებულიც მექნება, რადგან თვითონ იარომირ ტიპოტი თანამედროვეობის მართლა გამორჩეული პოეტია.

ამით იმისი თქმა მინდა, რომ ბედნიერი ვარ ჩემს არაბ, ირანულ, თურქ კოლეგებთან ურთიერთობითაც და ლიტერატურულ, ჩეხ, იტალიურ, ფრანგ, შვედ მეგობრებთან ყოფნივითაც, მთავარია, ერთმანეთის ენა გვესმოდეს და ერთმანეთის ენებზე ჩვენს ნააზრევს დაუბრკოლებლად ვთარგმნიდეთ. გვესმოდეს ენა, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილი გვასწავლიდა: „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო

უხსაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის!“

**— მართალია, ამბობთ, ალმოსავლეთი და დასავლეთი უკვე დაძლიებული ამქვეყნიური პირობითობაა ჩემთვისო, მაგრამ მაინც მინდა, გავიხსენო თქვენი ძალიან საინტერესო ინტერვიუ ირანულ მწერალ ქალ გოლი თარაყთან, „ცხელ შოკოლადში“ რომ დაიბეჭდა. ის იხსენებს ფრანგი მეგობრის სტუმრობას ირანში და ერთი კონკრეტული ამბით ჰყვება ალმოსავლეთისა და დასავლეთის სხვადასხვაობაზე, სასიამოვნო განსხვავებულობაზე, რაც ქმნის სწორედ ამ ორი სამყაროს ბალანსს, დიდ სისავსეს, ჩემი აზრით. ასე ამბობს გოლი თარაყი, როცა ეს ჩემი მეგობარი ირანში მივიპატიჟე, ჩვენ შორის განსხვავება სწორედ მაშინ აღმოვაჩინე, ეს კიდროსა და დისციპლინისთანავე ჩვენი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გახლდათ, „გამუდმებით კითხულობდა, თავისთვის რაღაცას ინიშნავდა და უნდოდა, ყველაფერი ენახა... პირზე მუდამ ერთადერთი ინგლისური სიტყვა ეკერა — „ქვიქლი“, ჩქარა, სწრაფად — სიტყვა, რომელსაც ირანელის ლექსიკონში ძნელად თუ ნაპოვებდა. სპარსული კულტურა, სიზნანის, სიზარმაცის, დუნე აუჩქარებლობის კულტურაა. როცა კი სადმე წავიდოდი, მე მუდამ გრილოში ჩამოჯდომას ვთავაზობდი, სადმე ჩამოვხსნდით, ჩაი დავლიოდა და ვისაუბროთ-მეთქი. ის კი გამუდმებით საათს დასცქეროდა და დროზე, ნუთხზე იყო მიჯაჭვული. მაშინ ვუთხარი: თუ გინდა ირანის მულაში გაიგო, საათი მოიხსენი და გადაადგე, რადგან აქ დრო გრძელია, დუნეა, განვლილია-მეთქი... ქაშანის სახელგანთქმულ ბაღში რომ შევედით, რაღაცებს მე-კითხებოდა და პასუხებს აჩქარებით ბლოკნოტში ინიშნავდა. მე ვიდექი და ბუნებით ვტკბებოდი... მისთვის კი მთავარი ინფორმაცია იყო... ჩვენ ირანელებს ინფორმაცია არასოდეს გვანიჭებდნენ. ინფორმაციის, გონების ხალხი არა ვართ, ტკობის, გულის ხალხი ვართ. გულის სიღრმეებში ვიძირებით და გამუდმებით ვნეტარებთ... თქვენ რომელი ხარ ამათგან?**

— გოლი თარაყი თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ძალიან დიდი ავტორია და როგორც ბევრი ირანელი მწერალი ქართულ კულტურაში, იგი თეა შურლიამ და მზია ბურჯანაძემ შემოიყვანეს. ვისაც ამ ორი მართლა ძალიან დიდი მთარგმნელის მომზადებული და „დიოგენეს“ მიერ შესანიშნავად გამოცემული გოლი თარაყის კრებულები წაუკითხავს, დამეთანხმება, როგორი მშობლიურია ის ქართული მკითხველისთვისაც, და რომ გოლი თარაყის მიერ აღწერილი თეირანი თითქმის ერთი ერთში ემთხვევა თბილისს. ეს სწორედ წინა შეკითხვისა და ჩემი პასუხის გაგრძელებაა: ადამიანი მსოფლიოს ყველა წერტილში ადამიანია, იმ თავისებურებების მიუხედავად, რომელსაც მისი მშობელი კულტურა თუ საცხოვრებელი გარემო განსაზღვრავს.


საინტერესოა, თქვენ თვითონ როგორ ფიქრობთ: ვთქვათ, დროსთან ჩვენი, ქართული დამოკიდებულება უფრო ალმოსავლურია თუ უფრო დასავლური? ან ნებსრიგ-თან, დისციპლინისთან ჩვენი მიმართება? მე მგონია, რომ თვითონ ვიცხოვრე როგორც დასავლელმა, რომელსაც მუდმივად ენატრებოდა, ყოფილიყო ალმოსავლელი.

**— სამომავლო გეგმებზე მოხსარი თორიდე სიტყვა, თუ რა თქმა უნდა, ასეთ გეგმებს თუ ამოცანებს ისახავთ ხოლმე.**

— ჩემი ამჟამინდელი დეპრესიის ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მომავალი, რომელიც მუდამ იყო ბურუსით მოცული და მის გამოკვეთას რაღაც გეგმების შემუშავებით მაინც ცდილობდი ხოლმე, ახლა საერთოდ მყიდვ და უხილავი გახდა. არავინ იცის, იქნება თუ არა ხვალე და თუ იქნება, როგორი იქნება. ზუსტად ის ვიცი, რომ სანამ ამქვეყნად ვიარსებებ, გამუდმებით დავწერ. რადგან რეალურად მხოლოდ მაშინ ვარსებობ, როცა ვწერ, ვთარგმნი, ვაზროვნებ... და მადლობა ღმერთს, რადგან მჯერა ერთი რამ:

„კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა!“

ნეჯიფ ფაზილ ქისაქურეჯი მე-20 საუკუნის თურქი პოეტი. იგი დაიბადა 1905 წელს ქალაქ სტამბოლში. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. ლექსების პირველი წიგნი 1921 წელს გამოცა. საყოველთაო აღიარება მოუპოვა 1928 წელს გამოცემულმა წიგნმა „ქვაფენილები“. ნეჯიფ ფაზილ ქისაქურეჯი გარდაიცვალა 1983 წელს. დაკრძალულია ქალაქ სტამბოლში.



არც რო დალონებულები, არც რო ბედნიერი ვარ, სულ არ ვფიქრობ სიკვდილზე — თავისთავად მენწვევა; სინამდვილეს კი არა, სიზმარს ავდევენებივარ და ხანდახან ჩემივე ჩრდილიც ველარ მენწვევა.

### ნეჯიფ ფაზილ ქისაქურეჯი

#### ნამება

1 უსასრულო სივრცეიდან ჩამოაღწია ექომ — გაისეირნოს მაგ კაცმა სიცარიელის სხვენზე; და ჩემი ქალაც აფრინდა — დღემდე რომ თავზე მეცხო და მძიმე ხელობილების შემოცილებაც შევძელ.

სწრაფად მივედი სარკმელთან: იდგა ყაყანი ქარბი, აფსუს, სრულდება შიშები, ჩემო უფროსო დაო; მართლა მესროლეს ისარი მშვილდით — მოხრილი წარბით თუ მტკივან წარმოსახვასთან სულ უმიზეზოდ ვდაბო.

წვეთ-წვეთა დავაჭაშნიკე შხამი ისარის წვერით — დავკარგე გემოს შეგრძნება — ისე დავდევი ზავი; სახეზე სახე მეხება, სუნთქვა მეხება ცხელი და გულყრას ამოვყოლე შეზიზღებული თავი.

აიძვრა ჭიქა წყალივით ამქვეყნიურის სახე, თანდათან გაიცრია და სიცარიელედ გადაცა: ცუდად ამიხდა სიზმარი, ამასწინათ რომ ვნახე, ამდენი საწუხარით და ამდენი ფიქრით დამთვრალს.

როდესაც ნახრილ კეფაზე უროს დაცემა მეღის, საწოლში დავიმალევი, რომ სინამდვილეს მოვწყვე, ამ დროს იყვლებს მამალი, თვალდასადგამად ქრელი და მჩატე იდუმალელებაც ერთი დღის იმედს მომცემს.

რა ჰქვია ასეთ სამყაროს, ძნელია ამის ახსნა, ბრტყელია მისი სხეული, დავადებული ეჭვით, იაფი დეკორაცია — ჩითი, უბრალო თასმა და მთელი კაცობრიობა — მსუყე ტყუილის ხელში.

უსახო ჭემმარიტებაც, ჩემს უნებურად გებრძვი, უნდა დამისხვრეს სიბრყვე — თვალის მაცდური მინა; იცხოვროს თავის ადგილზე ყოველმა ნერვმა ჩემში, ჩემო სამშობლოვ, ამას გთხოვ, ახლა რომ განგებ გძინავს.

#### 2

ვიხეტივალე თვეობით, დანგრეული ვარ თითქმის, დამაქვს ჩემივე გონება, ქვაბი დამაქვს და ჩამჩა; საკუთარ სოფელს გამცდარის დამორცხვებული ფიქრი, საოცარია, ყოველთვის წყვილი ბორკილით განჩნდა.

როგორ იღვევა საგანი, როცა სიშორე ფრთებს შლის? ან ძილში, თვალდახუჭული, როგორ ხდება, რომ ვუმზერო? რას ნიშნავს დროის თამაში ერთი სამყაროს ხელში? ეს თუ გავიგე, ბოლო დღეც მომიკაკუნებს გულზე.

ფიქრობენ, გულის იარა არის ქეძავით სავსე და ტვინის გარსში წურბელას აქვს ასპარეზი ნიჭის. სალაში დიდო ნამებაც, შე მართლა ჩემო მსგავსო — სანამ იწვი და გიზგიზებ — მეც არაფერი მიჭირს.

გზას თვალი მაინც დაეძებს, ბედს გული მაინც შესთხოვს, მეშვიდე ცამდე აუხსნელ რამდენ საფიქრალს ძინავს: დედის ლოცვაა ასეთ დროს, რასაც რომ უნდა ენდო, მწირის უბრალო არგანი, ცივი ქარი და წვიმა...

ძილია თავშესაფარი, რამე ნუგეში, წყარო, მოხეტიალის, ყაჩაღის, ერეტიკოსის, მკვლელის, შარბათი არის ნამდვილი, რითაც ცვოცხლობ და ვხარობ — ციდან წვეთ-წვეთა წამოსულს თიხის ჯამივით ველი.

სიზმარი — ჩემი სამოთხე, დღემდე რომ ნისლში ვხედავ, და თითქმის მთელი ცხოვრება ვეძებ ყვავილით ხმელით, მწვანე ლიანის ნანავი, ყინი, გულისთქმა, ვნება, ჭიანჭველების სასახლე — სულ რომ დანგრევა ელის.

ტანის ყოველი ნაწილით სულს მორიელი გესლავს, დროიდან დროში შევდივარ დღემდე ამგვარი წესით; და სანამებლად ხანძარში არ არის ძნელი შესვლა, აზრის გრივალში — ნამდვილად, შესვლა — ნამდვილად მესმის.

#### 3

ეს — საიდუმლო კვანძია, დიახ, ყოველი ჩემშია, დღემდე რამდენჯერ სიკვდილის ოფლი მომადგა ღვარღვარით. უძირო ტბების შიშებით მე ჩემი თავი შემშლია — გარემო ველარ მიცვნიდა და ამრევი გზაკვალი.

შორს — ჰორიზონტი, მზაკვარი, ნამდვილი მელა მაცდური, გზებია რამე გორგალი, გრძელი, ანენილ-აშლილი; ღამეა ჩემი სიზმრისა და ღარიბული სასთუმლის მოყელყელავე იმედთან — შუქთან რაიმე კავშირი.

ვატყობ თანდათან მოგბეზრდი, შე ჯადოქარო ფრთიანო, მახრჩობს ბუნაგში გოგირდი — შენ რომ ჩუმ-ჩუმად შეუშვი; მინაზე უფრო საფრთხილო და ხმაღზე უფრო ფხიანი, ხინვივით შეუმჩნეველი, რა ჩამიტოვე სხეულში.

ლექსიკონებში ვეძიე, შენ რომ სახელი მომეცი, ასე ცნობილი ენიდან — ბგერასთან ბგერის თანხლებით; და ტანსაცმელშიც ვეძიე — თუ უფრო ვგავდი რომელში მე იმ კაცს, მთელი ცხოვრება, მონასავით რომ დავყვები.

მითხარი, მართლა მითხარი, მე ვარ თუ მართლა გეშლები და დედამინის კისერზე ხარი ვარ ტვირთის მთრეველი, იქნება — ხუროთმოძღვარი — საკუთარ ფიქრს რომ აშენებს, ანდა იქნება — დერვიში, მინაზე დაუტყველი.

ხან ვფიქრობ — მტკრიან პეკელას მგონია, უფრო მოგვაგარ, ხან ქაფის მთა ვარ ნამდვილი — კავკასიონის იერი; ანდა ღრუბელი ფეხმძიმე, მუხლის ტკივილით მბორგავი, სხვაზე უფრორე ნორჩი და სხვაზე უფრორე ხნიერი.

ვერ ვპოვე დღემდე ტყუილში, ვერც ჭემმარიტში ვიხილე, ოცნებაში რომ ვხედავდი, ის მშვენიერი ხატები, „ტყუილად ვიხეტივალე“ — ჩემს გულში ჩავილიდინებ და ამის მერე ცხადიდან კვლავ სიზმარს მივემატები.

#### 4

თითქოდა ღამე ვარდება რამე პირღია თხრილში, მე შენს ხელებში ვვარდები — ტანმაც ნამდვილად იგრძნო; თითქოდა დღემდე აუხსნელ იგავს სულ ახლა მივწვდი და ამის მერე წარსულსაც და მომავალსაც ვიცნობ.

გაიღე, სეზამ, გაიღე, მართლა გაიღო კარი, ატლასის ტახტზე ბაბუას სძინავს მარადი ძილით; ჩახჩახებს შუშის სასახლე — შუშის ბრიალა თვალი და უამრავი ნათურის გულს უხარია ღზინი.

ეს — ატომების თამაში, მხიარულება, ხმები და ნათურების გარშემო ამის შედეგი — შუქი; დაფარულ ხუროთმოძღვრებას როცა გუმანი ხვდება — ღმერთი რომ მართლა არსებობს — აღარც არავის უკვირს.

ტალღა ტალღაზე მალღდება და ქაფს იყენებს თავზე, ზღვა აღელვებს აპირებს, მწვდება ყელთამდე წყალი, აქამდე ამოუკითხავ საიდუმლოთი სავსე და მარადიულ ხეაღეშიც — დაუნახავი თვალთ.

მუსიკა გამინაწყენდა, შორ-შორს დამიდის უკვე და ველარ დავიმალევი ყოფიერების ჩრდილში; პატარ-პატარა ტალანტებს არც არაფერი უკვიროთ — ვიტანჯო — ჩემი ხვედრია — მე დიდ ტალანტად ვიშვი.

ყველამ თავისი იცოდეს, სხვა არის ჩემი ტვირთი, თანდათან რომ იხატება, ჟამის, ეპოქის თვალში; ჩემია ეს ვარსკვლავები — ეს ლაჟვარდების ხვითქი, ბროლ-ბადახმ-მარგალიტებიც — ჩაცვენილები ტბაში.

დაიჩოქე ვავალებ ჩემ თავს ჩემსავე ფერხთან, მხარზე რომ აბგა მკიდა, ალბათ თესვასაც შევძლებ; შენ ყველა ნერვის ფესვი ხარ, ყველას სიმწვანით თენთავ, უთქმელო უსასრულობავ და მეც ამიტომ გექებ.

#### მანანალა

მანანალას ქონება მთელი დედამინაა, არავის არ იმონებს, არავის ემონება; ხოლო სხვა დანარჩენი — ქვეყანაზე ვინცაა, ნაწილ-ნაწილ იყოფენ ამ სახალხო ქონებას.

წლობით ვიხეტივალე და უხეში დრამიდან გამოვთხოვე სამყაროს ახლობლობის უფლება; სიცოცხლეში სასახლე, მკვდარს სამარე არ მინდა; — თავად გამკვირვებია ჩემი თავისუფლება.

#### სული

ათასი წლის, ან ათასი საუკუნის მერე ხდება — ერთი მწერი ჩემი ფერფლის ყნოსვით დაინტერესდება. ფერფლი ისე გაბრწყინდება, რომ ხელახლა დაინვა და მინიდან წამოვდგები — ჩემ თავს მივცემ ამის ნებას. შედუღდება ასო-ასო ნაწილები ჩემი ტანის, თანაც ისე უცაბედად — ღამის ველარ შევიცანი. ჩემი კანი სუნთქვასავით მჩატეა და ნიავს მიაქვს და ხელები ფოსფორივით აშუქებენ მინის წყვილად. ჩემი ტანის მდინარეში ყოფნას ისე ვიადვილებ — ეჭვით ვუმზერ ამ უეცარ და ნაჩუქარ სინამდვილეს. ვფიქრობ, ნეტა სიმართლეა —

ნამს ვუპირებ შეჩერებას — თუ ზმანება ჩემი ფერფლის — მე რომ ახლა მეჩვენება. ვეძებნი თავში რამე ახსნა —

ძებნით სუნთქვა გავახშირე — და ვიპოვე გასაღები — მიწასთან რო მაკავშირებს. მე ამ უცხო წარმოსახვით ღამის გული მეზიდება, ახლავს ცივი ჟრუანტელი მინის პირველ ფეხის ხლებას. დავალ ახლა ქურჩა-ქურჩა, როცა ქალაქს მოსავს ღამე — ერთი თეთრი მოჩვენება —

მხრებზე გრძელი მოსასხამით. დავსეირნობ ოთახ-ოთახ სახლში, სადაც დავიბადე, მოიწყენენ ნათურები, დროზე თუ არ გავიბადრე. შიში წამოეპარება, სუნთქვას ავად გაახშირებს — ფოლადის ხმას —

ამ ქალაქის ხელწერას რომ მაკავშირებს. ყველაფერი გაჩუმდება, ხმას გაკმინდავს სახლის ზარიც, კრამიტები ფურცელ-ფურცელ ქარს მიჰქონდა —

ნავისწარი, იყო თავად უხილავი, ხმაურობდა ყელით ჩემით — მართლა მიუწვდომელია — ღამის არის შევიშლები — მოეხვიო ვარდის კონას ან შუქს ცვრიანს თაიგულის, შიში ამგვარ ფანტაზიის მტოვებს ასე გალიგვული.

#### ქვაფენილები

მივყვები ქურჩას, თანაც მარტო ვარ თითქმის, ჩემივე ღამი უკან მგზავრივით მომდევს, რომელიც ახლა რამე ნერტილად ითქმის ქვაფენილების და ამ ქურჩების ფონზე.

ცა ნაცრისფერი უკვე ღრუბლების ტყვეა, საკვამურებიც ცისკენ იშვებენ ხელებს; თუ ვინმეს ღვიძავს — ეს ჩემზე ითქმის — დიახ, ქვაფენილების და ამ ქურჩების მერე.

რატომ მგონია — მზარავს ამგვარი შიში — ყოველი ქურჩა — თავმოკვეთილი დევი, და სარკვებით მოსიარულე ჩრდილში — საკუთარ ჩრდილში — შენუხებული ვდგები.

ქვაფენილები — მარტოხელების დედა; ქვაფენილები — ჩემში მღვიძარი ხმები; ქვაფენილები — ნაფხურების სევედა, ქვაფენილები — მეტყველი ენა გზების.

მე ამ ქურჩების ძუძუნანოვი ყრმა ვარ, ბავშვი გაზრდილი ქვაფენილების ხელით; გაგრძელდეს დიდხანს — სხვა სანატრელი რა მაქვს — დედაშვილობა, დედაშვილობა ჩვენი.

დავალ ქურჩებში, ქურჩები დადის ჩემში და ვილანდები ცივი ნათების შუქით; ვეხის ხმაური მშიერ ნაგავებს ესმით და ცოტა-ცოტა ეშინიათ და უკვიროთ.

დილას ვარიდებ, დილა მარიდებს თვალებს, სიბნელების და ღამეების ტრფიალს; ავი თვალისგან თალხი საბნებით ვმალე, რასაც აქამდე ჩემი ცხოვრება ჰქვია.

მივეზომები ან მოვიზომებ თავად  
სიცხიან შუბლზე ქვაფენილების გრილოს,  
მერე სიზმრებში, მერე სიზმრებში წავალ  
და მთელი ღამე იქაც ხეტივალ ვცდილობ.

**ჩემო მშვენიერო სტამბოლ**

დამიუძღურდა სული და სული ნაწილ-ნაწილ ყინავენ  
და ნაწილ-ნაწილ სტამბოლის მიწაში დააბინავენ,  
სული — სურნელი, კლიმატი, ქარი, ფერადი ფაფარი,  
ჩემი ძმა, ჩემი მოკეთე და ჩემი თავშესაფარი.  
ოქრო, მბრწყინავი ვარსკვლავი, ყვავილი მარადიული  
და მზე და მთვარე ჩახჩახა — ორი სტამბოლი ციური.  
ზღვამ პაემანზე პირველზე აქ დაიბარა ხმელეთი  
და გაუცვალეს ერთმანეთს ანწყოც,  
ნარსულიც, მერეთიც...

ჩემი სიცოცხლე სტამბოლი,  
ტრფობა, მამული, ამბორი —  
სტამბოლი,  
სტამბოლი!

აქვს ისტორიას თვალეზი, გალავანებში გამსვლელი,  
წამოიშარა კვიპროსი, უფრო საოცარ წამს ველი.  
ყალყზე შედგება ღრუბლებში ცხენი

საზღაპროდ ტანადი,  
მალა — მდიდარი გუმბათი — მილიონობით კარატი.  
ეს მინარეთი აწვდილი — საჩვენებელი თითია,  
რომ ვართ და აღარ ვიქნებით, რომ ყოველივე მითია,  
რომ ცოდვებისგან მოველით

კვლავ მონყალების გაცემას,  
და ბეილოლუს სიბრაზეც ცრემლებით შეიგანძება.

იპოვე ის აზრი, რასაც რომ ამბობდი,  
თან აუცილებლად სტამბოლში — სტამბოლით,  
სტამბოლი,  
სტამბოლი!

სრუტეა ვერცხლის მაყალი,

ადუღებს, ხარშავს სიგრილეს,  
და ჩამლიჯაში უსაზღვრო ლაყვარდით გადაგიბირებს.  
წყალია მოუსვენარი, ცეცხლის სარდაფის სტუმარი,  
შორს მოსწანს ვინმე დესპანის სურათი გაუხუნარი.  
ყოველ საღამოს ფანჯრების შუბლზე შუქების მოდენა  
და ხის სასახლე ფერილი, მთელი ქალაქისოდენა.  
ერთი ხმა მაღალ მაყორში — ადევნებული პიანოს,  
აკენესებს ახლა „ჩემს მდივანს“ და ოთახები ხმიანობს.

ქალის თვალეზის ფერია,  
თანაც სისხლივით ცხელია,  
სტამბოლი,  
სტამბოლი!

ტანი ახალი მწვერვალის, დრო ერთ ქარგაზე მქარგავი,  
შვიდი ფერი და შვიდი ხმა, შვიდი ტკივილის ამბავი.  
რამე ობოლი, მორთული,

როგორც რომ მოდას შეჰფერის —  
კუნძული, ქარი კაპასა — თავზე პასუხისმგებელი.  
გამთენიისას ციხიდან ისრებს ამოყრის მშვილდები,  
თან ყვირილს ამოაყოლებს —

თოფქაფი აღარ მშვიდდება.

როგორც რომ დედას ვერ შეცვლი,  
ვერც სტამბოლს მოისაკლისებ,  
რასაც გაკისრებს ღიმილში,  
ტირილშიც იმას გაკისრებს...

სტამბოლის ღამე — სუმბული სრული,  
მისი თურქული ბულბულის სუნით,  
სტამბოლი,  
სტამბოლი!

**მომლოდინა**

შენ გაქცეული, მშობარა, ჯვირანი ხარ მთაში,  
მე მტაცებელი, მდევარი, კვალში ჩამდგარი მგელი;  
იყვირე, მთები შეძარი, გამოგადგება რაში,  
მე და შენს გარდა — არავინ — რომ გამოიღოს ხელი.

თავად გაშინებს შენივე განვლილი გზები დღემდე,  
ზურგსუკან — ჩემი ფეხის ხმა —

არ ვიცი, ზუსტად თუ ვთქვი,  
შორიდან გენუგეშები — გიჯობს ამ მკლავებს ენდო  
და გალიგვული სხეული გაითბო ჩემი სუნთქვით.

მაგ შენს ცარიელ ოთახში ღამეებია ზამთრის  
და ჩემზე ფიქრის გარეშე გაყინულია სივრცე;  
ნაიჩურჩულე: „ის არის შემრყევი ჩემი ფანჯრის,  
ქარი კი არა, ის არის — ხმაურით ყურს რომ მივსებს“.

დღეს წვეთ-წვეთობით ვიპკურე  
ამქვეყნიური გზები? —

საფლავშიც დაგელოდები მესაიდუმლე გულით;  
ხომ ხედავ, მკვდარიც,

ცოცხალიც შენი ერთგული ვრჩები,  
ქვასავით ჟამის ამტანი — მარადიული სული.

**მკვდრის ოთახი**

თავთან — ობოლი სანთელი, ფარდები — ჩამონეული;  
კედელზე — თალხი ტრაური თუ მოცახცახე სხეული;  
აქა-იქ ლურსმნის ჩრდილები — დამრეცი,

ვიდრე — შევეული,  
ეს ყველაფერი ფეხადგმულ დუმილში გამოხვეული.  
შუა ოთახში — უძრავი, საგნად ქცეული მუდარა  
და მთელ სიგრძეზე — ზენარი, ანუ იგივე — სუდარა;  
ბოლოში — წყვილი ფეხსაცმლის წვერები ამონეული,  
როგორც ძახილის ნიშანი — სტრიქონის —

მკვდარი სხეულის;  
სახეზე მკრთალი ჩრდილები — იმქვეყნიური ხნულები,  
ჭერს მიბჯენილი თვალეზი — წვეთები გაყინულები;  
მკრთალი, ტუჩების ბოლოში, განათებული ხაზია —  
რამე პატარა სიცოცხლე — ახლა რომ დიდი ფასი აქვს.  
აღბათ სრულიად უეცრად, უავადმყოფოდ წავიდა —  
ასეთი დასკვნა გამომაქვს ამ მძიმე სანახავიდან ...  
ვამთავრებ, ბოდიშს მოვიხდი,

მიმყავს სათქმელი ბოლომდი:  
ჩემს ხვალინდელ დღეს ვხატავდი და  
თავს წინდანინ ვგლოვობდი.

თარგმნეს  
მირანდა და ზაალ ქვანოიძეებმა



**მარიამ წიკლაური**

**ბასი-ბუსი**

ჩვენს ქალაქში დაქრის, ჰერი,  
ავტობუსი გრძელზე გრძელი!

ყველა იმ ავტობუსს ელის,  
დაჰყავს მგზავრი ცოტაც, ბევრიც!

დადის თამაშ-თამაშით,  
ბასი-ბუსი ღამაზი!

გარმონიც აქვს ერთი, დიდი —  
დაგოფრილი რუხი ხიდი.  
ის ორ ვაგონს აერთებს,  
იმგზავრე და გაერთე!

წელავს, წელავს გზა-გზა გარმონს,  
ახალისებს სახსე სალონს.  
ბასი-ბუსი მღერის,  
პი-პი, ჰერი, ჰერი!

მგზავრობისას თურმე ბავშვებს  
კანონმორჩილებას აჩვენებს —  
მხოლოდ ბასლინზე დადის,  
აქვს სავალი თავის ხაზი!

განრიგიც აქვს ზუსტი,  
ყველა მაგას უცდის!

ჩვენს ქალაქში დაქრის, ჰერი,  
ავტობუსი გრძელზე გრძელი!

ჩვენი მწვანე ბასი-ბუსი,  
მეგარმონე ავტობუსი!

**მალე გამოიღარებს**

მთელი ღამე იწვიმა.  
ბოტებს, ქოლგებს, ლაბადებს  
უხარიათ, დილით რომ  
დატოვებენ კარადებს!

რას ნახავენ ქუჩაში?  
გუბებს, წვეთებს — წკაპუნებს,  
წვიმის დიდი ღრუბელი  
მინას როგორ აპურებს.


მალე გამოიღარებს,  
მზეც ამოვა, ცხრათვალა,  
წვიმის წვეთი იცინის —  
ჩვენ ვერავინ დაგვთვალა.

**ერთი ქალი სიკოპურა**

დედაბერმა სიკოპურამ  
ველარ ზიდა  
წყლის კოკურა.  
ვინ უშველა?  
— ჭიანჭველამ,  
კოკას ხელი მიაშველა.

დედაბერმა დალოცა,  
წყლიდან თაფლი გამოცრა.  
გაუგზავნა ჭიანჭველას  
შვილებს ქილით,  
დედა კოვზით აყლაპებდა  
ყოველ დილით.  
მარტო შვილებს კი არა,  
ძმიშვილს,  
დიშვილს,  
ნათლულებს.  
მგონი, ასი წელი ეყოთ,  
თუ ჭკუა არ მატყუებს.





მარიამ ნიკლაური

წელიწადი — მხატვარი

მთელი წელი ცა თამაშობს მზეს და წვიმას, ქარს და ფიფქებს, ღრუბლებსა და ცისარტყელებს შლის და ხატავს, ელვას იქნევს.

ტყეებს მწვანედ აფერადებს, მერე ურევს წითელ-ყვითელს. მერე თეთრად გადაღებავს, შლის და ხატავს ინყებს ისევ.

არაფერი არ სჯობს, როცა ბლის ხეს ხატავს, წითლად, მწიფეს. გვირილებით ავსებს მინდვრებს, ზედ მერცხალი გადაიფრენს.

ლურჯ ზღვას მიახატავს დელფინს, სოფლებს — ბავშვებს, ბილიკს — მაყვალს, ჰამაკს — წიგნსაც მიახატავს.

ზვრებში მტვენებს აფერადებს, ხატავს ყანებს, ოქროს თაველს. მერე ისევ ყვითელ ფერებს გადაუსვამს ტყეს და ველებს.

წელიწადის დროებს ვითვლით, არ უტყდებით ფანქრებს წვერი. ნეტა ასე ერთად იყოს ყველა დრო და ყველა ფერი!

კონცერტი

ჩემმა დიდმა დამ, ირამ, რა დაუკრა? — დაირა!

დავუძახეთ ანდროს, ლინას, დავამღერეთ მანდოლინა.

სტუმრად იყვნენ ილოც, ინოც, მე ვუკრავდი ვიოლინოს.

ლინას მეგობარმა ნინომ ახმინა პიანინო.

ნინოს კეთილ დეიდას აკვრევიწეს ფლეიტა.

იყო კარგი კონცერტი, შენ რატომ არ მოხვედი?

წვიმს და წვიმს

წვიმა მოდის, წვიმს და წვიმს, ვერ გამოჰყოფ გარეთ ცხვირს!

გინდა, გქონდეს ქოლგა, გინდა, გქონდეს ბოტი, წვიმა განა უფრთხის, ასხამს, თქეშად მოდის. გინდა, გქონდეს ნავი, ლაბადას და ნიჩბებს,

არად აგდებს წვიმა, არაფერს არ იმჩნევს! გინდაც ემუდარო, ნულარ მოხვალ ამდენს, მაინც მოდის თავსხმად, ლუმპავს ქუჩებს, სახლებს.

წვიმა მოდის, წვიმს და წვიმს ვერ გამოჰყოფ გარეთ ცხვირს!

როგორ გაიტყუო ენა

— გინდა, გახდე ტიკტიკელა? უნდა გაიტყუო ენა! — როდის გაიტყუო, აბა? — სჯობს, რომ გაიტყუო შაბათს! — მერე როგორ გავიმთელო, კანფეტები ჩავიტენო? — არც კაკა და არც კევი, ლექსის თქმაში ამყევი!

პანანინა ყვავილი

პანანინა ყვავილი ამოვიდა მიწიდან. შარშანაც ხომ აქ იყო? გვიცნო და გაგვიცინა. ინოვს წყალს და სინათლეს — მისი ფაფაც ეს არის. ეზოს გაგვიღამაზებს, გაგვინათებს მზესავით.

როგორ გავხდეთ გაყაყი?

ნაწვიმარზე ფანჯრებიდან რომც იყურო დიდხანს, შენ ბაყაყი ვერ გახდები, თუ კართან არ მიხვალ. თუ ბოტებსაც არ ჩაიცვამ, თუ ქოლგას არ გაშლი და არ გავარდები უმალ ნაწვიმარზე კარში. რის ბაყაყი, რისი ყი-ყი, რისი სკუპი-სკუპი, თუ არ გაილუმპე წყალში, არ დასველდი თუკი. თუკი გუბებს გადაახტი, შიგ ფეხი არ ტუცე, არ გექნება არასოდეს საკუთარი გუბე! ყი-ყი-ყი-ყი, ყიყინელა წვიმა ჩვენთვის მღერის. წამო, გავხდეთ ბაყაყები, ვიხტუნაოთ ბევრი!

ხოჭო-ხოჭოქალა

ხოჭო ბოსტანს დარაჯობს, მართალს ვყვები, განა ჭორს?!

კვალი კვალზე გაჰყავს, ბარავს, ჩითილს — რგავს, თესლს — მიწით ფარავს.

მოაგორებს ცივ წყალს კასრით, მორწყავს ბოსტანს კვლების გასწვრივ.

— ხოჭოქელავ, გინდა შველა? ნადმი მოგვიწვიე ყველა, „ოდოია“ დავცხოთ ერთად, ძალა მიეცემა ხელსაც!

ხმას არა მცემს ხოჭოქელა, შრომობს, დაფუსფუსებს ნელა. ალბათ ელის დიდ, მკაცრ ზამთარს, მოსავალსაც მარტო ჩანთქავს.

კაცი პროკლე

იყო ერთი კაცი პროკლე, ქოლგა ჰქონდა გრძელზე მოკლე.

თუ გაშლიდა, ვერ კეცავდა, ძალიანაც რომ ეცადა, ვერც დაკეცილს შლიდა.

ამიტომაც წვიმაში სველდებოდა მშვიდად. რომ ჰქონოდა საფულე, საფულეში — ლარი, ხომ იყიდდა ქოლგას და ხომ ივლიდა მშრალი?!

ბავშვობა კითხვა დასვა

— ბეჭემოტო, ამო წყლიდან, მარტო ყოფნა არ მოგწყინდა? მოდი, ვჭამოთ ბატი-ბუტი, გინდა შაქრიანი ბაბა? — ა ბ ა ა ა ა ა ა ა ა ა ა ა? — დააფრინა პირიც, ხახაც. ხალხი ყვირის: — გადაგვსანსლაააააა! რა ქნას, თუ აქვს დიდი პირი, რა ქნას, თუ აქვს დიდი ხახა?! შენგან ბევრად განსხვავებულს ქვეყანაზე სხვასაც ნახავ. ერთი სიტყვა „აბა“ თქვა და კინალამ არ გაილახა?! მერე რა, თუ დიდა და მერე რა, თუ მსუქანაა?! განა მართლა საშიშია, ღორმუცელა უქნარაა?! მერე რა, თუ ზოზინაა, ძლივს ინძრევა ჩვენი სქელო, ალბათ დავიღუპებოდი, ქარივით რომ სწრაფად ევლო?! ნუ დავცინებთ, იბადება ზოგი — დიდი, ზოგიც — კნაჭა, ზოგი ისე პატარაა, მიკროსკოპის გარეთ არც ჩანს. მთავარია, გულით იყოს კეთილი და არა ბოლმა, ერთ ლუკმაზე არ ჩაყლაპოს გაჩხიკულთა მთელი მოდგმა.

ამ ცხოვრობან მემობრები

თეთრ ბახალას ერთი კნუტის მოეწონა შავი კუდი. მოეწონა შავი თავიც. უთხრა: რა ლამაზად კნავი! შავ ფისოსაც მოეწონა ეს კეთილი თეთრი ყვავი. დამეგობრდნენ აი, ასე — ყვავი თეთრი, კატა შავი. დილაა თუ საღამოა, თამაშობენ ბაღში ერთად. ვილას აღარ უნდა თურმე, მათი მეგობარი ერქვას! არც ჩხუბობენ, არც უსმენენ სხვების მსგავსად ტყუილს და ჭორს. თავსაც მხიარულად გრძობენ. მეგობართან ყოფნას რა სჯობს?! სახლზე აბრაც გამოაკრეს, გამოცალეს ათი პასტა — „აქ ცხოვრობენ მეგობრები — თეთრი ყვავი, შავი კატა“.

ყველა საკუთარ თავს ვხვს

ჩიტი იცავს თავის ბუდეს, მელა — სოროს, მგელი — ბუნავს, უსინათლო თხუნელაც კი თავის სამშობლოზე ზრუნავს. ჭიანჭველაც მიწისქვეშა ქალაქს უფრთხილდება, უვლის, წესრიგია ფუტკრის სკამიც, ყველა შრომობს მთელი გულით.

უყვარს თავის სამოსახლო, თავის ჯიშს და ნირს ერთგულებს, საკუთარი ღირსება აქვს დელფინს, არწივს, კუს, ბელურებს. ზღარბი ზებრად არ იქცევა, ჩიტი — ცხენად, დათვი — ციყვად, ზეპირადაც რომ შეეძახოთ ასი ჯადოქრული სიტყვა!

უფრთხილდები ოჯახს, მოძმეს, სახლს, სამშობლოს, ხეებს, წიგნებს? შენც ხომ გავხარ ადამიანს, აბა, კარგად დაგაკვირდე?!

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ფურნალისტი თამარ ყურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4